

A sepia-toned photograph of a person sitting on a wooden pier by a body of water. A large, leafy tree is in the background, and the scene is misty or foggy. The text is overlaid on the image.

რაც დასაჯარგად შენახება...

ნინო როსტიაშვილი
neru

ნინო როსტიაშვილი

ჩვენი დასაყრდენი მენაქება

პროზა
პოეზია



გამომცემლობა „მერანი“
თბილისი 2025

რედაქტორი
ტექნიკური რედაქტორი
ყდის დიზაინი
დამკაბადონებელი

მანანა გორგიშვილი
რუსუდან მიქენაია
თემურ არდაზიშვილი
თამარ ტყაბლაძე

სტამბა „პარნასი პრინტი“

ISBN 978-9941-9946-1-6

ლექსად სათქმელი

ქართველი მკითხველის და პოეზიის მოყვარულთა წინაშე ნინო როსტიაშვილის ახალი პროზა-პოეზიის კრებულია - „რაც დასაკარგად მენანება“, სადაც იგი მისთვის ჩვეული გულწრფელობით და თავმდაბლობით გვეუბნება:

არ დამინუნოთ გალექსილი, პოეტი არ ვარ,

უბრალოდ მიყვარს, ლექსად რომ ვთქვა ჩემი სათქმელი.

„პოეტი არ ვარო“ გვეუბნება მოკრძალებულად და ლექსად სათქმელი ახალი კრებული ერთი ამოსუნთქვით იკითხება. დახურავ წიგნს და ემოცია დიდხანს მიგყვება, რადგან

გამირბის ზოგჯერ რითმები,

სულ შედევრები ვერ არი,

მაგრამ საკუთარ ნააზრევს,

სისხლის წვეთებით ვღებავდი...

„სისხლის წვეთებით შეღებილ“ სტრიქონებში კი საკუთარ ნაფიქრ-ნააზრევს გვიზიარებს. რთულ პერიოდში გვინევს ცხოვრება, თავისუფლებამოპოვებული გარდამავალი ეპოქა, სახელმწიფოებრივი მშენებლობის გზაზე, უკვე ოცდაათ წელზე მეტია გრძელდება და ეს რეალობა მის შემოქმედებაშიც აისახა.

მარტმა მოუჩითა მინდორს კაბის კალთა,

სულში ამიფეთქა მკვახე გაზაფხული,

მარტო ჩემთვისაა ეს დღე მენამული?!

„მზე არ მზეობს“ თუ ბინდი აქვს გადაკრული?!

გირჩევთ, წაიკითხოთ ნინო როსტიაშვილის ახალი კრებული, რომლის ფურცლებზეც ნათლად და ღიად იკითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება... იგი გვიზიარებს მისი თაობის წინაშე მდგარ გადაუჭრელ, რთულ პრობლემებს და ცდილობს მკითხველი აიყოლიოს, რათა მის მიერ დანახულ ჩვენს თვალწინ გაჩაღებულ ღირებულებათა ქარცეცხლის განელების, ჩაქრობის გამოსავალი მოძებნოს. ყოველი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი დანიშნულება ხომ სწორედ ეს არის.

სხვისი სუნთქვა არ გეგონოთ ქარბუქი,
არ აბუქოთ, გინდაც ცეცხლში ინვოდეთ!
ოდეს წყალი არა ჰქონდეს, წყუროდეს,
წყაროს წყალი მწყურვალისთვის მიჰქონდეს.
ლამდებოდეს, თენდებოდეს, არ ლლიდეს,
მეორე დღის სიკეთეზე ფიქრობდეს...

დიახ, ყველა ლექსში ავტორი სიკეთეს, მოყვასის სიყვარულს, პატიოსნებას, სიწრფელს უმღერის. მასთან ერთად მზეა, სინათლეა, სიმშვიდეა და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსი, მეგობარ ახლობლების, ოჯახის, სიკეთის და თანალმობის... შეუძლებელია არ ჩაგაფიქროს პოეტის განცდათა სიღრმემ და ემოციათა მრავალფეროვნებამ:

ძვირფასო, მე უკვე ვინწინე ტყუილი,
მე უკვე ვიგემე ნამსხვრევი ოცნების.
იქაც ჰყვოდა ნუში და ალუჩა,
მაგრამ ზამთრის სუსხს ვერ გადაურჩა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის სიახლეც, რომ ამჯერად კრებულში ნინო როსტიაშვილი პროზაულ ნაწარმოებებსაც სთავაზობს მკითხველს, სადაც კიდევ უფრო იკვეთება მისი შესაძლებლობები, რათა უკეთ დაგვანახოს ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვის მისეული დამოკიდებულება და კიდევ უფრო სიღრმისეულად დაგვაფიქროს, რადგან „ცხოვრება მოულოდნელობებით სავსე დღეებს გვიმზადებს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რადიკალურად ცვლის. შეიძლება ბედნიერება მოგვიტანოს ან მთლიანად დაგვშალოს ნაწილებად.

ყველაფერს პოზიტიურად ვხედავ, ზოგი ადამიანი გაკვეთილი იყო ცხოვრებაში, ზოგი კი ტრაგიკული შეცდომა, მაგრამ ცხოვრება ხომ მშვენიერია, მეტი ღიმილით და სიხარულით, ადამიანური სიყვარულით ვცხოვრობ და ყოველ დარტყმას და წყენას ვუპირისპირებ სიკეთეს და სიყვარულს. სამუდამოდ ვივინყებ წყენას, მაგრამ მათაც ვივინყებ, ვინც გულს მტკენს.

ჩემ თავს ვეუბნები, „ესეც გაივლის“, ხვალინდელი დღე იქნება უკეთესი, ვიდრე იყო გუშინდელი“.

ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო თაობათა შორის ურთ-
იერთობა, დამოკიდებულებები, უფროსთა პატივისცემა, მათი
დარიგებების მოსმენა. ერთ-ერთი ასეთი ნინო როსტიაშვილის
ნიგნში არის 5-ნაწილიანი ჩანახატი „ბრძენი კაცია ბაბუაჩემი“.
მხოლოდ 5 შეხვედრას ასახავს და იმდენი სიბრძნე, სიბო, სიყ-
ვარულია მასში, რომ უნებურად საკუთარი ბაბუა ან მამა გახსენ-
დება, მათი დარიგებები ცოცხლდება შენში. მხოლოდ რამდენიმეს
მოვიყვან აქ: „სანამ იცი, რომ ერთ ადამიანს მაინც სჭირდება
და ეიმედები, იქამდე აზრი აქვს ცხოვრებას“; „კამათში იბადება
ჭეშმარიტება, ბაბუ. ჭკვიან და მართალ კაცს კამათი არ აშინებს,
არც ჩხუბში გადაჰყავთ საქმე, ჭეშმარიტებამდე კი მიგიყვანს“;
„ბოდიშის არასდროს შეგრცხვეს, ბაბუ“; „ეგაც კარგია, პირობა
რომ გახსოვს და თუ დინებას მიყვება ყველაფერი, კალაპოტში
მაინც ყოფილა... კალაპოტიდან გადმოსვლაა ცუდი, იმ კოკას ემს-
გავსება, პირამდე სავსე რომ არის, წვეთიც რომ დაამატო გადმო-
ვა, აუცილებლად გადმოვა, ბაბუ!“; „გახსოვდეს, ბაბუ, არასოდეს
დაპირდე კაცს, თუ დაპირდები, რომ კვდებოდე უნდა შეასრუ-
ლო, ხოდა, დაუფიქრებლად არავის არაფერს დაპირდე, ბაბუ!“;
„აუცილებლად გამოჩნდება გამოსავალი, ცოცხალი ჩონჩხი ხორცს
ყოველთვის შეისხამს, მთავარია სულიერად არ დაეცე!“; „შენ რომ
მყავხარ და ვიცი, წამალია ჩემი სიტყვა, ეგ მაცოცხლებს, თორემ
აქამდე რა მაცოცხლებდა?“

როგორ საინტერესოდ გადმოსცემს ნინო როსტიაშვილი ბა-
ბუა-შვილიშვილის შეხვედრებს და მათ დიალოგს. ისეთი მოწი-
ნება, ზრუნვა, მონატრება იკითხება, რომ უნებურად ფიქრობ,
თითქოს ეს ავტორის წარმოსახვაში წინაპრის საფლავზე ნაფიქრი
და გახსენებული დიალოგებია.

„აღმართს სანამ ავირბენ, ჭიშკარში შესვლამდე ვეძახი, მიყ-
ვარს მისი გახარება.“

მზიან დღეებში, განსაკუთრებით შაბათ დღეს, ეზოში ზის,
ჭიშკარს გაჰყურებს.

კოკით წყაროს წყალს აუცილებლად მახვედრებს, ეს ერთ-ერთი
ნიშანია გელოდებოდიო, დღესაც ეზოში დამხვდა, გამეხარდა...”

დიახ, რა თქმა უნდა, იმედიათი განწყობა გვეხმარება სირთულეთა გადალახვაში, რწმენა და სიყვარულის არსებობა ჩვენს გულებში:

ნუ ევაჭრებით...

გეხვეწებით, ნუ ევაჭრებით...

დაკოჟრილ ხელით,

ნანვიმარში დაკრეფილ იებს...

საყვარელ ქალთან,

სიყვარულის ვაჭრობას მოჰგავს...

გადამირჩინეთ...

სიყვარული გადამირჩინეთ...

„სიყვარული გადამირჩინეთ“ წუხს, რადგან XXI საუკუნის ბინადართ თითქოს გაგვიუფერულდა, ყოველდღიურობის წვრილმან თუ მსხვილმან პრობლემებსა და წინააღმდეგობებში გადაგვაგინცდა, რომ „სიყვარულის გარეშე ცხოვრება უფრო მარტივია, უბრალოდ მის გარეშე აზრს კარგავს“ (ლევ ტოლსტოი).

დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი სიყვარულით მიიღებს ნინო როსტიაშვილის ახალ კრებულს - „რაც დასაკარგად მენანება“ და სათანადო ადგილს მიუჩენს წიგნის თაროზე.

მანანა გორგიშვილი

წინასიტყვაობა

დავიბადე ქ. თბილისში, 1971 წლის 17 დეკემბერს, ბარბარობა დღეს. იშვიათად ვწერ პროზას და არ მინდა ჩემი ნააზრევნი დაიკარგოს, ამიტომ გადავწყვიტე, ცალკე წიგნად გამოვცე. ამ წიგნში ასევე შევიდა „მინი“ ნააზრევები, ბუნებისადმი მიძღვნილი ლექსები და მიძღვნილი ლექსები, მეგობრების და საყვარელი ადამიანებისადმი.

სუსტი ლექსებიც კი მენანება დასაკარგად, ამიტომ მაინც შემაქვს კრებულებში. ის ხომ ჩემი ნააზრევია, ჩემი ტკივილია, განცდაა. ამიტომაც, რომ ჩემს საუკეთესო რედაქტორსაც კი სიტყვის შეცვლის უფლებასაც არ ვაძლევ, ასე მგონია განცდებს მპარავენ. დედას ხომ სუსტი შვილი უფრო უყვარს.

ასევე გეგმაში მაქვს დავენერო რომანი „მზე, რომელიც გვიან ამოვიდა“.

ამ რომანზე დაწერილი მაქვს ჩანახატი, რომელსაც დასაწყისშივე გაგანდობთ...

ეს მცირე მონახაზია მომავალი რომანისთვის.

მაშინ 13 წლის ვიყავი, როცა მამა იმიერში გადავიდა. მას მერე ვერ ვიტან მიხაკებს.

17 წლისამ, - მხოლოდ იმიტომ ვუთხარი ბიჭს უარი, რომ ჩემს იუბილეს დასწრებოდა და მოსული უკან გავაბრუნე, ოქროს დაბადების დღეზე 17 ცალი ჩემი სიმაღლის მიხაკი მომიტანა.

მიხაკებმა ძალიან გამაღიზიანა. არა ოქროს კი არ ვითხოვდი, თავშივე ვთქვი, რატომაც ვერ ვიტან მიხაკებს.

დიდად საკვირველი არ იყო მიხაკის სიმაღლე, რადგან 1-55სმ. ვარ და არ გაუჭირდებოდა შოვნა.

ერთ დღეში შეცვლილმა ცხოვრებამ დიდ ბავშვად მაქცია.

21-წლისამ შევექმენი ოჯახი.

22-წლისას უკვე მაშო მყავდა.

24-წლისამ უკვე: ბიძა, რომელიც უმამობას არ მაგრძნობინებდა, 10-წლის ნანატრი ძმისშვილი და საყვარელი ძმა გავაცილე, იმიერში.

მალევე მოგვივიდა შეტყობინება, ძმასავით ერთ ლოგინში გაზრდილი ბიძაშვილის გარდაცვალებისა.

რომელსაც ვერ ვიჯერებ და სულ ველოდები, რადგან ცხედარი არ გვინახავს.

25-წლისას, რომ იტყვიან თავზე დამექცა ცხოვრება.

29-წლისას კვლავ მენვია ბედნიერება.

40-წლის ვხდებოდი, დედა ისე გავაცილე, მამის გარდაცვალებიდან 27-წლის მერე, შავეები არ გაუხდია.

- ტერენტის დავესესხები სტრიქონს და ვიტყვი:

„უკვე ისე შევეჩვიე სიკვდილს,

აქამდე რომ ცოცხალი ვარ, მიკვირს!“

მართლაც შეგუებული ვარ და გაცნობიერებული მაქვს, მოვა დრო და დავტოვებ სამყოფელს!

მთავარია.....

საბოლოოდ გვიან, მაგრამ მზე მაინც ამოვა...

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემს უსაყვარლეს და უსათნოეს რედაქტორს, მანანა გორგიშვილს, გვერდში დგომისთვის და უანგარო სიყვარულისთვის. მას სიყვარულით „მეხამრიდი“ დავარქვი და ლექსიც მივუძღვენი. ვფიქრობ, ამ ლექსით ყველაფერი ნათქვამია.

მეხამრიდი

(მანანა გორგიშვილს)

რაც შენში მეტად ვეცნობი ევას,
უფრო მეტად ვგრძნობ, შენში ღირსებას,
ლექსად გაგანდობ ამ აღსარებას,
შენს გულში სახლობს წმინდა არსება.

არა ქილიკი, არა სიმცირე,
ეს მცნება შენთვის არის გზად ტირე,
შენ გამოძერწე სულის სიმშვიდე,
ვით რომის ფრთები, ხარ მეხამრიდე.

ჩამოტეხილი ფრთით გაგაქვს ბანი,
სხვას შეგიძლია უშუშო ბზარი,
ვაზებს უდგახარ, ვით ჭიგო-სარი,
შენს ევას ჰქვია ადამიანი.

27.07.2023წ.

მეხამრიღს

(მანანა გორგიშვილს)

თითქოს ჩემთვის დაიბადე მზიდან,
ეგ ღიმილი სათნოა და წმინდა.
თითქოს დედა ჩემს ნუგეშად გზრდიდა,
ჩვენ შეხვედრას წვიმაც თავს უხრიდა.
მიგვაქანებს ქარი მზის ბილიკით,
სად შეწყდება მარტო ღმერთი უწყის,
ჩხიკვი ალბათ ჩხავის სხვის ქილიკით,
ვინც ყურს უგდება დაყრუვდება უწინ.
კატა კნავის, როცა ყველს ვერ სწვდება,
თაგვი, როცა გამოსცდება სოროს.
ნატვრისაგან თვით ხაფანგში ხვდება,
ვინც ბნელ ღამეს სხვას გაუთხრის ორმოს.
ძალლი დაჰყევს მეზობლისა სტუმარს,
თაფლს ცხენბუზა დაესევა უმაღ,
გაზაფხულზე გაიღვიძებს დათვი,
მიმიხვდება, რაც ვთქვი და რაც არ ვთქვი.
დაილოცოს ის დღე და ის წამი,
რომ დაედო შენი მოსვლის ვალი,
რომ შეგერგო დედის ხსენის წამი,
შენს ჩემობას მზის ამოსვლას ვადრი!

22.01.25წ.

მიყვარს, ჩემი მანანიკო და მისი მყუდრო, უთბილესი
ოჯახი. დიდიხანია დედის ზრუნვა მომაკლდა და ჩემმა მეხ-
ამრიდმა შემეცხო ეს სიცარიელე.

ან ამ პატარა, მაგრამ მრავლის მთქმელ ლექსს რომ მი-
უძღვნი რედაქტორს, რამხელა სითბოს უნდა გრძნობდე
მისგან?!

„მიყვარს ეს კუთხე,
მყუდრო და წყნარი.
მოვალ ერთ დღეს და
დავლიოთ ჩაი“.

ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო უანგარო შრ-
ომისთვის და გვერდში დგომისთვის ჩემს უსაყვარლეს და
კეთილშობილ მეგობარს, ნიგნის ტექნიკურ რედაქტორს,
რუსუდან (რუსა) მიქენაიას.

NERU

რაც დასაკარგად მენანება...

ჩემი ცხოვრება, ჩემი წლები, ჩემი სიმდიდრე,
ჩემი განვლილი-გასავლელი,
ჩემი ხვედრია.
ბევრჯერ მხვდებოდა სატირალი,
ბევრჯერ ვიციხე,
ვლენე ჯიუტად გასალენი ვზომე არშია.
რაც დასაკარგად მენანება
ნიგნად შევკარი,
დაიკარგება
ან დარჩება
ესაც ბედია...
ბედია, მაგრამ ბედთან ბრძოლა უფრო მჩვევია,
შეკრული ძნა ხომ გასატეხად უფრო ძნელია...

22.02.25 წ.

ნინო როსტიაშვილი
neru

მოდულის აღწერა

საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს!

...და სანამ შენი ლერწამი ჰყვავის,
უდრეკი რტო ხარ საქართველოსი!
შენი ლოცვები ისხამენ ყვავილს
და მრავლდებიან საქართველოსთვის!

ვერ მოგვერევა მტერი ბნელეთის,
ეშმასაც მოსდის ელეთმელეთი,
შენი ჯვრითა და შენი ლოცვებით,
ცად სული ხარობს, ხალხი ხმელეთით.

შენ რომ არ გეყვავდე მწყემსად ცხოვრების,
დაფანტულ მრევლის შვებად ყოველის,
აპრილ-ნოემბერს, განცდად მოვლენილს,
ვერ აიტანდა მიწად მყოფელი.

...და დგახარ ერის კავკასიონი,
ვით მცინვარწვერი საქართველოსი!
შენი ლოცვით და წმინდა სიონით,
მრავალჟამიერ საქართველოსთვის!

04.01.23წ.

გაბრიელ სალოსი!

დადიოდა სევდა ბევრით,
გიჟიაო ეს რაცხა...
წლების მერე მღვდელთმთავარმა,
წმინდანადაც შერაცხა!

სიმართლისთვის სიცოცხლეში,
დაუსჯიათ მრავალი,
მაგრამ ნათლის მოფინება,
თითოს თუ ხვდა მთავარის!

შენ შესძელი, შენ შესძელი!
ბერო, მამა გაბრიელ!
ნარეკლიან ბილიკებზე,
თეთრი მტრედი აფრინე!

სიცოცხლეში ვინც კი დაგგმო,
გთხოვენ გახდე მფარველი,
ბრმას რას ვერჩი, გლალატობდა
ზოგი ცხადში მნახველი!

26.08.23წ.

მაცვალა გონაშვილს

შენ გაზაფხულის მოსვლას მოჰყევი,
მოგიძღვებოდნენ გზებზე იები,
გაზაფხულივით ხარობს სიცოცხლე
შენით, შენფერი მგზნებარეებით.

ქალო შვილო და ქალო მეუღლე,
ქალო დედა და ქალო პოეტო!
ძნელია ტვირთი შენი უღელის,
მაგრამ გალენე კალო საშენო.

და ახლა, როცა ბებიაც გახდი,
ისევე აკვანს უნდა მიუჯდე,
ორმაგი ტვირთის გინევს ტარება,
რომ გააბრწყინო შენი საუნჯე!

ქალის და კიდეც
„ქალი პოეტის“,
ყველა საზიდი ზიდე ამ მხრებით,
თითქოს პატარა და დიდო ქალო,
შენ გიმღერიან ლექსად ეს ხმები...

01.03.246.

რეზო მიშველაძის

შემოდგომის მიჯნაზე ენკენის მზე ანთია,
გაზაფხულის ქუჩაზე მწიფე ყურძნის სუნია.
თქვენი ხელით ნაშენი ეს ალადასტურია,
მწერალი კლასიკოსი ღვინოშიც დასტურია.
წვეთის დაგემოვნებაც საკმარისი აღმოჩნდა,
ცნება ხელოვნებისა ნაჟურიდან მოჩქეფდა.
მასპინძლობა ქართული, ძირძველური კოლხური,
კლასიკური გცოდნიათ, რაც ყველაზე რთულია.
მეგობრობის ტაძარი თქვენს მხარზე ჩამომგვდარა,
სიტყვაც ველარ დავძარი თქვენთვის საქებ-სადარი.
დაგელოცოთ ზედაშე, ქვევრი მამაპაპური,
რუდუნებით ზედნაშენ, სახლი სტუმართმოყვრული!

30.10.23 წ.

ბალათერ არაბულს

მთაში გაზრდილო არწივო,
ბარმა მიგიღო შვილადო,
ქარაფებს ლექსად გადმოსცდი,
გასცდი საზღვრებს და ორიონს.

იცავდი, იცავ მთის ადათს,
არც არსდროს დაგერღვევინოს,
მამაშვილური სითბო სდევს,
შენს სიტყვას, თუნდაც ორიოდს.

20.09.23წ.

„ზვეზდა“ - ბიცოს!

14.01.- თეატრის დღე!

(ნინო ხომასურიძეს)

შენი ყოველი სპექტაკლი იყო,
მქუხარე ტაშით, სრული ანშლავით,
„იაპონურშიც“ ტაში შენ გერგო
და „ბის“ ძახილი მქუხარე-შმაგი!

შენი ვარსკვლავი გაბრწყინდა როცა,
მაშინ იქუხა შავმა ღრუბელმა,
შენ ჩამოგატყდა ტოტი და რტო და
„ზვეზდა“ დაკარგა მაყურებელმა.

თვალები ზღვის თუ... ფირუზისფერი,
სევდამ დაფარა უტყვმა და მძაფრმა,
დღე რომ დგებოდა, - ხვალ ბედნიერი,
მაშინ გიმტყუნა ხმალმა და ფარმა...

კიდევ რამდენი მტვერი დაგაკლდა,
კინოს, თეატრის კულისებისა...
ცხრამეტ წელს კიდევ ცოტადა აკლდა,
იპყრობდი „პარტერს“, გულის ხმებისას!

14.01.2001 წ.

ხარებით, შობით, აღდგომით!

(თამთა მუმლაძეს)

-შობას გილოცავ! -ჰო, მეგობარო,
შობას გილოცავ!
იშვა უფალი!
-ქრისტეს სახელით ვიყოთ მრავალნი!
-მოგვმადლე, ღმერთო!
ჩვენ ბრმათა-ყრუთა, სმენა და ხედვა...
არ გადაჩეხვა!
-ვერცხლამბორისთვის გზების ჩახერგვა!
შობას გილოცავ! -დე, ჩვენს გულებშიც იშვას უფალი!
ვითარც ბაგაში, თავმდაბალი ვიყოთ მავალი...
...ჰო! იანვრის პირზე, გაზაფხულის სურნელის დგომით...
-დე, ვიხაროდეთ! -ხარებით, შობით, ქრისტეს აღდგომით!
გლოცავ ყოველგზით!
-ჰო, მეგობარო,
იანვრის პირზე, გაზაფხულის დადგომით გლოცავ!
შობას გილოცავ!

07.01.24წ.

შენ არასოდეს იქნები მარტო...

მაია კახიძეს

სანამ ლექსია შენთვის გზა ფართო,
შენ არასოდეს იქნები მარტო,
თბილისის ძველი ქუჩებით ხარობ
და აღსარებას ლექსებით ამბობ.

ყოველ ნაბიჯზე სიყვარულს ნატრობ,
სამშობლოს ბედი ძალიან გაკრთობს,
სიკეთის თესვით დადიხარ, ხარობ,
შენი ლექსებით ყველაფერს ამბობ.

სანამ მუზა გყავს ძმად და მეგობრად,
ვარაზსაც ასხამ ბნეკარების ხოტბას,
ქართულ სიტყვასაც უდგახარ ბოძად,
მე ისევ გეტყვი თავიდან, ჰოდა...

სანამ ლექსია შენთვის გზა ფართო,
შენ არასოდეს იქნები მარტო...

09.10.23 წ.

ჩემს ჟერას

(ბელა ალანას)

შენს თვალეზში მზის სხივები კრთიან,
თრთიან ღანვნი, ბაგეს მზე გადმოგდის,
რა აზრი აქვს ალიონის ლოდინს,
სადაც შენ ხარ ღამეც მზე ამოდის.

სანამ სუნი არ აუვა ობის,
სანამ კალთა მოირღვევა ღობის,
სანამ მზე არ მიიძინებს ორბის,
გამიღია ხიდი მყარი დობის.

მე გულწრფელად ლექსით მიმღერია,
აქ ბანები ძალზედ ზედმეტია,
ლექსმა ვერ თქვა შეიძლება ბევრი,
სურვილები სრული ვერ დატია.

ბევრჯერ ცრუობს საყდარშიაც მრევლი,
ტკბილ ტყუილებს შეეჩვია ერი,
არა მოძღვრის, არა პირჯვრის მტკიცით,
მომიძღვნია ლექსი, დად'საფიცო.

04.10.23 წ.

ლალის

(ლალი ჩხეიძეს)

ეს იყო შარშან, დღეს არის ღამე
და მე ვიგონებ ამბებს შარშანდელს...
რამდენი წვიმა იყო მანამდე,
რამდენი კიდევ დარჩა ნახვამდე...
გავძლებ კიდევაც ალბათ ხვალამდე,
მაგრამ დღეს...
მაგრამ დღეს ყველა წამი მაფიქრებს...
ჩვენი შეხვედრა იყო ალალებდს,
დიდი ხანია უკვე გავშიფრე....
წვიმა წკაპუნით ასველებს შიფერს,
ჩემი ოთახის ყრუ-მუნჯი ჭერი
დღეს წვიმის წვეთებს წყურვილად იფერს...
ვერ გამოვძებნე სიტყვა სალბუნი,
წამლად ვკითხულობ უფლის ფსალმუნებს.
წვიმა ჩამორეცხს საკვამურს მურებს,
წამებს და წუთებს წლებად გადმიქცევს....
იქნებ ხვალამდე? იქნებ ზეგამდე?
რამდენი დარჩა კიდევ ნახვამდე...

11.05.24წ.

მაგლა გორბიძეს

(შარშან)...

ეგ კაბა გიხდება, თუ შენ უხდები...

(ახლა)...

რითმებსაც მოიხდენ, ურითმო ვერლიბრსაც,

როცა წერ, სულიდან და გულის კარნახით.

რუდინით გადმოგვცემ, რაც კი გაქვს, ნანახი...

შენი ლექსებია ტილოზე ნახატი.

ათასი ფერის და ათასი სურნელის,

ვახტა* შელენილი, ლექსები „ბარხატნი“...

ყოველი სტრიქონი, მსუყე, ერბო-ქონი...

შენი გონის ხვატი!

შენი სახის ხატი!

11.09.23.

*ვახტა - აქ მძიმე კედელი

ქნკა-ს!

შენ ფეხშიშველიც დადიხარ თოვლში
და შეგიძლია ცეკვა წვიმებთან...
ქარებთან ისე საუბრობ გონში,
როცა მუზეუმის რემა გეწვევა,
ვით ზეფიროსი
ეოსის ძესთან.
როცა ქარები გადიან ზღვაში
მეზღვაურები აფრებს გაშლიან,
ყველა სტრიქონი ცაში გეწვება
და მიწის ღმერთიც
სასთუმალს წვება.
არ მინახიხარ ისე გიცანი,
თოვლთან, წვიმასთან, ქართან მებრძოლი,
სახელი ბევრჯერ გამოიცვალე,
მაგრამ ხელწერით კვლავ შეგიცანი...

22.01.25წ.

ქნკა-ს

მე მახსოვს შენი დაღალი,
ირიბად დახრილი კისერი
და შენი ლექსები ალალი.
ისე გიხდებოდა, პანამას
უჭირდა დამალვა სამშვენის.
წვიმამ ზღვა,
ზღვამ რითმა დანამა,
თმა შემოხვეოდა ყელს, შველის!

10.08.246

დობილო!

(ელზა ენდელაძეს)

გწერ ბარათს, ჩემო მონატრებულო,
უცნობო, მაგრამ სულით ნაცნობო,
როგორ მინდა, რომ მალე გაცნობო,
- მოვდივარ, დამხვდი, სულით დობილო!
აღბათ დადგება ის დღე და წამი, როცა მოგწერ, რომ
- სტუმრად მღებულობ?
მოვდივარ, დამხვდი, ჩემო ბუღბუღო!
არ შეანუხო დედა არაფრით, კეთილ გულს, სუფთას,
სუფრად ვღებულობ!

04.12.23წ.

„მალე ზამთარი წაგვართმევს
ამ ფერებს, ნაფერებს“...
(ელზა ენდელაძეს)

მალე ზამთარი წაგვართმევს
ამ ფერებს, ნაფერებს...

რემებს გადმოჰყრის ცა კიდიდან
ფიფქთა ჭენებით,
მიაჭენებენ ზამთარს სუსხიანს
სახურავებზე ბროლოლოები,
ამ ლამაზფერებს წაეფარება
თოვლის საფარი,
ფარად და საბნად.

წაეფარება, არ შეგცივდესო,
მიეფერება
ათასფერება ფოთლებს ფიფქები.
გარდაიცვლება
შემოდგომა ლამაზ ფერებად,
შენ კი არასდროს არ დაბრუნდები.

უნდები ურვას და წლები ბრუნავს,
ნავი მიცურავს, მიაპობს ტალღას,
ღალის გადახდას ველარ მოასწრებ,
ასწრებს წლისბრუნვა არდაბრუნებას...
არ დაბრუნდება დოლაბი უკან
შენ კი მრავალჯერ განმეორდები...

2022წ.

დაპიტირებენ სანთლის სანთლით

თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნას

ნათლია მოდის,
დეკემბერია, დღე ოცდამეცხრე, დუმს ბებერი ხე.
მოდის ნათლია, ვაჟკაცურად დახვდი, „სი-მარე“*
ვის არ იხილავთ ჭირისუფალში, ბერებს თუ გლეხებს?
დადუმებულან შავოსანნი, ეხ... ისრესენ ხელებს.
ვოი, გლოვობენ პოეტს, კაცები, იმ მხრის თუ ამ მხრის.
გგლოვობენ ზარით უკანასკნელ დღეს, ზარები ცისკრის
და დაგიტირებს სანთლის „სანთლით“ გუნდი მგალობლის.
ხვალ სიონიდან გაგაცილებენ მრევლი ჩოხოსნის.
დასახლდებიან ამ მთის მუზეუმი იმ მთას მახათის.
ძველი მეგობრები შეიყრებით იმერ-სავანეს.
არ შეგეშლება, სუფრა გაშალე, დახვდი სვანურად!
ნათელმირონი გესტუმრება, სული დაივანეთ!

29.12.23 წ.

სი-მარე- შე-კაცო

თეიმურაზ ჩალაბაშვილს

„სიკვდილს პოეტი ამარცხებს“
(მიმინო - ვალიკო კაკაურიძე)

თოვდა...

საქართველოს ფიქრად აფიფქებდა ,
უფალს „სანთელის“ ჰანგით ადიდებდა!
ჩოხა-ახალუხით და ქუდით კახურით,
დააკლდა ქიზიყს კაცი კაცური!
ვორონცოვს ამშვენებდი დინჯი ნაბიჯით,
საქართველოს პოეტი რაინდი!
ნაბდად მუზეუმის მზეთეჟა გეხვია და
ლექსი სუდარად შემოგეხვია!
ფიფქი გეხვეოდა ციდან ჭირისუფლად,
გოგლამ პოეტი წარუდგინა უფალს!
ფართოდ გაშლილი აქვთ ანგელოზთ მკლავები,
ზეცას გელიან ვარსკვლავები!
„სიკვდილს პოეტი ამარცხებს“, არ იდარდო!
შენ, პოეზიის დიდო რაინდო!
„საუბარი გულთან“ შემოიჩა ჩემ თაროს,
შენმა სულმა ზეცად დაივანოს!

27.12.23 წ.

ეპიგრანტი მემოზარს!

(დეა ეგრისელი-გუნია)

ვნუხვარ,
რადგანაც შენს მკლავებში არა ვნანაობ.
კარგა ხანია პარიზის ქუჩებს შემომალამდა.
შენ იცი, „ჩემო“, იცი, ვავადობ,
სიშორეს ვნანობ, რომ სიცოცხლესთან
ომი მომიხდა,
ომმა დამღალა...
იცი, რომ ვარდის შორი-შორის ეკალიც ხარობს.
ხოდა, ეკლიან გზას გავდივარ, ახლაც,
ვალთ...
სიზმრად მოვდივარ, ვიღვიძებ და ცხადში ველარა...
ხანდახან წასვლა გადარჩენის...
გარდუვალთ.
ჩემო თილისმავ!
შენთან შეხვედრას ვნატრონ და მოდი!
მოდი, მითხარი, რას ჩურჩულებენ ღამე ვერხვები?!
მე ყოველღამე გეჩურჩულები,
ნუთუ ვერა გრძნობ, ნუთუ ვერ ხვდები?!
თბილისის ქუჩებს ზმანებაში ხელებს მოვხვევდი...
მე ყოველ დილით გაღვიძებას შენთან ველოდი
და ყოველი დღის დაღამება მედო ლოდივით.
ახლა, რთველი მაქვს, მონაგართა ტკბობის მორევში...
მე დავბრუნდები და დადულდება ღვინო ქვევრებში!
ჩვენ დავბრუნდებით!
დავბრუნდებით,
საქართველოში!

20.09.246.

ღღე და ღამე

(წერილი გალას)

ახლა, როცა ამ წერილს გწერ, თაკარა მზე მინვავს სახეს,
შუადღეა, მზის სხივები ეფერება არემარეს.
„მესაფლავე“ გავიხსენე, გწერ და გული მეყინება,
სხივი მწველი მოელვარე ამ სტრიქონებს ეფინება.
შევიყვარე შენი „მერი“, შევიყვარე „მე და ღამე“,
ნეტავ რას გრძნობს მესაფლავე, ლექსად რომ დაასაფლავე.
ამაყია ალბათ ისიც, უკვდავია მგონი იცის,
ღირსებია კიდევ სხვა ვის, წყალი ესვა უკვდავ მეფის.
იის ნაცვლად მიხაკს ყრიან, მეცამეტე აპრილს ტიალს,
მეც ვნატრობდი ცამეტ ტყვიას, იმ დენტის სუნს მამა ჰქვია.
მეც ვითხოვდი დროშის ფრიალს, მზეს და სხივის ნათელ ციალს,
ქვეყნად როცა ჩამოხნელდა, სამშობლოს რომ დასცეს ელდა.
ჩამოღამდა, ჩამოხნელდა, რუსის ჯარი ავად ღრენდა,
ფარად დროშა შევაგებეთ, დედა დადიანსა მღერდა.
ახლა, როცა ამ წერილს გწერ, მზე მთაწმინდას ეწვერება,
ვხედავ, ლანდი „ღურჯა ცხენებს“, ცისკენ როგორ ერეკება.
აგისრულდა ის სიზმარიც, რომ იწვევდი ცისფერ ლანდებს,
შენ, ტატო და წერეთელი, განისვენებთ ერთად იმ მთებს.
მზის სხივები დაგთამაშებთ, ვით თარეში სხივი მეფის,
მტკვარი ღელავს და მეტეხში რეკენ ზარებს წმინდანების.
მე საფლავსა არ ვნატროლოვ, არც დიდება მინდა რამე,
ფერფლად მინდა მოვეყარო საქართველოს არემარეს.
კრემაცია მოვითხოვე, შემინყალებს ნინო წმინდა,
რომ ესტუმროს ჩემი სული, ყოველღამე, მაგ მთას, წმინდას.
ახლა, როცა ამ წერილს გწერ, თან ვლილინებ „მე და ღამე“(ს),
იდუმალი სინყნარეა, მზე გადასცდა სიყრმის კარებს.

ცასაც ბინდი შეჰპარვია, დაუკარგავს სილაჟვარდე,
ბინდისფერში კვდება მზე და იბადება სავსე მთვარე.
ყოველ ღამე ჯვარს იწერენ, დღე და ღამე, მზე და მთვარე,
შორდებიან ყოველ აისს, დღე და ღამე, მზე და მთვარე.

01.08.2023 წ.

მირზა გელოვანს

„ნახვედი როდის, ბრუნდები როდის“

აღარ გათენდა ის ღამეც, მირზა,
ვერ აგისრულა სატრფომაც ნატვრა,
გულისფიცრიდან გცვიოდა გილზა,
წვიმდა, თბილისი ტიროდა გაყრას.

რამდენი დაგრჩა ალბათ სათქმელი,
რომ ვერ მოხვედი ბრძოლებნახული,
შენ ახლა ცივი მიწა გიხუტებს,
ნახვედი, თბილისს ველარნახული.

ნახვედი ისე, აღარ დაბრუნდი,
ნეტავი გზა ხომ არ აგერია?
სიცოცხლე შეერჩა სხვა ქართვეხილებს,
ახლა გრიგალი დგამს ტრაგედიას.

შავნაბადაზე გელის ტაძარი,
ჯვრისწერის ნაცვლად გლოვის ზარია
და უკიდიათ სანთლებს ხანძარი,
გოგო სარაფნით ცრემლმა დალია.

სპეტაკი კუბო, სპეტაკი ზურგით,
მოაქვს თოვლსა და ლურჯთვალა იებს,
თმაგანნილი სატრფო გულისყრით,
იცვამს გრძელსა და გლოვის პერანგებს.

ველარ გიშველა ლოცვამ მხურვალემ,
სანგარსაც მოსწვდა ტყვია საშენო,
დედის ლოცვები მოგდევს მქუხარე,
სამოთხეში რომ სული აშენო.

წელსაც უშენოდ მოვიდა თოვლი,
წელსაც უშენოდ აყვავდა ნუში,
შენ მუდამ ნუშის ბაღებში ივლი
და ორთაჭალა გიხუტებს გულში.

01.12.2017 წ.

პატარა კახო!

გავისეირნე
ულამაზეს
თელავის ცენტრში,
მზე ეშვებოდა ზენიტიდან
ერეკლეს მკერდში!
პატარა კახო!
არ იდარდო,
მზეობს თელავი!
შენი დიდება
ისევე არის კახთა მძევალი!

06.10.23 წ.

ტერენტი ბრანელს

აბები ყვითელი, წითელი,
ხალათი თეთრი და მწვანე.
მჩხვლეტენ, დოზაა მავნე,
მამტვრევენ მალეbs და მკლავებს.
განა აბი ან საგიჟე,
უფრორე სირცხვილი მაგიჟებს.
რადგან სიმართლე ვთქვი მწარე,
შეურაცხადად რომ მკლავენ...
სათქმელი მაინც თქვა ტერენტიმ,
ტექსტად დატოვა პროტესტი!

19.09.23 წ.

ნიკალა

(ნიკო ფიროსმანს)

ადე, ნიკალა, შემოკარი მძლავრად, დაფდაფებს!
შენი სახელი დიდი ხანია გასცდა სარდაფებს.
შენ კიბის ძირში უპატრონოდ დალიე სული,
შენ ნახატებმა მოიარა ევროპა, სრული.
ყველა ყვავილი დაგიბრუნდა სამარის კართან,
რაც სახლის ფასად იყიდე და რაც გაეც, ბრმათა...
ადე, ნიკალა, კიდევ ერთხელ დახატე მარგო!
შენ თავგანწირვამ საქართველოს უდავოდ არგო.

05.05.23 წ.

ვაჟა-ფშაველას

„ვაჟკაცო მთაში გაზრდილო“,
სიკვდილს ებრძოდი ბარადა.
სანამ მთის წყალ არ მოგართვეს,
არ მოგრთეს მთის ყვავილებმა,
მიქელა თავს არ დაგადგა...
შენაც შამხვდარხარ ამაყად,
საყვედური არ წამაგცდა!
„მუხთალსა წუთისოფელსა“
სტოვებდი,
ლექსი აღმაგხდა...

27.06.246.

ვაჟაჰ!

როგორ შეგკადრო კაფია,
რითმა ვერ გამიკაფია,
შენ, რომ ლექსები დასწერე,
სამშობლოს დღესაც არგია!
მაინც დაგინერ ერთი-ორს,
ბევრმა გინუნა კალამი,
ღმერთის ბოძებულ ნიჭს და გონს,
ვერას დააკლებს მავანი...

14.06.236.

„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“

(ვაჟა აზარაშვილს)

მიდიან დღეები, რუხები, მძაფრები,
წყდებიან ვარსკვლავთა სიცოცხლის ძაფები.
ტოვებენ სიმღერას, „თბილისზე“, „მეტეხზე“,
„დღეები მიდიან“,
რჩებიან ჰანგები.

„პატარა გოგო“,
მრავალჯერ ნამღერი,
კვლავ გადავამღერებთ, „ისევ წვიმს, ისევ წვიმს“...
„დინამო, დინამო“,
გამოდით, ბიჭებო!
იტირეთ, კვირტებო, იტირეთ, გირჩებო!

ეშვება ფარდა და იღება ცის კარი,
ყოველთვის გაგათბობს ცხრათვალა მზის თალი,
„მზე შენი მეგობარი“ მოგყვება,
თან ტირის,
სული დაივანებს ცათა ათინათინს.

„სიმღერაა მთელი ჩემი (შენი) ქონება“ და
სიმღერაა შენი სულის ცხოვნება.
მიდიან და სიმღერით ბრუნდებიან,
სიმღერები დროში არ ხუნდებიან!

08.02.24 წ.

**„ქართველების ქართველობა
ღამილოცე, ღმერთო“!**

გოგი დოლიძეს
(05.09.1954-08.03.1996)

დადიოდა ძველ ქუჩებში,
კაცი პლენხანოველი,
ახალგაზრდად დარჩა ჩვენში,
თვალი დაგვრჩა სოველი.

რუსთაველზე უმღეროდა,
ბელურების ჟრიამულს,
მთანმინდას კი გადუშლიდა,
სიჩუმეში ალალ გულს...

შეიყვარა თბილისი და
შეიყვარა თბილისმა,
კაცი პლენხანოველი და
უთბილესი მისი ხმა.

შენი ლოცვა, - „ქართველობა“,
დღესაც არის მძლეობა,
მარად უბერებელო და
საქართველოს მზეობავ!

06.09.2023 წ.

მანუჩარ!

(მ. წიკლაურის ხსოვნას)

და ბლავის ეს დღე
ყელგამოჭრილი,
მზე სხივის ნაცვლად
სისხლით იცლება,
ახლა ეს გზაა უკვე მოჭრილი,
სიცოცხლე წამში კვდომით იცვლება!

არამი იყოს
მისთვის დღეს ლუკმა,
ვინც დამიობლა ქეთი და ლუკა...
სამურზაყანო, რად არ აკივლდი?!
როცა მანუჩარს გვიკლავდნენ უტყვად.

გავარდა მეხი, უიარაღოს,
წამოაქციეს ფუძე და სახლი,
სიკვდილის კარი შენ ვინც გაგიღო,
ცხოვრება სიზმრის წამებით დასჯის!

დარჩება ეს დღე აბლავლებული,
გადაუხდელი დაგრჩება ვალი,
შენ უნდა ჩემი მინა გაგეჭრა,
მე კი არ უნდა ჩამეცვა შავი!

13.06.24⁶

გიორგი მიროტაძის ხსოვნას

განგმირული და არდაცემული,
არ ხარ წარსული, ხარ
გარდასული,
საკუთარ ქუჩად, მზედ სახეცვლილი...
დაიარება დღეს შენი სული!
ცოდნის კარები, მიტოვებული,
შენ მიდიოდი მამულისათვის!
თეთრი ხალათი აბჯრად მოსხმული,
სული წიოდა, დედულისათვის!
დედით აფხაზი, მამით ქართველი,
სამშობლო გქონდა შენ ერთადერთი,
წმინდა, ვით წყალი, სავსე, ვით მთვარე,
მთვარეს გიყოფდა ჰაერში დენთი.
კალთას გაგლეჯდნენ, როგორც ობოლი,
მტერი უსახო, ვერ გაითვალე,
არ გინატრია ორი სამშობლო,
ვერ გინათებდა ნახევარმთვარე.
შენი სახელით, ჩვენი სახელით,
ყველას სახელით, და-ძმური ხელით,
„ორაიდასაც“ ერთად ვიმღერებთ,
გვიცდის: ზღვა, მიწა, სახლი ბებერი...
შენი სახელით, ყველას სახელით,
ცა ხიდის თავზე,
სრულ სავსე მთვარედ,
გადაებმება ოქროს ძაფებით,
ერთ ქუდად, ერთ მზედ,
ჩვენ იმ დღეს ველით...
გულზე ღილამწყდარ,
ჩონგურ სიმგამწყდარ,

ობლად დარჩენილ დედულ-მამულში,
როს დავბრუნდებით
ნაშიმშილარი
და დანაყრდება გული უმწყრალი.

27.06.23 წ.

მამას

(ტკივილამდე მენატრები
38-წელი არგანყვეტილი მამა-შვილობა)

შენი გარდასვლით გარდავიდა სხვლაში ბავშვობა,
აპრილის რვაში შემომაცვი ჟამ-ბედშავობა.
მოვა აპრილი, შემოახსნის კორდებს საკინძეს,
გამოაღვიძებს რბილობებში დაფსკვნილ ჭრილობას.

გადასკდებიან ყინულები მყინვარწვერებზე
და უშენობას შემახსენებს კანქვეშ ცივობა.
ისე აშრევდა, ისე დამრა სისხლი ძარღვებში,
დამშრალ ვენებზე მარილიც კი მეამებოდა.

გავა აპრილი, გაიყოლებს სიშორის ნალველს,
აკლდამებს შორის სიჩუმეებს წვიმა დაარღვევს.
მოვა აპრილი აფეთქდება გულში ტკივილი
და აპრილიდან აპრილამდე სული იკივლებს.

გზას გამიკვალავს იმიერში ჩონგურის ხმაც და...
შეხვედრამდე მჭამს მოგონების გონ-გულის განცდა.
შეხვდებით როცა... დაამდება გულიც, სხეულიც,
დაივანებენ ტანჯვისაგან ტვინთა ხვეულნი.

ვალმოხდილივით შევცურდები სულთა სასულეთს,
ყოველ აპრილებს ან მაისებს ქრისტეს ვთხოვ სულ ერთს...
ჩვენს ნაკვალევზე იბიბინოს მწვანედ ჯეჯილმა
და არ დაუშვას ნარ-იონჯას გაჯეჯილება...

08.04.2024 წ.

იქ სიზმრების შავია...

(ვალიკო-მიმინო კაკაურიძის რომანის მიხედვით.
„მილიონიან ქალაქში“)

გისოსებს მიღმაც დგება ზამთარი,
მკაცრი და კაცთა ვერა წამალი,
იქ უფრო მეტად მიიზღაზნება,
აქ ნება-ნება სწრაფი-ფრთამალი.
გისოსებს მიღმაც გაზაფხულდება,
იქაც ჭიკჭიკებს ვიცი, მერცხალი,
მაგრამ დიდია გისოსებს მიღმა,
გატარებული ერთი ზამთარიც...
და თუ ცოდვები არ გეპატია,
არ შეგინყალა დრომ და კანონმა,
ერთ ზამთარს თუკი მეორე მოჰყვა,
ეს გახდა შენი ცხოვრების ნორმა.
ვინძლო სულ ყველამ გადაგივინყოს,
დედა მომავლის იმედებს იმყნობს.
ფიქრებით ახლა ცივ ლოგინს გითბობს,
ფიქრებში მუდამ სადილზე გიხმობს.
მხრებში მოხრილი
დარდით და ჯაფით,
სახლში ფუსფუსებს

ჭალარა ქალი.
- შეილო, მოხვედი?
ხომ არა გშია?
ხომ არ შეგცივდა? გარეთ ქრის ქარი!
დედას სახლში და შენ გისოსს მიღმა,
სარკმელს გილენავს ავყია ქარი...
და ხშირად ალბათ სიზმარში სხივიც,
გამონათებს სიტყვა - „სვეშამი“...
გინდა, რომ აღარ გამოიღვიძო,
მაგრამ გაღვიძებს
ბადრაგი მკაცრი,
ვინძლო წაგიღოს სიზმარში სიომ,
იქნებ კარცერშიც კი გიკრან თავი.
იქ ხომ სიზმრებიც მხოლოდ შავია,
იქ სიშავესაც აგიკრძალავენ.
გინდ ღვარად ღვრიდე ცრემლის ნიაღვარს,
იქ ცოდვილს, ცოდვას გაცოდვილებენ.
თუ ჭაობიდან ხავსიც არ შეგრჩა,
ხავერდის გზიდან არ გადახვედი,
მოაღწევს კიდეც შენამდე სირჩა,
„თავისუფლება“! სიტყვით-თანხვედრი...
გაიჯახუნებ რკინის კარებს და
ზონიდან ისევ „ზონაში“ ხვდები...
დაბრუნდი, ბიჭო! ჩაგესმით სხვა ხმა,
წარსულის კვალთან ნაშიერდები...

P.S.

აქ ყველაფერი შეცვლილია, ქუჩაც კი წახდა...
ხალხით, სახელით, მეგობრებით, ზოგჯერ მეზობლით...
და თუ შენს სახლში დედა კი არა, ფოტოც არ დაგხვდა,
ხვდები, რად იყო ობოლივით სიზმარიც შავი...

05.02.24 წ.

დატირება...

(ვარდენ-მელიტონიჩ კაკაურიძის ხსოვნას)

კიაფობს სხივი ოქტომბრის სხვენში,
წნულ-გოდრებს ათბობს, ეძახის რთველში.
რა იცის მზემ, რომ სატირალშია
სხვენის გოდრების მკურთხველი მრევლი.
ქარიც ჩიოდა წელს უშენობას,
ვაზის ფესვებში მხრებმოზუზული.
გადადიოდა ობლად სხვა ხევში,
უსტვენდა ჩუმად ხმა მოგუდული.
ცოლიკოურის ცრემლების ნაჟურს
და უყურძნობას წუხს საწნახელი.
უჭირნახულო ჭურებსაც უჭირთ,
გელოდებოდნენ თავმოუხდელი.
უშენოდ როგორ ავაჭრიალო,
მარნის კარები ვერჭირნახული.
დაობლდა ოდა, დასკდა ორშიმო
და უღვინობას წუხს წელს ჭურები.
ქარი და წვიმა ჩუმად დიოდა,
ვაზს აღარ ჰყავდა კაცი მკრეფავი.
ყორნისთვის ყრია ყანა და ზვრები...
აღიონს შერჩა ძალლი მყეფავი.
ჩამიჩს მიკორტნის ჩიტი ჩიორა,
ჩიოდა ვაზი დაუკრეფავი.

24.02.24 წ.

P.S.

ვალიკო კაკაურიძე -მიმინოს რომანის მიხედვით.
„მიღონიან ქალაქში“...

შენც დამტოვა...

(მამიდას. ლამარა
როსტიაშვილ-გაბროშვილს)

წუხელ ძლიერ განვიმდა ბოლო ძაფი განწყვიტა.
ალარა მყავს მამიდა, მამას ხელი ჩაჰკიდა.
მამისა და ბებიის გულზე სევდა მეკიდა.
ახლა ზეცას გაუყვა წვიმის გზებით მამიდაც.

როცა ყელში გკოცნიდი სევდა მინელდებოდა.
მამის სუნი დაგქონდა, მამა მიცოცხლდებოდა.
ახლა ვისთან ვიჩივლო, ვინ მომიყვებს არაკებს.
ძე გვის თუ ალარა გვის, ძეგვის შუკებს-ალაგებს...

წუხელ გული ამტკივდა, გამახსენდა ხის ოდა...
წვიმამ ქუჩა ჩარეცხა, ფიქრი სადაც დარბოდა.
წუხელ ძლიერ განვიმდა, წვიმა ოდას რეცხავდა,
გაიყოლა მამიდამ სურნელება მამის თან...

24.03.24 წ.

ლარკა

(ლარისა ივანიშვილი-კოტორაშვილი)

როგორ გარბის დრო და მეორმოცე დღეა.
თითქოს გუშინ იყო, ჩაესვენა მზე და...
აღარ ისმის შენი, საარაკო ლხენა.
შენი გულიანი კისკისი და მღერა.
წახვედი და გულში, დამიტოვე სევდა.
ახლა შემომცინებ მხოლოდ სურათიდან.
საიდუმლოს წელს კი გავცემ შობის-თვიდან.
ვიცი არ მიწყენ და გულზე მომეშვება.
ხუთი წელი ვმაღე, შენი ღვთისხატება.
ახლა როცა არ ხარ, მინდა გავამხილო.
დიდ ხმაზე ვიყვირო, ეს ლარკაა, ლარკა.
ქველმოქმედი ჩუმი, თოვლის ბებო ლარკა.
ხუთი წლის წინ, სამი, ოჯახი ახარა.
ქრისტეშობის ღამეს, მაღლი მოაყარა.
მე მომანდე ტვირთად, საიდუმლოს ზიდვა.
ვიცი, როცა არ ხარ, მათრახს არ დამარტყამ.
ხოდა, ვტირი, ვყვირი, ყველამ შესვით ხსოვნა.
ჩუმი სიკეთის და... ცად აფრენა ლარკას!

01.12.23 წ.

წერილი ჰმას

(დავით როსტიაშვილს-10.04.1966წ).

მიყვარს აპრილი და რიცხვი ათი,
ამოკემსილი წარუშლელ ძალად.
შენით ვარ, დათი, ძლიერი ახლა
და არ მიმტყუნო, სანამდის დავალ!
ბედმა გარგუნა ორი ძმის ნაცვლად,
შენ ერთს გეზიდა და-ძმობა ვალად!
თვალს გადავავლებ გარდასულ დღეებს,
თვალწინ გაირბენს დღეთა ზმანება,
ყველაზე ძლიერ მომნატრებია:
„პოლის ტილოთი“ გასეირნება.
თქვენი ხელით რომ მაჭმევდით ფაფას,
ჩემს სიყვარულში რომ გქონდათ დავა.
ნეტავი ვიყოთ ისევ ბავშვები,
გაპატიებდი ისევ გაძრომას
კარების ნაცვლად დარაბებიდან,
რომ არ მეტირა, - „დათისთან მინდა“...
შენს გარდა ამას სხვას ვერ ავუხსნი....
შენა გწერ, ძმაო, ამ ბოდვებს ახლა,
შენ დამრჩი ორის მაგივრად, შენს დას.
შეეშვი, ძმაო, მაგ ჭიქა-არაყს
და ნუ მიმატებ დარდებით სავალს.
სანამდის ვცოცხლობ, არ მიღალატო,
ვერ გადავიტან უშენოდ ყოფნას.
დღეს ისევ დადგა აპრილის ათი,
იასამნები აყვავდა, დათი!
მე და შენ დავრჩით დღევანდელ დღისთვის,
ნუგეშად დავრჩით ერთმანეთისთვის...

P.S.

რომ არ ვემსგავსო დაფშვნილ რიყის ქვას,
თავს გაუფრთხილდი, მე გადებ ვალად!
მიყვარხარ, ძმაო, ათასჯერ მითქვამს,
ამ გრძნობით მჯერა, ნემსის ყუნწს გავაღოთ.!

10.04.24 წ.

გამიღასი!

(დურო როსტიაშვილს-06.08.88წ).

მომავლის
ბედნიერ ოცნებებზე,
მე და შენ ერთად გავიზარდეთ...!

ერთად დავდიოდით გამოცდებზე,
ცხოვრებას ბილიკებად შევეზარდეთ...

მე, შენ და ოცნებები,
გავიზარდეთ!

06.08.24 წ.

დედის ლოცვა

(მაშოს-28.08.93წ)

ღმერთო,
როცა აფრინდება
მძიმე რკინა ცაში,
შენ გაბარებ,
შენი ფრთისქვეშ
მსუბუქია ტვირთი.
ღირს მყავ, კიდევ დიდხანს მევლოს
დედაღვთის მლოცველი,
ალიონზე მომაშველე
მადლიანი ხელი.
ღმერთო,
როცა დაეშვება მძიმე რკინა მიწას,
გთხოვ, სიმთელე აგრძნობინო
ჩემი გულის ფიცარს.
ცის იქით და ცის აქითაც,
შენი ლოცვა მინდა!
ხოდა,
შენთვის მომინდია,
მომყევ ციდან შინა!

24.09.24 წ.

ჯვარს არ ვინერდით

(ვალიკო კაკაურიძეს)

ჯვარს არ ვინერდით საუფლო სახლში,
არც ნიშანს ვდებდით, სახალხო ხალხში,
მაგრამ ყოველთვის გაზაფხულობით,
გვირგვინს მადგამდი და ვზაფხულობდით.

იმ გაზაფხულის სუნი ახლაც მცემს,
ხნულებს სცვიოდა სევდა ბელტებად,
ირგვლივ უკუნი სიბნელე გვემდა,
სიცოცხლის წყალი შემასვი ტბებად.

როცა მივეცი-საღათას ძილად,
აღარ მართობდა ბულბულის სტვენა,
შემომისახლდი, შემომხვდი თრობად,
სისხლით ამივსე დაცლილი ვენა.

ჭირისუფლისთვის გაშლილი სუფრა,
გადააქციე მეჯლისად, ლხენად,
გამომადვიდე, როცა არ მსურდა,
ვით ძე, მეცხადე, ჩამომხსენ ურვას.

ჩემში უეცრად გამოაფხიზლე,
ბავშვის და ქალის ოცნება მთვრალი,
ის პლატონური დღეები მიყვარს,
რომ აღმადგინე ფერფლისგან, მკვდარი.

ვით დაცლილ ჭურჭელს, ეჭვით რომ ვუმზერ,
ისე გიმზერდი ეჭვიან თვალით,
მაგრამ ვერ ვპოვე, ნიშანიც კი ვერ,
საეჭვიანო სიტყვების კვალი.

...და თუ ოდესმე ეჭვმა დამტბორა,
ვით იტბორება სფაგნიტ* ჭაობი,
სჯობს, არ მეღირსოს გამოღვიძება,
ღირსად არ ვიქცე მომსწრე თაობის.

არც ფიცი იყო, არც ღვთის კურთხევა,
იყო ცხოვრების გზების დამთხვევა,
ორი ურწმუნო, ადამ და ევა,
აკრძალულ ვაშლის სურვილით კვდება.

ჯვარს არ ვინერდით საუფლო სახლში
და ჭორობდა მორწმუნე ხალხი,
შენ კი ყოველთვის გაზაფხულობით,
გვირგვინს მადგამდი და ვმარხულობდით.

03.10.23 წ.

სფაგნიტ*-ჭაობის ხავსი.

307605
360650

კალოში...

დედა მომენატრა,
ავდექი და კალოში ვიყიდე.
არაფერში მჭირდებოდა, მაგრამ ვიყიდე,
წავედი და შავი კალოში ვიყიდე.
დიდხანს ვარჩიე,
შიდა გული წითელი რომ ჰქონოდა.
ბოლოს, სოფელში წასვლის წინ,
კალოში მთხოვა, მაგრამ...
ხოდა, ახლა ვიყიდე.
ვიყიდე და ძირები დავუხვრიტე,
როგორც ქოთანს.
დედა მომენატრა,
ავდექი და სასაფლაოზე ავედი,
ვიცოდი იქ ცივი ქვა იყო, უფრო ღრმად კი,
ან იყო ან არა...
მაგრამ მაინც ავედი.
კალოში მიწით ავაფხე, ავაფხე და სახლში წამოვიღე.
იის ბოლქვი ჩავრგე...
დედას უყვარდა ია.
ჩავრგე და იხარა.
ცალი კალოში ლოგინის ქვეშ შევაცურე,
კარგია, იმედები რომ არ გამიცრუე...
ახლა, დედა რომ მომენატრება,
კალოში ჩარგულ იას ვესაუბრები...
საფლავზე ასვლაზე გული ავიცრუე,
თქვენ უბრები ხართ და არ მესაუბრებით,
მალე მოვალ,
მე გეუბნებით...
მერე ხომ გამესაუბრებით?!...

09.11.2022 წ.

საყვედური არ დამცდენია...

მარტის თვე იქნებოდა.
ზუსტად ვიცი.
რადგან ერთი კვირის ვიქნებოდი,
დედის წიაღში.
მამამ დედას იები მოართვა.
არ დამინახავს, მაგრამ ის სუნი ახლაც მახსოვს.
რადგან იები იყო, მარტი იყო.
ალბათ რვა,
რვა იქნებოდა,
რადგან 1971 წელი იდგა, გაგანია კომუნისტური.
ქალთა დღეს რვა მარტს აღნიშნავდნენ.
დედამ,
- მადლობაო,
დასუნა იებს.
ის უნაზესი სუნი დღესაც მახსოვს.
ერთი წამი შეყოვნდა, ეთქვა თუ არა, ვერ გადაეწყვიტა.
მე დედის აჩქარებული გულის ბაგაბუგს ვისმენდი.
ბოლოს ამოთქვა,
- ქალის წესი დავკარგე,
რა დროს ეს იყო?
მესამეც რომ ვაჟი იყოს, რა გვეშველება?
სამი ოჯახი ძლივს ვეტივით ოც კვადრატში.
- არც გაიფიქრო, თქვა მამამ.
ექვსი წლის მერე გვერგო ისევ ღვთის საჩუქარი.
იქნებ გოგოა.
დამტირებელი მეყოლება.
...და ალბათ ისე მკაცრად თქვა, მე შეეხტი,
დედამ - ვაიო, მუცელზე ხელი მიიღო.
- იქნებ ასაკობრივია...?

ლამით დედას ბებია ესიზმრა.

- „როგორ მიხარია, შვილო, ჩემი სახელი არ დაიკარგება“.

(ეს ყველაფერი შემდეგ მონაყოლებიდან ვიცი,
თორემ, მაშინ ერთი კვირის ვიქნებოდი).

არაფერი მესმოდა,

ვერაფერს ვხედავდი,

მხოლოდ ვგრძნობდი.

ვგრძნობდი, დედის გულის ცემას,

დედის სურნელს,

დედის ნუხილს და იების სუნს.

რა კარგი იყო,

ნეტავ სამუდამოდ იქ დავრჩენილიყავი.

დედა რასაც ჭამდა, მეც იმას ვჭამდი,

რასაც სვამდა, მეც იმას ვსვამდი,

სადაც მიდიოდა სულ თან დავყავი,

რა კარგი იყო...

ერთხელაც არ დამცდენია საყვედური.

არც არასოდეს მქონია უარყოფილის შეგრძნება.

პირიქით...

რამე რომ მეტკინებოდა დედას ვეტყოდი,

ნეტავ სიზმარი არ გენახა...

ოჯახი ღვთის საჩუქრად აღმიქვავდა, ბარბარობას მოვლენილს.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა.

გაფართოებაშიც მოვხვდით, ჩემი შობის გამო.

მაგრამ მე პირიქით ვფიქრობდი.

ორივე ძმა ჯარში იყო, რუსეთის სავალდებულო სამსახურში.

1986 წლის აპრილი იყო, აღდგომა ახლოვდებოდა,

მამამ რომ დაგვტოვა და გადავიდა მარადისობაში.

მაშინაც გავიმეორე, - ნეტავ სიზმარი არ გენახა,

მამას დამტირებელი არ ეყოლებოდა...

იქნებ დიდხანს ეცოცხლა...?!

დედამ მაგრად მიმიკრა და ...
- ეგ მეორედ არ გაიმეოროო...
შენ რომ არ მყავდე, თავს მოვიკლავდიო.
ბებია მე გადამარჩინა,
მე დედა გადამირჩენია,
მამა კი ვერ გადავარჩინეთ...
ნეტავ შეიძლებოდეს, სულ იქ ვიყო,
სადაც რვა მარტს.
სამუდამოდ დამყვებოდეს მამის მორთმეული იების სურნელი,
სამუდამოდ მესმოდეს დედის გულის ბაგაბუგი,
სადაც წავიდოდა, მეც წამიყვანდა...

16.08.2023 წ.

მადლი

დავიღალე,
დავიღალე და ქვაზე ჩამოვჯექი.
იქნებ ვიღაცამ მადლიც კი დადო ამ ქვაზე, ოდეს.
ან მამაჩემის დატოვებული ქვაა სულაც და...
მადლიანი კაცი იყო მამაჩემი, ჩემთვისაც დატოვებდა ქვას.
არ ვიცი რამდენხანს ვიარე, პირიც მიშრებოდა.
ქვის ქვეშ სისველე შევნიშნე, ქვა გადავაგორე და...
მინა მოვჩიჩქნე,
წამორაკრაკდა ძაფივით წყარო მიწის გულიდან.
ხელსახოცი დავაფარე, გავფილტრე,
დედის რძესავით შემერგო
მამის მადლი.
წყურვილი მოვიკალი.
ცოტა სული მოვითქვი,

მოვითქვი და ზემოთ ავიხედე.
უფალს მადლობა შევწირე, ექოთი დამიბრუნა.
თავზე სალი კლდე დამდგომოდა, გაღიმებული,
ბაგესავით გაპოხილი ნაპრალით და ნაპოხში წყლის
ნაკვალევით.
მერე შუანელში სადღაც იკარგებოდა წყალი,
იკარგებოდა და ჩემ ტერფ წინ ისევ ცოცხლდებოდა.

14.08.2023 წ.

მე და კაკლის ხე...

დავიბადე...
მამამ ეზოში კაკლის ხე დარგო,
ვიზრდებოდი,
როგორც ჩვენს ეზოში ის კაკლის ხე.
ხან ვზაფხულობდი,
ხან...
უეცრად ვშემოდგომობდი,
ხან...
ჟამი მკაცრი ზამთარივით გადაივლიდა.
ამ კაკლის ხეს ვერ შევედრები ნაყოფის სხმაში,
მაგრამ საჩემო სანაყოფე მაინც მოვისხი.
კაკლის ხე დროთა სვლას მისდევდა, ფოთოლთ შრიალით.
მე კი, ჟამთა სვლას ხან ვასწრებდი, ხან გამასწრებდა.
დაუბერავდა ქარი და ფოთოლს აცლიდა ხეს,
დაუბერავდა ქარი და ვერკინებოდი მე.
ბერდებოდა და ვბერდებოდი, ვით ეს კაკლის ხე,
ცულის მოქნევის დროს ველოდი,
გამოფიტული...

19.07.2021წ

დედა უკვდავია!

- რა ჩაიფიქრე?
დღეს სურვილების ასრულების დღეა.
- ღმერთო, დედა მყავდეს კარგად!
- დედა?
დედა ხომ არ გყავს?
- კი მყავს,
იქ ცაშია და ზემოდან გვიყურებს!
- მერე იქ კარგად როგორ იქნება?
- როცა თავის შვილებს ბედნიერებსა და კარგად მყოფებს
უყურებს,
გარდაცვლილი დედაც კი კარგადაა!

22.02.2022 წ.

შემშურდა...

ცხოვრებაში არასოდეს,
არავისი,
არაფერი შემშურებია.
არცა სიმდიდრე,
არც სილამაზე,
არც...
არც...
დღეს პირველად შემშურდა,
მათხოვრის
და ისიც ლოთის.
დილაუთენია შუქნიშანთან შემხვდა.

ნაბახუსარი, გაბურძგნული, აბუზული.
სიხარულით ჩავუყარე ხურდა,
იმ იმედით, რომ
დღეს სიკვდილს გადავარჩინე.
ნაბახუსარმა თუ არ დალია,
გული გაუჩერდება.
კაცი იფიქრებს, რა შეშურდაო?
კეთილი საქმე ჰქმნაო.
- შემშურდა!
მის თვალებში სიცოცხლის წყურვილი
დავინახე,
ყველაფრის მიუხედავად,
სიცოცხლე სწყურია.
სხვა შემთხვევაში თვითონაც იცის,
თუ ცხოვრება მობეზრდება,
აღარ დაღვეს
და ერთ საათში,
ან არც კი,
გული გაუჩერდება.
ე.ი.
ყველაფრის მიუხედავად,
მისთვის ცხოვრება მშვენიერია...

10.11.2022 წ.

მინდა თოვდეს...

წვიმს.

შემოდგომაა და წვიმს.

რა გასაკვირია, რომ წვიმდეს,

წვიმდეს ან ცრიდეს,

ან შემოდგომის სილიანი ქარები ქროდეს ან

ლიანები ქარში კიოდნენ,

ან ტირიფები გაყვითლებულ ფოთლებს სტიროდნენ

და სადღაც ხევში, ჭადრის ფოთლებს ნიაღვარი მიაცურებდეს,

როგორც ნავი,

ბავშვობაში რომ წვიმის რუებში ვაცურავებდი

და მადნებოდნენ ოცნებასავით ან ოცნებები მეცლებოდნენ

რვეულის ფურცლიდან ამოხეულ თვითმფრინავით...

და ყველა წერდეს, წერდეს, რომ წვიმს, რომ ცრის, ან ქრის,

ან სულაც წერდნენ, რომ ცხოვრება ჭირს!

დღეს უჭირს ჭკვიანს,

თორემ უჭკუოს არც ჭკუა უჭრის და არც ცხოვრება,

რომელიც ორდება,

ღორდება და ისე გორდება, რომ გაორებულსაც კი უჭირს,

უჭირს გამკლავება ჭირის.

მასაც და სხვასაც ცხოვრება ჭირხნის...

ჭირი იქა, ჯანდაბას იქით...

მე კი მინდა, რომ თოვდეს და დამათოვდეს, როგორც მადათოვს,

გალას მადათოვს, ათოვდეს...

და ღვთისმშობელი ადგეს გზას ბეთლემს

და დეკემბერი იდგეს შობისა,

მე კი, ვით ვიშვი დედიშობილა, უცოდველი და ცოდვებით სავსე,

შვიდი დლით ადრე, ვიდრე იესო და საუკუნე ცხრამეტის მერე,

შობამდე...

თავიდან ვიშვა ომამდე ან ომის მერე,

ანდა გაზაფხულამდე
ვიმარხებოდე თოვლში და თოვდეს
და გულს მეფინოს თეთრი ვარდები,
გუნდების არა! მართლა ვარდები...
მოგონებებში გადავვარდები,
მომაგონდება ძმების და დების
გუნდაობა.
გუნდების რბოლა...
ქარბორბალა...
გუნდებით მარხვა მიყვარდა მაშინ, იმ ბავშვობაში,
ბავშვობაში რომ თოვლში ვმარხავდით
მეგობრებს.
ბავშვურ სიანცით თოვლს ვჭამდით და წყალს ვაცლიდით ანცნი.
რა ვიცოდით, რომ დიდობაში ნატვრად ვაქცევდით
ბავშვობის დღეებს...
მაშინ რამდენჯერ ვინატრე გულით,
ეყოფილიყავი ბავშვი კი არა,
დიდი და დიდზე ქალი ზრდასრული
და სრული ვალი მქონოდა წლების,
წლების, რომელსაც პატარად ვთვლიდი...
ახლა კი ვნატრობ თოვლს და მადათოვს,
ვნატრობ ბავშვობას და თოვლში სიკვდილს,
ვარდების თოვლში ანუ გაზაფხულს,
როგორც გალა ან
მირზა ფარაჯიანი...
მათოვდეს, როგორც დამარხულს თოვლში
ენძელას ანდა იას,
ან ნებისმიერ ყვავილის ფიცით, ვიმარხებოდე
სისპეტაკით და უცრემლო თვალით,
სიცოცხლით სავსე
სიცოცხლის ბოლოს...

და ბოლოს ვიცი, არ დაბრუნდება,
არ დაბრუნდება წლები წასული,
ასევე ვიცი, დაბრუნდებიან,
დაბრუნდებიან ყოველ გაზაფხულს...
დაუბრუნდება მერცხალი ბუდეს,
მოიორსულებს,
ვით ჯადოსნური თეთრი აპკიდან ყელტიტველები
იბადებიან შავი ბარტყები.
კიდეც მრავალწელს ბუდეს იბარტყებს,
როგორც ბარტყობდნენ, ჩემამდე ანდა,
ანდა იქამდეც,
მე რომ ამქვეყნად არ ვიყავი და რომ არ ვიქნები
იმ გაზაფხულზეც...
წვიმს.
მე მინდა თოვდეს!

17.10.24 წ.

ნერუ

კეთილი...

დაღამდა.
დაეშვა ფარდა,
დასხედით, გიყვებით ამბავს,
როგორ იდგმება სპექტაკლი,
კულისებს მიღმა რომ დრამაა.
რა ღირდა ბილეთი იკითხავთ...
არ ვიცი, არც კი მიკითხავს.
უფასო პარტერი მქონდა,
თუმცა გადავიხადე ღირსილით,
კეთილი ბოლო რომ ჰქონოდა.
გათენდა.
იწყება სპექტაკლი,
სცენა აკლდამას ჰგავდა,
რადგან ღირსილები მაკლდა,
სევდას ჯაჭვის პერანგს ვაკრავ.
ნამიან სასთუმალს ვმაღავ,
ყოველდღე ვუცვლი პირებს,
ყოველდღე ვპირდები შეხვედრას,
ჩემსა ხვედრს, საღამოპირზე...
ვატარებ ღირსილის ნიღაბს,
თუ მტკივა,
თუ მიწვავს ნიკაპს,
დროს არ დავუნიშნავ იმ წამს,
ორკაპს გამოვუსვამ თივას.
ჩამოვშლი ნაშენებს ზვინად.
ვიცინი, როდესაც მტკივა,
მტკივა და გაზაფხულს მიკლავს...
კივილით არ ვცადე ტირილი,
ვატარებ კლოუნის ნიღაბს.

სიცივით ტკივილსაც ვკურნავ,
როცა სიკვდილივით დამაქვს,
ობლის უფუარი კვერი.
როდესაც ბოლო წამი ხვნეშის,
სმენასაც ჩავრაზავ სხვენში,
რომ აღარ ჩამესმას მარად,
არც მამის, არც დედის, არც შენი,
ბოლო ამოსუნთქვით ნაშენი...
თალხი დღეებიც რომ მქონდა.
მომქონდა ნილბიანი დღეები,
ილბიანი დღეების ზურგით,
რა ვქნა, ეს ამაღ უღირს,
ჩემს სახეს ჩამქრალი შუქით...
ვფიქრობ, არ იყო საჭირო,
მეთქვა, რომ ღიმილი გაქრა,
ერთ დღესაც მესტუმრა წარღვნა,
სახეზე შემაშრა ღიმილი,
ნილბებით დამჭირდა დაცვა.
ისე მე მიყვარდა იცოდეთ,
ჩემი ტკივილის ნამცეცები,
დროში რომ საცერში გავცერი,
ტკივილი ღიმილით ავცერი.
ჟამის გაურკვეველ ბაქანზე,
ბოლო მატარებლის დაცდამდე,
მშველის ნილბების ტარება,
ნაცნობ და შორეულ ცამდე...

07.10.24 წ.

ნერუ

იჩქარე ნელა

არ იარო ჩქარა, რადგან დროს ვერაფრით გაუსწრებ,
შეიძლება დროს ჩამორჩე, ან გამოგრჩეს დროში დღე,
მაგრამ თუ აჩქარდები და ანგელოზი გიმუხთლებს,
განა უფალმა გიმტყუნა შენ უმტყუნე შენ მუხლებს.
ანგელოზი დაიღალა შენი რაშის ჭენებით,
შენ კი მხოლოდ საკუთარი გადარდებდა შენების.
არ გინახავს, როგორ ტირის ფრთადაღლილი ქალღმერთი,
თორემ ცოტას ინანებდი, ცოტას შეისვენებდი.
შენ ცხოვრობ ახლა იმ დროების გზაგასაყარზე,
ძნელია, უცოდველად მიიყვანო გზა ბოლომდე.
მაგრამ იჩქარე ნელა და ეცადე არ იარო იმაზე ჩქარა,
ვიდრე შენი ანგელოზი დადის...

22.02.24 წ.

ყველგან ქაოსია...

ნუგეშად რომ მქონდა იმედი და დედის უფუარი ხმიადი,
წყაროს წყალს სამჯერ გადავავლებდი და მეყოფოდა
გათენებამდის...

აღარც წყალია და აღარც ცვილი, არც მოსაზელი
ვარცლში ფქვილი,
ვირთხებს დაუპყრიათ მარანი, ნამლად ერთი ჭიქაც
არ არის...

სულს ვათრევ, მაინც რას ველი, რამდენი დამრჩა
კიდევ გასათევი?

სიზმარი იქნება, სიზმარია!

ასე არ წავმხდარვართ ქართველნი!

ერთი პირი წყალსაც დაეძინებო, ბებია მიყვებოდა მაშინ...

შინაც, გარეთაც მახეა, მარხია უთქმელი სათქმელი.

ხეა, ბუჩქია თუ ჭოტი მათაც ერთი პირი ჩასთვლემთ.

ზუსტად ძილის დროა, მაგრამ

- რა დროს ძილიაო, „ვარქსენ“!

ყველგან ქაოსია, ნახე!

ამხილე, თორემ გამხელს!

იგონებ ექოს წარსულისას, ყვირი, - ვერ ვიპოვე ჩემი სულის,

იყო და არც იყო გასაკვირი, დადიხარ, მარტოსული ათევ...

ათრევ, გაძლება გმართებს!

თუ პირიქით მართებს და გათრევს...

ლამენათევი გამთენიას სანთელს ანთებ და რა ძნელია

ყველა ტვირთი რომ აჰკიდო,

მას ვინც ოდესღაც გაყიდეს და ვინ იცის, შენც

რამდენჯერ გაყიდო

სუნთქვაშეკრულ პირჯვრის წერით:...

ერთი, ორი, სამი!

- სამობითააო,

ხო, სამობით, ასე დაგარიგეს ნათლობისას.
შენც სამჯერ ისახავ პირჯვარს.
შუბლიდან მკერდზე, მხრიდან მხარზე, ფუი, ეშმაკს!
განდევნი, მას და „უფალო, შემიწყალე, ასგზის“!
მერე წყალსაც გადაყლურნავ წმინდად ნაგროვებ აიაზმის.
ლოცვის დამთავრებას ვერ ასწრებ და ცოდვა დაგენწევა
სხვა მხრივ,
სვე-ბედით გაორებულ სამყაროში გინდა კენჭი ყარო ისევ,
მეორე მოთამაშეს ეძებ, კაცი ხარ და მაინც ვერ ძლებ,
„კენტს“ სიგარეტსაც არ ეწევი, არათუ ცხოვრება გააკენტო,
ჯავშანი ატარო რატომ?
შორს შენგან, ისიც გამთენიას, გაიგონებ, მატარებელი
რომ დაიძახებს...
ხატრით ახელ თვალებს.
წამში ჩაიქროლებს, მიწყნარდება, შიშისგან დაეცემი მუხლზე,
მეგონა ასრულებდი მეტანიას, თურმე საყვირის ხმა მოგდევს.
თან გდევს ღუმილი და უთქმელობა, შენ ღამის წყვდიადს
და ის შენ...

22.11.24 წ.

సమగ్రం

მშობლების სსოვნას

ხანდახან ისე მენატრება დედასთან საუბარი, რომ ცრემლი ყელში მეზჯინება, რა ლალი მეგონა ერთ დროს ცხოვრება და სინამდვილეში რა ძნელი ყოფილა.

დედა და მამა არასოდეს ჩხუბობდნენ, შემთხვევით თუ მეზობლის სახლიდან ჩხუბს გავიგებდი მიკვირდა.

ორი ძმა მყავდა და ორივე ჩემ სიყვარულში ეცილებოდა ერთმანეთს, შემთხვევით თუ გავიგებდი დედმამიშვილების კამათს, ესეც მაკვირვებდა. ცხოვრება იდეალური მეგონა და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რატომ, რისთვის, რას ვერ იყოფდნენ. ეს ალბათ ჩემი მშობლების დამსახურებაა, ილუზიაში მაცხოვრებდნენ, ცხოვრება მარტო ტკბობა მეგონა...

გავიზარდე და თავად მივხვდი ყველაფერს, ცხოვრებამ ბევრჯერ მატკინა, მაგრამ მასწავლა კიდეც, ვარდისფერი სათვალის მოხსნა. თუმცა დღემდე მგონია, რომ სიყვარულით უნდა მოექცე ყველას და ყველაფერს, ჩხუბი მიუღებელია და გამოსავალი არაა, ვერ ვიტან კამათს და მირჩევნია მტყუან ადამიანსაც დავუთმო.

ადამიანებს კი არა, ცხოველებსაც არ უყვართ ყვირილი და სახრე. აბა, სცადე და ყველაზე ერთგულ ძალს დაუყვირე, თუ არ გიკბინა დაგიღრენს მაინც.

ასეა...

ცხოვრებასაც არ უყვარს აყალმაყალი, მერე იმანაც ბობოქრობა იცის.

დედა მენატრება, რომელიც მეტყვის,

- როგორ ხარ, შვილო? დედა მოგიკვდეს, შვილო, ხომ არ დაიღალე, შვილო...

მოდის, ისადილე, ნინო, და ბევრი ასეთი, შვილო და ნინო...

მენატრება ის დრო, ყველანი ერთად რომ ვცხოვრობდით.

მამა მენატრება, კაცი, რომელიც ჩემს ცხოვრებას კაცის ეტალონად შემორჩა.

ჩემს მეხსიერებას კი სიკეთით სავსე, ალალი და პატიოსანი. თავისუფალ დროს წიგნით ხელში.

დრო, რომელიც აღარ დაბრუნდება და წარსულით ვსაზრდოობ, მაგრამ ვცდილობ წინ ვიარო.

მტირალა ბავშვი ვიყავი. შევძვრებოდი საწოლის ქვეშ და სანამ სურვილს არ ამისრულებდნენ, ნიანგის ცრემლებით ვტიროდი...

მამა მეტყოდა ხოლმე:

- არამც და არამც არ ანახო ადამიანებს შენი ცრემლები, ცრემლი სისუსტის ნიშანიაო...

ჩემი ძმა კი დამცინოდა, ოღონდ სიყვარულით, - შეაგროვეთ ნიანგის ცრემლები, ოქროს ფასი აქვსო და ორივე ხელის მუჭს გამომიშვერდა, ვითომ ცრემლების შესაგროვებლად...

სხვა ცრემლებს მიხსნიდი, მამა, თორემ თქვენ რომ ცრემლი დაგადევნეთ, ის სულ სხვა ცრემლი იყო, მას მერე გავძლიერდი და მებრძოლი გავხდი. მამა რომ უკანასკნელ გზაზე გავაცილე, ღრმა ძილიდან გამოვედი, ცხოვრებამ ჩამჩურჩულა, დიდი ხარო, არადა 12 წლის ვიყავი...

შენი წასვლის მერე, თვალსა და ხელს შუა გავიზარდე. ახლა როცა უკვე მართლაც დიდი ვარ, მგონი, ცრემლიც დამიშრა. ხშირად მიტირის გული, თვალი კი აღარ...

08.04.20 წ.

ზბორები

თავშივე ვიტყვი, რომ არ გამაკრიტიკოთ, შემეძლო შეკრება დამენერა, მაგრამ როცა „ზბორს“ ვიძახდით გასაგები იყო, რომ სპორტსმენები ვიყავით და არა დიდი სფეროს წარმომადგენლები, შეკრებებზე რომ დადიოდნენ.

ჩვენ უბრალო სპორტსმენებს ამისთვის არავინ გვაკრიტიკებდა, მეტიც რაღაც სხვანაირი სიამაყის გრძნობით ვამბობდით. ამ სიტყვას დიდი დატვირთვა ჰქონდა, „ზბორებზე“ მივდიოდით ანუ სახელმწიფო ჩვენში ხედავდა პერსპექტივას და ჩვენს აღზრდაში ფულსაც დებდა.

10 წლის ვიყავი, ალბათ, თუ სწორად მახსოვს.

თბილისშივე გვექონდა „ზბორი“ და 30 ცალი ერთ მანეთიანი, კვების ტალონი დაგვირიგეს.

სპორტსმენს და თან სახელმწიფოს თვალში პერსპექტიულს, კარგი კვება ხომ სჭირდებოდა.

რა გამოვიდა, სულ რაღაც 10 წლის ბავშვებს ხელფასი გვექონდა 30 მანეთი.

დღეს დამსახურებული სპორტსმენებიც მგონი თვითონ იხდიან ფრენის, კვების და საცხოვრებლის ფულს.

80-იან წლებში სახელმწიფო აქეთ გვიხდიდა, ხოდა, არ ვარგოდა ის სახელმწიფოო, არა, კი არ მივტირი, ახლა რუსეთუმობა არ დამწამოთ, მაგრამ ასე იყო „სიმართლე თვალის სინათლე“.

ხოდა, იმას გიყვებოდით, რომ გამოდის 10 წლიდან ხელფასიანი გოგო ვიყავი. ჩემი კვების ფულს თავად გამოვიმუშავებდი, ჩემივე თავდაუზოგავი ვარჯიშით.

საერთოდ 6 წლისამ დავინწყე ვარჯიში.

პირველად სკოლის ბაზაზე მივედი. ჩავენერე აკრობატიკის ჯგუფში, პირველი მწვრთნელი დღევანდელი დღე-

სავით მახსოვს. ემილია ჰაიკოვნა, მოხდენილი სპორტული აღნაგობის რუს-სომეხა ძალზედ მკაცრი ქალბატონი იყო.

ერთი წლის მერე შეჯიბრზეც გაგვიყვანეს. შერჩევითი შეჯიბრი იყო, „პაკაზატელნის“ რომ ვეძახდით მაშინ.

შემარჩიეს რამოდენიმე გოგოსთან ერთად და დაგვიბარეს „შრომით-რეზერვებში“.

ნახალოვკაში იყო ასეთი დიდი სპორტული დარბაზი, ახლა მგონი ლტოლვილები ცხოვრობენ. დაიბარეს მშობლებიც და უთხრეს, თქვენს შვილებს მონაცემები აქვთ „დაროშკაზე“ ხტომაში და უნდა გადავიყვანოთ „შრომითებში“. ასე ეძახდნენ მაშინ. დედაჩემმა ქვა ააგდო, თავი შეუშვირა, რას ამბობთ, სად მცალია თემქიდან ნახალოვკაში როგორ ვატარებო. აბა, 7 წლის ბავშვი ხომ არ ვივლიდი მარტო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ერთი წლის მერე ისევ დაგვიბარეს, რადგან იგივე მწვრთნელებს, ნუგზარ შარმანაშვილს და ჯუმბერ ლაშხს იმ ზაფხულს თიანეთის ბანაკშიც შევხვდი და გამოაცხადეს - ეს ბავშვი ცოდოა სკოლის ბაზაზე სავარჯიშოდ, აუცილებლად უნდა გადავიყვანოთ „შრომითებში“.

თიანეთში დავდიოდით ზაფხულობით სპორტულ ბანაკში, სიცხეში თბილისში ჭირდა ვარჯიში.

თიანეთის ამბებს სხვა დროს მოგიყვებით.

ხოდა, იმას გეუბნებოდით, მოკლედ ისევ დაიბარეს დედაჩემი და გამოუცხადეს, ქალბატონო სოფია, ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას, ამ ბავშვს დიდი მომავალი აქვს და აუცილებლად უნდა გადავიყვანოთ დიდ დარბაზში ანუ ნახალოვკაში.

ბევრი იფიქრეს და გადაწყვიტეს, რომ დედა დილის 8:30 წუთზე დამსვამდა 62 ნომერ ავტობუსში და იქ მწვრთნელი დამხვდებოდა გაჩერებაზე. ვარჯიშს რომ მოვრჩებოდი,

მწვრთნელი დამსვამდა ისევ ავტობუსში და თემქაზე კი აღარ მინდოდა დახვედრა, სახლამდე როგორმე გავიგნებდი გზას. ფორმას გამოვიცვლიდი და 13:30 წუთზე უკვე სკოლაში უნდა ვყოფილიყავი.

დღეგამოშვებით სკოლის დარბაზში გაკვეთილების მერე ცეკვაზეც დავდიოდი, ამაზე ცალკე მოგიყვებით.

ან ვინ დამხვდებოდა, დედაც და მამაც თავდაუზოგავად შრომობდნენ, ძმებიც სკოლაში დადიოდნენ.

გადაწყდა, 8 წლის ლანჩირაკს უნდა მევლო თითქმის მართო თუ არ ჩავთვლით, რომ დედა გამაცილებდა და მწვრთნელი გამომაცილებდა ავტობუსამდე.

ხანდახან მეგობრის დედას როცა ეცალა, რუსიკო დეიდას, დაეყავდით მე და ია, მაგრამ ყოველთვის არც მას ეცალა. მერე იამ ხელი მოიტეხა და თავი დაანება ვარჯიშს.

რამოდენიმე თვე გასტანა ალბათ ამ გაცილება-გამოცილებამ. მერე როგორც ხდება, გავიცანი ბავშვები, ზოგი სანზონაში ცხოვრობდა, ზოგი თემქაზე, ზოგი გლდანში, იყვნენ კონიაკის დასახლებიდანაც, მაშინ ჯერ მუხიანი არ არსებობდა.

რამოდენიმე თვის მერე გამოვაცხადე, მარტოც კარგად ვივლი-მეთქი.

მამამ, აბა, რა, შენი იმედი მაქვსო და ნება დამართო.

მამა ყველა შეჯიბრს ესწრებოდა და თუ პირველ ადგილს დავიკავებდი, სახლამდე გულში ჩახუტებული მოჰქონდა გამარჯვების დიპლომი.

ასე და ამგვარად 8 წლიდან შემაჩვიეს დამოუკიდებლობას. 10 წლიდან საკუთარი კვების თანხის გამომუშავებას და რა გასაკვირია, რომ 18 წლიდან მუშაობაც დავიწყე. იმ დროისთვის სოლიდური ხელფასიც მქონდა.

ბოდში, ლამის დამავიწყდა, წარჩინებული სტუდენტიც გახლდით და მთელი სტუდენტობა ხუთოსნობის „სტიპენდიასაც“ ვიღებდი 50 მანეთს.

მგონი თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ ერთსაც ვიტყვი და ამით დავამთავრებ, სახელმწიფოს ხომ ჰქონდა ჩემი იმედი, ხოდა, დავდიოდი ასე, უკაპიკოდ დავფრინავდი, ხან რუსეთებში, ხან უკრაინაში, ხან მოლდავეთში, ზაფხულობით უფრო საქართველოს ზღვისპირეთში. მოგვატარეს საბჭოთა კავშირი უკაპიკოდ. ხომ გითხარით, აქეთ გვახარჯებდა ფულს სახელმწიფო და ბოლოს ისევ სახელმწიფომ გაგვიცრუა იმედები.

ზუსტად მაშინ, როცა დიდი ნახტომი უნდა გამეკეთებინა ცხოვრებაში, დაინგრა ეს ჩემი ნაქები სახელმწიფო, ჩამოიშალა ყველაფერი, აირია ქვეყანა, ვის ჰქონდა სპორტის თავი. ჩემი სპორტის ოსტატობაზე წარდგენილი საბუთები ალბათ ინახება ახლაც მოსკოვში, მე კი არ მიმიღია პასუხი და რა ვიცი, ჩააღწია კი მოსკოვამდე?! მაშინ იქ წყდებოდა ყველაფერი.

დადგა 1988 წელი, აირია ქვეყანა, დღემდე ვერ დალაგდა, არც ვიცი როდის დალაგდება მე კი ამასობაში უამრავი სამსახური შევიცვალე, ჩემი შვილი უკვე 28 წლის არის.

ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრებოდნენ კარგ ცხოვრებას და ჯანდაბას ჩემი დაკარგული ოსტატობის მოწმობა!

05.11.2021 წ.

აღსარება

შუადღის თაკარა მზის გულზე მივაბიჯებდი ხალხით სავსე ქუჩაში.

რატომღაც ავიკვიატე სიტყვები, „დედამინა ბრუნავს, დედამინა ბრუნავს“! არადა, ამ სიტყვებისთვის კოცონზე დაწვეს ჯორდანო ბრუნო...

მოვაბიჯებდი მშვიდად, არ მანუხებდა სიცხე, რადგან ჩემი ცოდვის გამოსასყიდად სინანულის კენჭებით ნაგროვებ მიტევების ტაძარს ვაგებდი და ვიცი, დღეს კოცონზე ხალხს აღარ წვავენ...

თეთრებში ჩაცმული კაცი მოადგა ამ ჩემი სინანულის კენჭებით ნაშენებ საყდარს, მიმინგრ-მომინგრია, როგორ გაბედე სინანულის კენჭებით საყდრის აშენებაო?!

უკან ხელჯოხიანი კაცი ედგა, თავი დაუკრა დასტურის ნიშნად და როგორც შეძლო ერთი-ორი მოუქნია საყდარს.

უცბად ჩამოხნელდა, მზის დაბნელება მეგონა, წამით ცა ჩამოიქცა.

- უფალო, შემინდე და შემინყალე!

უფალო, შეუნდე და შეინყალე, რათა არ იციან რას სჩადიან! ვლოცულობდი.

ჩემი სინანულის კენჭებით აშენებული საყდარი დამინგრის და მარტო ცოდვა დაინახეს ჰაერში გამოკიდებული.

მომიახლოვდა მადლიანი მთა და მანუგეშა:

- ყველა იმას ხედავს, რისი დანახვაც სურსო, შენი სინანულის კენჭების ტკივილი მიწაზე გაბნეული ხალხამდე მაინც მივა და გაკვეთილი იქნება ზოგისთვის, უკვალოდ არ ჩაივლისო, ყოველთვის იპოვე ძალა და შენი საყდარი დაიცავიო!

დანგრეული საყდრიდან, სიბნელეში, შორს მხოლოდ ერთი ნათელი წერტილი მოსჩანდა და ორიენტაციით გავყევი გზას.

ნელი ნაბიჯით მივუყვებოდი ქუჩას, არ ვჩქარობდი.

მივუახლოვდი, ეკლესიის გუმბათი ანათებდა თურმე, ეკლესიის ეზოში შევედი და საღებავგადაცლილ ძველ სკამზე ჩამოვჯექი.

მივხვდი, დრო იყო ჩვენი გასაუბრებისა. დიდი ხანია აღარ გვისაუბრია.

- ყოველთვის შენთან ვარ და შენ ყოველთვის მესაუბრები, ნუ გგონია, თუ პირადად არ მომმართავ, დაფარულია რამე. მე ყველგან ვარ და ყველაფერს ვხედავ!

- ამ სიბნელეშიც ყველაფერს ხედავ?

- სიბნელეში უფრო მეტს ვხედავ და ამ დროს უფრო ფეხდაფეხ მივყვები უბრალო მოკვდავთ, რათა გზა არ აერიოთ!

- ხედავდი სინანულის კენჭებით ნაშენები საყდარი როგორ დამინგრია თეთრებით შემოსილმა და ხელჯოხიანმა კაცმა? მე შენი მოწაფე მეგონა და საყდრის კარი გავუღე, შენდობა ვთხოვე, მას კი შენი სიტყვები არც გახსენებია, „პირველმა ქვა იმან ესროლოს, ვინც უცოდველია“, ისე განმიკითხა და რისთვის? ჩემი უგუნურობით ბევრჯერ რომ გისაყვედურე, აღსარება ხმამაღლა რომ ვთქვი, მივხვდი ჩემს უგუნურობას და სინანულის კენჭებით ვაშენე საყდარი. ხმამაღლა გიჟივით ვყვიროდი, მაპატიე, უფალო, შეცოდებანი ჩემი, რაიც გადამავეინყა სასონარკვეთილებამ, შემინდე, უფალო! ამისთვის მისაყვედურა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...

- განა ყველას, ვისაც თეთრები მოსავს, აღსარება უნდა უთხრა?! განა თავად მოწაფემ არ გამცა ამბოროთ?!

სამოსელის ფერი არ ნიშნავს სულის სინმინდეს და გონის სინათლეს. არასდროს გაბრაზდე უგუნურებზე და არც განიკითხო, მე ყვეგან ვარ და ყველასთან, არ დაივინყო!

- ვიცი და ამიტომაც ვარ მშვიდად, ვიცი, არ მიმატოვებ და ვიცი, ყოველი ჩემი უგუნური საყვედური მომიტევე, რათა შევიცანი უგუნურობანი ჩემი.

- შეუცნობელია გზანი უფლისანი და ამ გზაზე ყველა მოკვდავი უშვებს შეცდომას. ვინც გულით მოინანიებს და სინანულში ჩავარდება, ყველას მიეტევენ!

მზემ გამოანათა და ისევ გაათბო დედამიწა, დავტოვე სიმძიმე, წამოვედი და მომყვებოდა შენი სიტყვები, „ყოველი სიტყვა აღსარებად თქმული სინანულისა მიეტევენა მოკვდავს“!

ისევ ავაშენებ სინანულის კენჭებით საყდარს!

24.04.24 წ.

თბილისში ვეძებდი თბილისს...

დილით, სანამ სახლიდან გავიდოდი, ამინდის პროგნოზი გადავამოწმე.

მეტეოროლოგები იუწყებოდნენ მზიან და უღრუბლო დღეს.

წელს აპრილისთვის მართლაც უჩვეულო სიცხე იყო, ნახევარი საუკუნე განვლიე და ასეთი ცხელი აპრილი არ მახსოვს.

უმკლავებო მოსასხამით და საზაფხულო სანდლებით გავედი ქალაქში.

საცობები იყო და ვიფიქრე, მეტროთი უფრო სწრაფად მივიდოდი. მანქანა უახლოეს მეტროსთან გავაჩერე და მეტროში ჩავედი.

ცოტა არ იყოს შევცბი, აშკარად სხვადასხვა გემოვნების ახალგაზრდები დადიან მინის ზემოთ და მინისქვემოთ. ან ავტომობილიდან დიდად ვერ ვამჩნევ გამვლელ-გამომვლელებს.

მეტროს მესამე ვაგონში შევედი, სამ ადგილიან სკამზე მთვრალი კაცი იყო წამოწოლილი, სიმთვრალე არ მიკვირს, მაგრამ აშკარად „ბომჟი“ იყო, ბევრი ჭუჭყიანი, დაძენდილი ჩანთა იქვე ელაგა, ტალახიან ფეხზე ჩუსტები ბინტით ჰქონდა ამოკრული. გაუსაძლისი სუნი იდგა, ჭუჭყისა და სასმელის, ერთმანეთში არეული.

ვაგონის თავიდან ბოლოში გადავედი, სუნი მაინც მანუხებდა. ზიზლი ნამდვილად არ გამჩენია, მაგრამ საცოდაობით გული ჩამეწვა. ვინ იცის, როგორი ბავშვობა ჰქონდა და რამ მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. არასოდეს განვიკითხავ არავის, პირიქით ყოველთვის ერთი ფრაზა მიტრიალებს თავში, „არავინ იცის რა ხდება ხვალ“?!

შემდეგ სადგურზე ვაგონიც შევიცვალე, გეცოდებოდეს, ხომ არ ნიშნავს აიტანო აუტანელი სუნი?

მეორე ვაგონში ორი ბავშვი შემოვიდა, „ციგნის“ ბავშვებს ჰგავდნენ, მაგრამ თავს ვერ დავებ, შეიძლება არც იყვნენ ბოშები, ქართულ სიმღერას გამართულად მღეროდნენ, ვისაც ჰქონდა ხურდა არ დაინანეს, ჩაუყარეს ჭიქაში. შემდეგ სადგურზე ფეხმოჭრილმა კაცმა ჩამოიარა ყავარჯნით, დახმარება ითხოვა, მასაც ჩაუყარეს, ვისაც რა ჰქონდა. შემდეგ გაჩერებაზე მოხუცებული კაცი შემოვიდა ვაგონში, სანერკალმებს და პლასტიკური ბარათების ჩასადებს ყიდდა, მყიდველი არ გამოუჩნდა. გული დამწყდა, მაგრამ გამახსენდა, „ითხოვე და მოგეცემაო“! მართალი ყოფილა. არ მჭირდებოდა, მაგრამ ერთი სანერკალამი ვიყიდე.

საბურთალოს ხაზზე მომიწია გადაჯდომა. ერთი ხაზიდან სანამ მეორე ხაზამდე მივედი სამი უსინათლო, ორი

ყრუ-მუნჯი და ერთი ფეხმოჭრილი კაცი შემხვდა, რომელსაც ფეხის „პროტეზი“ მოეხსნა და ბოლო ხმაზე ითხოვდა შემწეობას. სულ თავბედი ვინყევლე, ნოდარ დუმბაძის სიტყვები გამახსენდა, „რა მინდოდა წვენებში“! ისევ საცობში მოვხვედრილიყავი ჯობდა.

- გავიფიქრე, თუ ინფარქტის გარეშე მივიდოდი სამედიცინოს მეტრო სადგურამდე, მერე მართლა აღარ მოვკვდებოდი.

ჯერ სად ხარ, თურმე?!

ბაქანზე უსინათლო ქალი დავინახე, ფანდურით ხელში. მატარებლის ვაგონიც ჩამოდგა, შევედი, ფანდურიანი ქალბატონიც შემოვიდა, სიმღერა დაიწყო. ეს ხომ ის ქალბატონი იყო 9 აპრილს „დადიანს“ რომ მღეროდა? ახლოს რომ ჩამიარა დავრწმუნდი, ნამდვილად ის იყო. ძალიან გამიკვირდა. ადრე კი ვიცდი, მოწყალებას რომ ითხოვდა, მაგრამ ავადსახსენებელი „კორონა-19“ პანდემიამდე რამოდენიმე წლით ადრე, ჯერ კიდევ ტელევიზორს აქტიურად რომ ვუყურებდი, მახსოვს ნანუკას გადაცემაში ბინის გასაღებიც გადასცეს და სამსახურიტაც დააკმაყოფილეს. ამბობდა, დღეიდან ღირსეულად შევძლებ ცხოვრებასო! რა მოხდა ნეტავ? რამ აიძულა ისევ მეტროში ჩამოსვლა მოწყალების სათხოვნელად?

მატარებელი მეტრო სამედიცინო ინსტიტუტის სადგურზე გაჩერდა. გადმოვედი ვაგონიდან და ნამდვილი ყბაჩამოვარდნილობა ახლა იწყებოდა თურმე.

ამდენი ფერადკანიანი ახალგაზრდა თუ იყო თბილისში არ მეგონა, მეტრო სამედიცინოს სადგურზე ისინი უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ჩვენ, ქართველები. ვერც ზრდილობით ვერ დაიკვეხნიდნენ, ნუთუ თავის სამშობლოში ასე იქცევიან?! შეუძლებელია! იქ უფრო მკაცრი ტრადიციული კანონები აქვთ, ასე ვერ მოიქცევიან.

მეტროდან ცოტა კი არა, კარგად გულდამძიმებული ამოვედი. ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, ვიფიქრე, თავი დავაღნე ხალხის საცოდაობით გამონვეულ სევდას.

ნელინადის ისეთი დროა, ქალაქში გაურკვეველად რომ აცვია ხალხს.

მე მოკლესახელოებიანი და საზაფხულო სანდლები, გვერდზე გამვლელს უფრო ადეკვატურად აცვია, თხელი პიჯაკი და ფეხზეც საგაზაფხულოდ შესაფერისი ფეხსაცმელი. მიახლოებით ათი მეტრის დაშორებით გოგო შევნიშნე, რომელიც ნელ-ნელა მიახლოვდებოდა, ჯერ კიდევ ზამთრის ქურთუკი ეცვა და ფეხზეც ზამთრის „ბათინკები“, მეგონა, უბრალოდ, ჯერ არ გამოუზაფხულებია-მეთქი, რომ მომიახლოვდა გული ჩამეწვა. სიახლოვემ სულ სხვა შთაბეჭდილება დამიტოვა. ვფიქრობ, ხელმოკლე ოჯახიდან იყო, ქურთუკი ძალიან გაცრეცილი იყო და „ბათინკი“ ადგილ-ადგილ გადახეთქილი. ოღონდ, ძალიან სუფთად და კოჰნიად გამოიყურებოდა...

შუადღე გადასულიყო, მოიღრუბლა, არ ინვიმებს, უბრალოდ მოიღრუბლა, გავიფიქრე.

გავიფიქრე და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო...

მე კი ნელა მივაბიჯებდი, გამიხარდა კიდევ, რომ განვიმდა. ამ ყველაფერს ვაანალიზებდი და ცრემლები არ მომდიოდა, მაგრამ ჯობდა მეტირა, ვიდრე გული გამსიებოდა.

იცით, როგორია, როცა ვერ ტირი და გული გისივდება?!

როცა არ გშია, მაგრამ კუჭი ისე გეწვის შიმშილზე უარესია, იმ დღის ნაჭამი ყველაფერი ერთიანად გეზიზღება და ყელში ბურთივით განვება...

მოვდივარ წვიმაში, ვსველდები, მაგრამ სისველე არ მანუხებს, ქუჩიდან ფიქრებით ჩემს კარადაში ვიხედები და გეგმებს ვანყო, თვალი მოვაავლე ფიქრებით ჩემ სამოსს და გადავწყვიტე, სამ-ოთხ წყვილ სამოსელს და ფეხსაცმელს

დავიტოვებ, დანარჩენს ხვალ დილასვე ეკლესიის ეზოში მივიტან და დავდებ!

ალარ ვიცი, ხშირად უნდა ჩავიდე მიწის ქვეშ თუ საერთოდ ალარ უნდა ჩავიდე?!

გავისეირნო ხანდახან ფეხით თუ ცხვირიც ალარ გადმოვყო მანქანიდან?!

ამას ხომ სირაქლემას პოზიცია ჰქვია?! საკუთარ თავს გავუბრაზდი.

ამ ფიქრებში სამსახურის კორპუსსაც მივადექი.

სამსახურიდან გამოსული ისევ მეტრო სამედიცინო ინსტიტუტის სადგურზე მომიწია ჩასვლა, არქივის მხრიდან რომ ჩასასვლელია იქიდან ჩავედი, მეტროში შესასვლელი კარები რკინის გისოსებით დაკეტილი დამხვდა, ცოტა დავიბენი, მეტრო ხომ ნამდვილად ღამის თორმეტზე იკეტება, საათს დავხედე, 20:22- წთ-ია. ბედად სამი ახალგაზრდა გოგო მომყვებოდა უკან და ერთ-ერთმა მამცნო, რვა საათზე კეტავენ აქეთა ჩასასვლელს, სამედიცინო ინსტიტუტის მხრიდან მოუარეთო. არ მსმენია არასოდეს ასეთი რამ, მთელი ახალგაზრდობა მეტროთი ვსარგებლობდი.

ვერანაირად ვერ მივხვდი თბილისის მერიის ლოგიკას... თბილისში ვეძებდი ჩემს თბილისს, მაგრამ...

20.04.24 წ.

ჭიქა ყაჰაზა-1

- ნერუ, ვერ ვუგებ ადამიანებს! რომ მგონია ვიცნობ, აღმოჩნდება, საერთოდ არ ვიცნობ...

- ვერც გაუგებ, რამდენი ფერიც არსებობს ბუნებაში, იმდენნაირი ხასიათის და ბუნების ადამიანი არსებობს.

ზოგი იტყვის, შვიდი ფერიო, ზოგი ასი ან ათასიო.

არა, ბატონო!

ყველაზე მართალი „რუსთველმა“ სთქვა, უთვალავი ფერიო და ასეა მართლაც.

განა ტყუილია, რომ ამბობენ - „ხალხი ჭრელიაო“!

მართლაც ჭრელია ხალხის ბუნება და ისეთი უნდა მიიღო, როგორიც არის, ან უნდა გაეცალო.

ადამიანის შეცვლას ნუ ეცდები, ტყუილია! მოჩვენებითი იქნება თუ შეიცვალა. თავის ხასიათს და გენს მაინც გამოავლენს ოდესღაც.

- „მაგრამ მართო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“...?!

დაგვიბარა დიდმა აკაკიმ.

ხოდა, ან მიიღე როგორიც არის ადამიანი, ან განეშორე!

მოჩვენებითი მოჩვენებაც კი საშიშია და მეგობრობა ორჯერ საშიში.

ჩემული ხედვა მაქვს ფერების მიხედვით ადამიანებზე...

- საინტერესოა...?

- თუ მართლა გაინტერესებს გეტყვი, ჩემო იმანო.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მე ჩემული ხედვა მაქვს.

ზუსტად არც მახსოვს როდის დავფიქრდი ამ თემაზე, მაგრამ რამდენჯერაც დავფიქრდი მაინც ამ დასკვნამდე მივდივარ:

1) თეთრი - სპეტაკი, მაგრამ მდუმარე ადამიანია.

2) ყვითელი - უბოროტო, მაგრამ ჭორიკანა.

3) ყავისფერი - უჟმური, მაგრამ გასაჭირში გვერდზე დგომა იცის.

4) ლურჯი-ცისფერი - ცასავით წმინდა, მაგრამ როდის მოიღრუბლება არავინ იცის.

5) მწვანე - სიცოცხლით სავსე, მაგრამ სულსწრაფი. მართო თავისთვის ხასხასებს, სხვისთვის თივისფერი ხდება.

6) წითელი - ალალი, მაგრამ ბობოქარი, როდის ეწყინება ვერ გაიგებ.

7) შავი - გულჩათხრობილი, მაგრამ ერთგულზე ერთგული. გაჭირვებაში ისე დაგიდგება გვერდზე, შეიძლება საკუთარი საქმეც გვერდზე გადადოს.

ეს მხოლოდ შვიდ ფერზე და უთვალავზე რაღა იქნება...

ხედავ? „მაგრამ“ ურევია ყველგან და ყველაფერს!

- ჭრელი...

ხო, ჭრელია ხალხი!

კიდევ ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით არის გამონაკლისი კომბინაციები:

ტყუპებში წითელი და შავი ერთიანდება.

სასწორებში ყავისფერი და შავი.

ასე ვთვლი, ჩემო იმანო, და შეიძლება კი ვცდებოდე, არც მე ვიქნები მთლად მართალი, რას იტყვი შენ?

რომელი ფერი ყოფილა უფრო საიმედო?

დაბნეულმა მეგობარმა მხრები აიჩეჩა, ვერ გაიგო ნერუს ფილოსოფია და ყავა მოსვა...

03.03.23 წ.

თბილისი იყო ურთიერთობა

ტელეფონზე დარეკვა გინდოდა?

ორკაპიკიანი არ გქონდა?

გამვლელს სთხოვდი, დაუფიქრებლად ათ კაპიკიანს განვდიდა.

შენ არ გქონდა ტელეფონი?

მეზობელთან დაგირეკავდნენ.

მეზობელს ტელეფონი ისე ედო ფანჯრის რაფაზე, რომ
თუ სახლში არ იყო, მეორე მეზობელი უპასუხებდა.

კორპუსები აშენდა და გაზის მილზე ვუკაკუნებდით.

რამდენჯერაც დააკაკუნებდი მილზე იმ სართულზე
მცხოვრებს ეძახდი.

ეჰ, წავიდა ის დრო...

ნიაზამ რომ სთქვა:

- „თბილისს არასდროს სძინავსო. მეგობრობა „კრუგლა-
სუტაჩნი“ არისო...

2019 წ.

მასწავლებლებს!

ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო,

მასწავლებელი არა ჰყოლოდა!

ი.ნონეშვილი

- ბალის მასწავლებლისგან გამომყვა ტკბილი მოგონებე-
ბი. უთბილესი ადამიანი იყო.

- დაწყებითი კლასის დამრიგებლისგან, როგორი არ
უნდა იყოს მასწავლებელი.

- მეხუთე კლასის მერე, ერთი დამრიგებელი ჰყავდა
კლასს ბოლომდე და ვისწავლე, როგორი უნდა იყოს დამ-
რიგებელი, მასწავლებელი.

- სტუდენტობის დამრიგებელი, დღესაც ჩემი მეგო-
ბარია და ვისწავლე, შეიძლება არ გიყვარდეს, მაგრამ არ
გძულდეს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყოველდღე 10-მც-
ნებით გვარიგებდა, გვესაუბრებოდა. არადა, ათეიზმის
პედაგოგი იყო.

- სპორტის მასწავლებლისგან ვისწავლე: გამარჯვება და დამარცხება ძმები არიან და ღირსეულად შეხვდი დამარცხებას, ყოველთვის მიულოცე გამარჯვებულს.

რამდენჯერაც დაეცემი, უნდა წამოდგე და მეორე სუნთქვით გააგრძელო ვარჯიში.

თავში არ აგივარდეს მოგება!

„ასე ინრთობოდა ფოლადი“!

თავად სპორტიც მასწავლებელი იყო.

მასწავლა: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის. გუნდურობა, ატანა, გატანა, გამძლეობა.

მადლობა, ცხოვრებაში ბევრჯერ გამომადგა ეს წვრთნა. (არადა, მაშინ როგორ ვბრაზობდი).

- ყველაზე დიდი დამრიგებელ-მასწავლებელი ოჯახი იყო:

- მართალნი დუმან (ბებია).

არასოდეს გშურდეს სხვისი, არ იცი რა გზა გაიარა (ბებია).

ჯერ მისი ქალამნები ჩაიცვი (ბებია).

არასოდეს თქვა არასოდეს (ბებია).

ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი (ბებია).

ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, სულები თავისაზეც ვერაო (ბებია).

ვიცის დედა ტიროდა, არვიცისა იცინოდა! (ბებია).

- ჭირსა შიგან გამაგრება (დედა).

არასოდეს დანებდე (დედა).

კაცი უნდა ეყოს ხელფასს (დედა).

არასოდეს იცხოვრო ერთი დღით (დედა).

მცირედი იმყოფინე, ზოგს მცირედიც არ აქვს (დედა).

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო (დედა).

არასოდეს დასცინო (დედა).

არავის მოახვიო თავზე შენი სადარდებელი (დედა).

ხელი გაანძრიე და გეშველება (დედა).

არასოდეს დაივინყო, ვინც ხელი გამოგიწოდა (დედა).
- ყველი და პური, კეთილი გული (მამა).
ცოცხალი ჩონჩხი ხორცს ყოველთვის შეისხამს (მამა).
მეგობარი მეგობრისთვის ხიღია (მამა).
მაძლარი მაშინ ხარ, როცა აპურებ მშვიერსა (მამა).
მადლი ქენი ქვაზე დადე, შედეგს ნუ დაელოდები! (მამა).
არასოდეს გატეხო სიტყვა (მამა).
არასოდეს ჩააფუროთხო ჭაში (მამა).
არასოდეს დაბრუნდე, სადაც ზურგი გაქციეს (მამა).
არამ ლუკმას ხმელი პური გერჩიოს (მამა).
იდაყვზე ვერ იკბენ (მამა).
კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე (მამა).
- ცხოვრება ხომ ისედაც სკოლაა და მასწავლებელი,
არასდროს იცი, რომელ კლასში ხარ...
- მეც 10 წელი ფიზ-ალბრდის მასწავლებელი ვიყავი.
ბევრი მოსწავლე დღეს ჩემი მეგობარია.

2022 წ.

სიზმარი

მარტის ცივი საღამო იყო.
წვიმდა...
ელავს, ქუხს, თქეშია, ნიაღვარს მიაქვს ეზო.
დავლიე ცხელი ყავა, ღამის რიტუალი დავასრულე.
მაშო მივაძინე. იავნანა უყვარდა ძილის წინ. ალბათ რვა
წლამდე მაინც ვუმღეროდი, ისე არ დაიძინებდა.
ლამფა ჩავაქრე და მეც დავწექი, სიბნელეში ყოფნას
დაძინება ვარჩიე ასეთ ამინდში.

„ფეჩიც“ ქრება, მეზარება შეშისთვის გარეთ გასვლა. გავეხვით საბანში და ჩაძინება ვცადე. მუზები მანუხებენ, მაგრამ ისე ცივა, ვერ ავდექი ფურცელ-კალმისთვის.

სახურავზე მოწკაპუნე წვიმის წვეთები იაენანასავით ჩამესმის.

ამ ჭიდილში, ავდგე - არ ავდგე, ჩამძინებია.

შორიდან ძლივს გასარჩევი ჩუმი კაკუნი შემომესმა. ყური დავუგდე, ასეთ ამინდში ვინ უნდა იყოს, გავიფიქრე. ვიფიქრე, ალბათ ძილბურანში ჩამესმის და თვალეები უფრო მაგრად დავხუჭე.

გული არ მასვენებს, ადექი გაულე კარიო, გონებამ, გეჩვენება დაიძინეო.

ავდექი, მივედი ჯერ სარკმლიდან გავიხედე, მერე კარი გამოვალე. წინ დიდი აივანია. გავიხედ-გამოვიხედე, არავინაა. ჩავნექი გაყინულ ლოგინში. ჩავთბი და ისევ მეორდება კაკუნი. მეჩვენება, ვეუბნები თავს, ისევ ვხუჭავ თვალეებს. კაკუნი ბრაგუნში გადაიზარდა. თითქოს შორიდან ძახილიც მესმის, მე ვარ გამიღე, მე ვარ გამიღე

ველარ მოვითმინე, ავდექი ისევ, გავიხედე სარკმლიდან, არავინ ჩანს. გამოვალე კარები, აივანზეც არავინაა. ძახილი თითქოს მეორდება შორიდან, ყრუდ. მე ვარ, მე ვარ...

შემოვიცვი, რაც ხელში მომხვდა, გამოვვარდი გარეთ.

თითქოს თონედან მომესმა ხმა, თონეს ვეცი, არავინაა. პატარა ლელე გადავირბინე, ბაღჩა დავირბინე, არავინაა.

არადა, მახსოვს, ღამე მარტო გასვლის მეშინია. საკუთარ თავს ვეკითხები: ახლა არ გეშინია?

- არაო, მკაცრად მითხრა.

შველას ითხოვს კაციო, გარეთ კაცის კი არა, ძაღლის ჭაჭანებაც არაა.

თითქოს ხმა უფრო შორიდანაა. მივეყვები ხმას. გული მიცემს. რაც მივეყვები, მით უფრო მშორდება ხმა. ბოლოს, ქანცგანყვეტილმა დავეყარე ფარხმალს. დავიღალე.

ქვას ფეხი წამოვკარი, წავბარბაცდი და ისედაც გალუმ-პული, ტალახში გავიშხლართე.

საკვირველია, სიცივეს ვერ ვგრძნობ, მხოლოდ ადამიანის გადარჩენის სურვილი მამოძრავებდა.

სიცივე და შიში სადღაც გაჰქრა.

გული შემეკუმშა, ჰაერი აღარ მყოფნის. პირი ტალახით ამომეფსო, წყალი მწყურია.

შორს, ტყიდან, თითქოს, ქოტის კივილი ისმის.

ამ ბორცვაში გამომელვია. შუქი მოსულიყო. საათს გავხედე, სრული ოთხი საათია.

- რამ გამაღვიძა, ამ დროს წყალსაც სძინავსო, იტყოდა ბებიაჩემი.

უცბად, გონებაში სიზმარი ამომიტივტივდა.

ეს სიზმარი ერთი წლის მერე გავაანალიზე.

მივხვდი იქ, სადღაც შორს, ალბათ შველას ითხოვდა, მაგრამ მშველელი არ ჰყავდა.

რაც არ უნდა სასწაული იყოს, ამ დღის მერე აღარც სიზმარში გამიგონია მისი ხმა, ცხადში ხომ საერთოდ, დაიკარგა უგზო-უკვლოდ...

19.03.1998 წ.

მზეთამზე სსოვნას

ქალაქის ცენტრალურ უბნებში იტალიურ ეზოებს ნელ-ნელა მრავალსართულიანი კორპუსებით ანაცვლებენ. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრ უბანშია შემორჩენილი ეგრეთ წოდებული იტალიური ეზოები. გარე ფასადი შელამაზებული და შიდა ფასადი ისეთ სავალალო მდგომარეობაშია, გული ჩაგეწვება ადამიანს. როგორც ეს კედლებია დაბზარული ისე ნელ-ნელა იბზარება თბილისური ურთიერთობები. ხშირად კარის მეზობლები ვერ სცნობენ ერთმანეთს.

ქალაქის ერთ პატარა გარეუბანში, სადაც ყველა ყველას იცნობს, ერთმანეთის ჭირი და ლხინი გულთან მიაქვთ და ისიც კი იციან, ვინ რომელ საათზე იძინებს და იღვიძებს, ვინ სად მუშაობს, რომელ საათზე გადის სახლიდან და რომელ საათზე ბრუნდება სახლში, ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი თბილისური ურთიერთობები.

თითქოს და ჩვეულებრივად გათენდა, მზეც აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, უბნის მაღაზიაც თავის დროზე გააღო გულიკომ. დილის პირველ სტუმარს, მზეთამზეს ელოდა. ყოველ დილას ყავას ერთად მიირთმევდნენ. ალბათ ათას მოსაგონარს იგონებდნენ.

ერთი დღის სამყოფ სურსათ-სანოვაგეს გააყოლებდა ხელს მზეთამზე და მერე მეორე დილამდე ორივე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა.

ოთხმოცდაათ წელს მიტანებული მზეთამზე, დარბაისელი ქალბატონი იყო. ქართული ტრადიციებით აღზრდილი და სილამაზით დაჯილდოებული, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა, გაჭირვებულთა ხელის გამმართველი, ტკბილსიტყვიანი და უბანშიც ყველას უყვარდა.

ღვთისმოშიში და მაინც ცრუმორწმუნე ქალბატონი, დილა ადრიან სანთელს ანთებდა, პირფარს გადაიწერდა, ლოცვას წაიკითხავდა და ოთახებში საკმეველს მოატარებდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მაგიდას ხელით არ გადანმენდდა, მარილი რომ დაეპნეოდა წყალს დაასხამდა, ღამე ნაგავს არ გადაყრიდა, კატა რომ გადაურბენდა არ გაივლიდა, ცოცხს ყოველთვის კუთხეში ტარით ქვემოთ მიაყუდებდა და მრავალი ასეთი რამის სჯეროდა.

მუდამ შავებით შემოსილი, მგლოვიარე ქალის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მის სახეზეც იშვიათად თუ დაიჭერდით ღიმილს. სიცილ-კისკისი არავის გაეგონა მისი, მაგრამ არც ქვრივი იყო და მეტიც, გათხოვილიც კი არ ყოფილა არასდროს. შვილიც კი არ ჰყავდა.

ერთი ძმისშვილი ჰყავდა, მაგდა, რომელზეც მზე და მთვარე ამოსდიოდა. ძმის ოჯახს ყველაფერი რიგზე ჰქონდა და არც არანაირი გასაჭირი არ ედგათ, მაგრამ ამ უბანშიც კი, სადაც ყველამ ყველაზე ყველაფერი იცოდა, არავინ იცოდა რატომ დადიოდა მზეთამზე შავებში. თუ კითხავდა ვინმე,

- რატომ დარჩი შინაბერაო? მარჯვენა ხელის მტევანს დანანებით ჩაიქნევდა და მოკლედ მიუგებდა;

- არ იყო ეტყობა ბედი, თორემ ვინ დამასწრებდაო?!

გულიკომ საათს დახედა, ცხრა საათი სრულდებოდა. დაგვიანება არ სჩვეოდა მზეთამზეს. არც წინა დღეებში დაუჩივლია, რომ რამე აწუხებდა, მაგრამ გულმა მაინც რეჩხი უყო.

ტელეფონზე გადაურეკა, ტელეფონიც რომ არ აიღო, მაღაზიის კარი ურდულით გადაკეტა და სახლში მიაკითხა.

კარი ღია იყო. ისედაც იცოდა გულიკომ, რომ მზეთამზე კარებს არ კეტავდა. იძახდა, - აქეთ თუ ვინმე მომიტანს რამეს, თორემ ჩემგან ვინ რა უნდა წაიღოსო.

კარის შეღებისას პირველი, რაც ცუდად ენიშნა საკმევ-ელის სუნი არ გამოვიდა სახლიდან. სამზარეულოშიც არ დაუხვდა მასპინძელი და საძინებელში შეიხედა.

ინვა გაქათქათებულ საწოლში მზეთამზე და ვერ მოს-ნრებოდა მზის ამოსვლას.

სასწრაფოდ სასწრაფოში გადარეკა გულიკომ, მაგრამ დაგვიანებული იყო. როგორც სასწრაფოს ექიმმა თქვა, ხუთი-ექვსი საათის გარდაცვლილი იქნებოდა. დიაგნოზი, იშემიური ინსულტი.

საწოლის ბოლოში სკამზე წინასწარ გამზადებული ახ-ალთახალი თეთრი კაბა იყო გადაკიდებული. (არავინ იცის იქნებ ყოველ ღამე გადაკიდებდა სკამზე და დილით ისევ კარადაში ინახავდა).

საწოლის თავთან პატარა ტუმბოზე წყლის ჭიქა ედგა, ნახევრად სავსე და იქვე გადაშლილი უბის წიგნაკი იდო.

თვალი გააპარა გულიკომ, დარცხვენით, მაგრამ მაინც ამოიკითხა.

მაგდას!

როცა ჩემი იმ ქვეყნად გამგზავრების ჟამი დადგება, თე-თრი კაბა ჩამაცვით და ისე გამაცილეთ...

რადგან წერილი მაგდას ეკუთვნოდა მაინც მოერიდა გულიკოს და კითხვა აღარ გააგრძელა.

სამი დღის მერე, სამშაბათ დღეს, თეთრ კაბაში გა-მოწყობილი მზეთამზე, ნათესავებმა და მთელმა უბანმა გააცილეს უკანასკნელ გზაზე.

დაბრუნდა მაგდა დაცარიელებულ სახლში. მამიდას და-ტოვებული უბის წიგნაკი გადაშალა და კიდევ ერთხელ გა-დაიკითხა.

პირველ გვერდზე ეწერა, მაგდას...

მეორე გვერდზე ძმას...

მესამეზე რძალს...

კიდევ რამოდენიმე ადამიანისთვის ჰქონდა მომცრო ჩანანერი დატოვებული და არც გულიკო დავინყებია.

მეორე დღეს მაგდამ გულიკო დეიდას დაუძახა. ყავით გაუმასპინძლდა და გადაშლილი უბის წიგნაკი მაგიდაზე დაუდო.

დახედა გულიკომ და თვალებს არ დაუჯერა, წიგნაკი ჯერ გულზე მიიხუტა, თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრალა და ჩურჩულით, მაგრამ გასაგებად დაიწყო კითხვა.

გულიკოს!

მეგობარო, ვიცი რამდენჯერ იკვნიტე ტუჩზე და ენაზე მომდგარი კითხვა პირიდან არ ამოუშვი. გადაკვრით კი ბევრჯერ გიკითხავს, რატომ არ გათხოვდიო? და მეც ერთიდაიგივეს გპასუხობდი. რეალობა კი სულ სხვა იყო.

სამჯერ მენვია ცხოვრებაში ბედი და სამჯერვე ქორწინებამდე დავქვრივდი.

პირველად ოცი წლისას მენვია ბედი და როცა მეგონა, ყველაზე ბედნიერი ქალი ვიქნებოდი ქვეყანაზე, ქორწილამდე ერთი კვირით ადრე თბილისის ზღვაზე ავიდნენ ბიჭები სათევზაოდ. სექტემბრისთვის უჩვეულო ცხელი დღე იყო. ცოტა ლუდი დაუღლეიათ. გასაგრილებლად წყალში შესულა, ფეხზე წყალმცენარეები მოხვევია და ადგილზე გაჩერებია გული...

ხუთი წლის მერე ისევ მენვია სიყვარული. უარი არ მითქვამს. განცხადება შევიტანეთ ქორწინების სახლში. ერთი თვის თავზე ჩავნიშნეთ ქორწილიც და ჯვრისწერაც. უცაბედად თავის ძლიერმა ტკივილებმა შეანუხა. ავთვისებიანი სიმსივნის მეოთხე სტადია აღმოაჩნდა. ერთი თვეც ვერ იცოცხლა დიაგნოზიდან...

ათი წლის მანძილზე სათოფეზე არავის ვიკარებდი, მაგრამ ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, ვერ ვიტყვი დიდი სიყვარული მენვია თუ არა, მაგრამ იყო სიმპატიები და

ურთიერთგაგება. გადანყვეტილება მივიღე, მესამე და სამართალი.

ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი გახლდა ჩემი რჩეული. სპორტული აღნაგობის, კარგად აღზრდილი, განათლებული, კარგი მანერებით.

ერთ საღამოს, როცა სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა, დაუნახავს ორი მთვრალი ბიჭი გოგონას ანუხებდა. გოგონა ველარ იგერიებდა თურმე მთვრალ კაცებს. რატომღაც იმ დროისათვის ქუჩაზე გამვლელ-გამომვლელი არავინ აღმოჩნდა. არც დაფიქრებულა ისე გადაუჭრია ქუჩა. (საუბარს ალბათ აზრიც არ ჰქონდა მთვრალ კაცებთან). გოგონა გამოუგლეჯია გადამთვრალი ბიჭებისთვის და გამწარებულს ორივენი ქეჩოთი აუნეცია, თავები ერთმანეთზე მიახლევიან და მოწყვეტით დასცა მიწაზე. გოგონას ხელკავი გამოსდო და დაანყნარა: - სახლში მიგაცილებთო, უთქვამს თავაზიანად. ოცი მეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, გოგონას ხელკავიდან გაუსხლტა და უცბად ჩაკეცილა მუხლებში. წამებში სისხლის გუბე დადგა ასფალტზე. იდგა გაოგნებული გოგო და ვერ მიმხვდარიყო რა მოხდა. არ ვიცით ვინ გამოიძახა სასწრაფო, რადგან გოგონას არაფერი ახსოვდა.

როგორც მერე სამედიცინო ექსპერტმა დაასკვნა, უკნიდან მიპარვით ღვიძლში დაუჭრიათ ცივი იარაღით და საადმყოფომდე ვერ მიუღწევია ცოცხალს.

დამნაშავეები მიიმალნენ. რადგან ღამე იყო, გოგონაც ვერ აღწერდა სახეებს. არც მოწმეები იყვნენ.

იმ დღის მერე შავები აღარ გამოიხდია!

30.04.24 წ.

კოჭობანა...

(არა ოლიმპიური თამაში)

90-იანებამდე აქტიური იყო კოჭობანა.

9 აპრილის მერე დავივიწყეთ, კოჭობანაც და სხვა მრავალი არაოლიმპიური ეზოს, გნებავთ ქუჩის თამაშები დაარქვით, დავიწყებას მიეცა.

ან ვის ეცალა სათამაშოდ. ეზოებში ჩაკვდა ბავშვების ჟრიაშული.

ახალ თაობებს ვადანაშაულებთ, მაგრამ ჩვენ ვართ დამნაშავეები, ჩვენ ვერ გადავეცით ახალ თაობებს, ჩვენ დაუუკარგეთ, მაგრამ ჩვენც არ გაგვემტყუნება, ვის ეცალა გართობისათვის და თამაშისათვის.

9 აპრილი,
სამაჩაბლო,
აფხაზეთი,
ვარდების რევოლუცია,
ახალგორი,
უცხოტომებზე მიყიდული მიწები.

რომელი ერთი ტკივილი ჩამოვთვალო.

ვაჟკაცები იარაღს იღებდნენ ხელში, სამშობლოს დასაცავად.

ქალბატონები კი ემიგრაციაში გარბოდნენ სამშობლოს გამოსაკვებად.

დიახ, სამშობლოს გამოსაკვებად.

ახლაც ემიგრანტებზე დგას ჩვენი ეკონომიკა, თორემ სხვანაირად ვერც ვიარსებებდით, დიახ, ვარსებობთ, არ მოგესმათ.

დღეს არის „ბრძოლა-გადარჩენისათვის“.

ხოდა, არც ჩვენ გაგვემტყუნება, არც ჩვენ შვილებს!

04.04.2014 წ.

პინოუხსვლელი

თბილისის ძველ უბანში, პლექანოვისა და ტელმანის ქუჩის კვეთაზე ლამაზი, მეგობრულ-მეზობლური, იტალიური ეზო იყო. ერთ-ერთ მყუდრო სახლში, იმ დროისთვის შეძლებულად ნოდებულ ოჯახში, ულამაზესი გოგონა, ჟენია (ევგენია) ცხოვრობდა. წარმოშობით ქართლიდან იყო. ხშირად ჩადიოდა მშობლებთან ერთად სტუმრად პაპა-ბაბოსთან.

ნახევარი პლექანოვი ეტრფოდა თურმე ევგენიას და ყველა მის გაზრდას ელოდებოდა. ყველა ოჯახისთვის სასურველი სარძლო იყო.

პაპა-ბაბოსთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს, სოფლის მკვიდრს, ვლადიმერს, თვალი დაუდგია ევგენიასთვის.

თოთხმეტი წლისა მოიტაცა ოცდაექვსი წლის ვლადიმერმა და ცოლად დაისვა.

ასეთი განუკითხაობა ხშირი იყო ადრე და ევგენიაც განუკითხაობის და - „რას იტყვის ხალხის“ მსხვერპლი გახდა.

ბევრი იტირა, მაგრამ მშობლებმა უკან არ წამოიყვანეს მოტაცებული ქალი.

ვლადიმერი საკმაოდ სიმპატიური, მაგრამ ძალიან ხისტი, შეუვალი, მკაცრი და ჯიუტი კაცი ყოფილა.

საბოლოოდ ძალადობით შექმნილი ოჯახი მაინც დაინგრა.

ვლადიმერი ევგენიას რომ გაშორდა, ორი შვილი, ქალ-ვაჟი ჰყავდათ. ძალადობრივი გზით წამოიყვანა ბავშვებიც სოფელში ვლადიმერმა.

მეორედ იქორწინა, ქალბატონ ანიკოზე, რომელსაც საკუთარი ორი შვილი, ქალ-ვაჟი ჰყავდა. ორი შვილიც - ვაჟები, თანაცხოვრებისას შეეძინათ.

ვლადიმერის და ანიკოს ოჯახს არ ადგა ლხინი და მეტიც, ძალიან უჭირდათ.

ოც კვადრატულ მოქოხილ, მიწურ ოთახში ცხოვრობდა, ექვსი შვილით.

შესასვლელი კარის მოპირდაპირე კედელთან: კარადა, ეგრეთ წოდებული „ბუფეტი“, ოთახის შუაგულში ძველი შემის ფეჩი და ოთახის კუთხეებში ოთხი რკინის სანოლი იდგა. სახლს ფარღალა კარი ჰქონდა და როგორც გარეთ უბერავდა, ისე უბერავდა სახლშიც ქარი.

1942 წლის დასაწყისში ვლადიმერი სამამულო ომში გაინვიეს.

დარჩა ანიკო გაუმართავ სახლში.

ექვსი შვილით, უიმედოდ.

იმ დროისთვის საყოველთაო გაჭირვება იყო საქართველოში და ქართლში განსაკუთრებით. თითო-ოროლა ოჯახს თუ ულხინდა.

უფროსი გერი-ბიჭი თორმეტი წლის იყო, ტყეში დადიოდა ფიჩხის ასაგროვებლად და როგორც შეეძლო ეხმარებოდა დედინაცვალს. მისი და, ასევე გერი, ათი წლის იყო და ეხმარებოდა დედინაცვალს შვილების გაზრდაში. დედინაცვალიც არ ანსხვავებდა შვილებს და გერებს ერთმანეთისგან.

იმ დროისათვის, როცა ვლადიმერი ომში გაინვიეს, მასთან თანაცხოვრებისას შეძენილი უფროსი ბიჭი სამი წლის იყო, უმცროსი კი ჯერ დედის კალთასაც არ იყო მოცილებული. ანიკოს პირველი ქორწინებიდან მოყოლილი შვილები, გოგო ექვსი წლის და ბიჭი ხუთი წლის იყო.

ანიკო მეცხვარის ოჯახიდან იყო და მზითევში კი გამოაყოლეს კარგი საბან-ლეიბი, ნამდვილი მატყლის, მაგრამ თავად ვერაფრის შეძენა ვერ შეძლეს, ახლად შექმნილმა ოჯახმა. არ დასცალდათ სახლის გამართვა.

ორმოცდაათი კვადრათი ეზო-კარი ჰქონდათ სულ და საბოსტნე ეზოდ დარჩენილ ოცდაათ კვადრატში ერთი თუთის ხე და ერთი ალუბლის ხე იდგა, ტალავერზე ას კილომდე ყურძენიც იკრიფებოდა შემოდგომობით.

ეზოში ერთი კვერცხმდებია ქათამი და რამოდენიმე ვარია დარბოდა.

მშრომელი ქალი კი იყო და რაც შეეძლო, მწვანილი და ბოსტნეული კი მოჰყავდა ოცდაათ კვადრატზე, მაგრამ ექესი შვილის სამყოფი რა უნდა მოეყვანა.

ძმები ხშირად უგზავნიდნენ ცხვარიჭამიიდან სურსათ-სანოვარეს, მაგრამ ესეც არ იყო საკმარისი. წლიდან წლამდე თავი ძლივს გაჰქონდათ.

სანამ ომი დაიწყებოდა ორი წლით ადრე ევგენიაც გათხოვდა და ერთი ვაჟი შეეძინა.

გიორგი, ევგენიას მეორე მეუღლე, მენალე იყო. ქუთაისელი, წარმოსადეგი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი ყოფილა. ტკბილენიანი, ხელგაშლილი, ცოლშვილის ერთგული. ხშირად ეტყოდა ევგენიას, გადმოიყვანე ბავშვები თბილისში, ჩვენთან იცხოვრონო. ამჯერად ნამდვილად გაუმართლა ევგენიას.

ომამდეც და ომის დროსაც, შაბათ-კვირას აკითხავდა შვილებს ევგენია, სურსათ-სანოვარით დატვირთული. ტანსაცმელ-ფეხსაცმელსაც არ აკლებდა, საჭიროების მიხედვით. კეთილი ქალი იყო ევგენია და როგორც თავისი შვილებისთვის მიჰქონდა ისე შვილების და-ძმებისთვისაც იცოდა საჩუქრების მიტანა, მაგრამ წამოყვანაზე საუბარიც შეუძლებელი იყო. სიტყვა, - „წავიყვან“ - გაგონებაც არ უნდოდა ვლადიმერს.

ომში რომ გაიწვიეს ვლადიმერი, მაშინ კიდევ ერთხელ, უფრო თამამად ითხოვა შვილების წამოყვანა ევგენიამ.

საკმაოდ ცივილური ურთიერთობა ჰქონდათ ანიკოს

და ევგენიას. იმდენად ცივილური, რომ უფროსი ბიჭი რომ გარდაიცვალა, ჭირისუფალში გვერდიგვერდ ისხდნენ და ორი დედა დასტიროდა ორმოცდაათი წლის ვაჟკაცს. მათი ტირილი და მოთქმა ბუნებასაც ატირებდა, მაგრამ ანიკოსაც ეშინოდა ეტყობა მეუღლის.

- ომიდან რომ დაბრუნდება და ბავშვები შინ არ დახვდება, ვერ დავაჯერებ, რომ მე არ გაეყარე სახლიდან და თავს წამაცლისო...

მით უმეტეს უფროსი ბიჭიც უარზე იყო, იმ მიზეზით, რომ ოჯახში უფროსი კაცის მოვალეობას ასრულებდა და იძახდა, უჩემოდ გაუჭირდება ბავშვების გაზრდაო, ანიკო დედასო. თან მამამ ომში წასვლის წინ დაუბარა, ოჯახს შენ გაბარებო!

ეტყოდა ხოლმე დედას, არ იდარდო, დაიზრდებიან ბავშვები, ომიც მორჩება, ჩამოვა მამა და მოვკიდებ ხელს ჩემ დას და გადმოვალთ შენთან საცხოვრებლადო.

ორივე დედა ერთნაირად უყვარდა ბიჭს და გერ და-ძმებს დედამამიშვილებისგან არც ანსხვავებდა.

სტუმრად კი ხშირად დადიოდა დედასთან თბილისში და იქაც უწევდა ძმობას პატარა ძმას. ხან კისერზე შეისვავდა და ისე აჭენავებდა, ხან ფეხბურთს ეთამაშებოდა. მამინაცვალზეც მამასავით შეიყვარა.

(მამინაცვალი კიდეც ცალკე თემაა, ლეგენდებს ჰყვებოდნენ მის ადამიანობაზე).

ერთი სული ჰქონდა იმხელა გაზრდილიყო, დედასთან გადმოსულიყო საცხოვრებლად, მოხელედ მაინც დაენყო მუშაობა და დედინაცვალს ფინანსურადაც დახმარებოდა და-ძმების გაზრდაში.

1945 წლის 9 მაისს მოსკოვის დროით 01:01 წუთზე, გერმანიის დროით, 8 მაისს 23:01 წუთზე, გერმანიამ „უსიტყვო კაპიტულაციაზე“ ხელი მოაწერა.

9 მაისს გამთენიას თბილისში რადიოთი გადმოსცეს ინფორმაცია ომის შეწყვეტის თაობაზე.

„ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ“!

ერთი წელი კიდეც ელოდნენ ვლადიმერს და ბოლოს მოვიდა ცნობა. „დაიკარგა უგზოუკვლოდ“.

ევგენიამ შვილები თბილისში გადმოიყვანა, მაგრამ არასდროს აუკრძალავს შვილებისთვის დედინაცვალთან სტუმრობა.

შინმოუსვლელი მამის და ომში გმირულად დაღუპულთა სადღეგრძელოს ყოველთვის სვამდნენ ვლადიმერის შვილები, როცა იკრიბებოდნენ.

ბიჭები ხშირად ხუმრობით, გამოცანასავით იტყოდნენ ხოლმე, ჩემი ძმის ძმა, ჩემი ძმა არ არისო“.

ოღონდ მართლა ხუმრობით, რადგან მე ვარ მომსწრე, მათი თავგადაკლული დედმამიშვილობისა!

08.05.24 წ.

აღსარება 2

როგორც ამბობდნენ მასწავლებლები, ნიჭიერი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ზარმაცი.

ჰო, არ სტყუოდნენ.

4 წლისამ ერთ საღამოს არსენა მარაბდელი ვისწავლე ზეპირად, როცა დედა უკითხავდა ჩემ უფროს ძმას და ეუბნებოდა - გაიმეორეო, მე მისაღებ ოთახში სამთვლიანი ველოსიპედით ვერთობოდი და ლექსს გულში ვიმეორებდი. გუშინდელი დღესავით მახსოვს, დედამ რომ უთხრა, აბა, მოყევი, რაც დაიმახსოვრეო და მე დავიწყე, „შაირ სიტყვითა მესტვირე“, ჩემი ძმა მემუდარებოდა, ბოლომდე არ მოყვე, მომკლავს დედაო...

ხო, შემეძლო მეზარმაცა, რადგან გაკვეთილებს შორის დასვენებაზე ორჯერ ნაკითხულ ნებისმიერ საგანს ოთხიანზე მაინც მოვყვებოდი. სამაგიეროდ, ისე არ დავიძინებდი, რომ კლასგარეშე საკითხავი არ წამეკითხა. ლექსები ხომ აუცილებელი იყო, რადგან სულის საზრდოა ჩემთვის ლექსი.

აკრობატისტი ვიყავი და ხშირად დავდიოდით შეკრებებზე, წიგნის გარეშე არ წავიდოდი, მიყვარდა კითხვა და რაც ცოდნა გამაჩნია კითხვის დამსახურებაა და შემდეგ უკვე ტექნიკუმის, დიახ, ფიზკულტურის ტექნიკუმი დავამთავრე წითელ დიპლომზე და ყველაზე ღრმა ცოდნა მაშინ შევიძინე. უმაღლესში კი ჩავაბარე ერთი გამოცდით, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ დავამთავრე, რადგან გავთხოვდი, უფრო სწორედ მომიტაცა მან, მე და მაშინდელი უკუღმართი გაგებით, „რას იტყვის ხალხი“, დავრჩი და ბედნიერი ვარ მხოლოდ იმით, რომ უფალმა ჩემი მაშეიკო მაჩუქა.

ცოტა გადავუხვიე აღსარებიდან. დიახ, სპორტსმენი ვიყავი, აკრობატისტი, ბილიკზე ხტომის სახეობაში და მწვრთნელებიც იმედებს ამყარებდნენ.

მამაჩემის ოცნება იყო ოლიმპიური ჩემპიონი გავმხდარიყავი და მთელ ჩემს ენერგიას სპორტს ვახმარდი. მინდოდა, მამისთვის ოცნება ამესრულებინა, მაგრამ ისე არ გამიგოთ, რომ არ მიყვარდა, რასაც ვაკეთებდი, მიყვარდა და ეს ჩემი არჩევანი იყო.

ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გავხდი, რადგან დაინგრა ქვეყანა, ჩამოიშალა ყველა სტრუქტურა და მათ შორის სპორტიც, მაგრამ 1986 წელს, საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდი, იმ სიხარულით ვსაზრდოობ, რადგან დღესაც თვალწინ მიდგას მამა, ჩემი მედლით და დიპლომით გულში ჩახუტებული.

03.03.2003 წ.

დარჩი სახლში

კოვიდი-19

ჩემი მოკრძალებული აზრი.

მე მგონი ამოცანა ამოხსნილია: ბავშვებსაც ემართებათ კოვიდი, ოღონდ მატარებლები არიანო და ხან სიცხეც კი არა აქვთ. ანუ იოლ ფორმებში.

მიზეზი: ბავშვები არ ისტრესებიან, არ ვარდებიან პანიკაში, თამაშობენ, ერთობიან და არ იციან სიკვდილის მნიშვნელობა.

ამიტომ არც ეშინიათ. ანუ პანიკაში არ უნდა ჩავარდეთ და მშვიდად შევხვდეთ ვირუსს.

უსმინეთ სასიამოვნო მუსიკას.

ივარჯიშეთ.

იკითხეთ წიგნები რომელიც უფრო დადებითად იმოქმედებს.

უყურეთ კომედიურ ფილმებს.
რა თქმა უნდა, ეს ჩემი აზრია და იმედია ჭეშმარიტი!
ვირუსი კი არა, პანიკა კლავს.
დარჩი სახლში, რადგან ეს ომია, ბიოლოგიური ომი,
ფსიქოლოგიური ომი,
მესამე მსოფლიო ომი (მე ასე დავარქვი).
ხოდა, ბომბებს რომ ყრიდნენ, ხომ დარჩებოდით სახლში?
ხოდა, ვირუსებს ყრიან ბრმას და უხილავს!
დარჩი სახლში!
ქართული გენი ძლიერია!
ჩვენ გავიმარჯვებთ ამ ომში!
დარჩი სახლში!

2020 წ.

არ მაპატიოთ...

თუ ვინმე ჩემზე ნაწყენი ხართ, არ მაპატიოთ, რადგან მე
არ გაპატიეთ...

არ შემიძლია ერთს ვფიქრობდე, მეორეს გეუბნებოდე
და მესამეს ვაკეთებდე.

რადგან მე პირში სიმართლე მოგახალეთ, რადგან იმედ-
ები გაგიცრუეთ, ჩაუნვდომელს ჩავწვდი და რადგან ანკესზე
ლაყუჩი არ ავიხიე, დაყრილი საკენკი არ ავკენკე, სანამ არ
გავქექე, ოქროში დამალული „ქაქიკ“ შევნიშნე.

მე მივდივარ და საიდანაც მივდივარ აღარ ვბრუნდები.

ნურც თქვენ დაბრუნდებით, იმედგაცრუებულ ადამი-
ანებს იმედი არ უკვდებათ, მაგრამ ნდობადაკარგულ ადა-
მიანებს სამუდამოდ უკვდებათ ნდობა და ნდობა ქრისტე
არაა, რომ აღდგეს...

მივხვდი, მიგიხვდი და წავედი...

ნდობის სიკვდილი არ გაპატიეთ და არც თქვენ მაპატიოთ, მე ხომ თქვენში ის წარმოდგენა მოვკალი, რის გამოც მენდობოდით და სულელლად მთვლიდით...

უბრალოდ დაიმახსოვრეთ, დღეს ვისაც ენდობი გუშინ მან თქვა, შენ თუ გაგყიდა, მეც გამყიდისო და ადგა, დღეს გიყიდა, რადგან არ გაგეყიდა.

კიდევ ერთხელ მოგახალე სიმართლე და არ მაპატიო!
რადგან არც მე გაპატიებ!

02.01.24 წ.

**სიყვარული დაფრინავს,
სიყვარული არ დადის!**

თუ იცი რატომ გიყვარს ადამიანი, თუ იცი რატომ ხარ მასთან, ეს უკვე სიყვარული არ არის!

„სიყვარული დაფრინავს,
სიყვარული არ დადის“!

13.04.23 წ.

გამარჯობა თუ არ გამარჯობა...

ზაფხული იდგა ძალაში ახლად შესული, ჯერ გაუსაძლისი სიცხეები არ დამდგარიყო, ხალხიც ჯერ კიდევ არ ნასულიყო აგარაკებზე.

დილის ცხრა საათი სრულდებოდა, მზე კარგად ამოწვერილიყო, კვირა დღე იყო და არ ჩქარობდა ხალხი არსად.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერთ-ერთი ძველი უბნის ახალაშენებული კორპუსის სადარბაზოსთან უბნის შუახნის კაცებს მოეყარათ თავი. კორპუსი ოდნავ შემალღებულ გორაზე იდგა და კარგად მოჩანდა მტკვარი და მტკვრის მარცხენა სანაპიროს გორის თავზე შეფენილი ძველი უბანი, ნახალოვკა ანუ ნაძალადევი.

გასულ საუკუნეში ზემო ხსენებული კორპუსის ადგილას, ულამაზესი იტალიური ეზო იყო. ძველი თბილისური ეზო, როგორც იტყოდნენ ძველად: „შვილის მომზადება გინდა? პროფესორი შენი მეზობელია. საქმეს ვერ აგვარებ? საქმეთა მმართველი შენი მეზობელია. თევზი გინდა, მეთევზე შენი მეზობელია. ფეხსაცმელი გაქვს შესაკეთებელი? მენალე შენი მეზობელია. ავეჯი გაქვს გადასაზიდი, დაუზარელი, მშრომელი აზიზა შენი მეზობელია. მოკლედ, ყველა რჯულის და მრწამსის ხალხი ერთად ცხოვრობდა სიამტკბილობაში. სალამოობით ეზოს შუაგულში, ნარდის ან დომინოს ჭახაჭუხი ისმოდა, ჭირი და ლხინი ერთი ჰქონდათ და სალაში დასწრებაზე იყო.

ახლა ამ ადგილზე, მრავალსართულიანი კორპუსია წამოჭიმული, ახლად აშენებული კორპუსის სადარბაზოდან, ამავე კორპუსის მცხოვრები, ერთი კვირის გადმოსული, მაღალი, ტანადი, წარმოსადეგი ახალგაზრდა ბიჭი გამოვიდა, 22-23 წლის იქნებოდა, რომელსაც ჯერ ვერ მოესწრო მეზობლების გაცნობა. კაცებს ისე ჩაუარა, ზედაც არ შეხედა.

ერთ-ერთმა მათგანმა სალამი მისცა.

- გამარჯობა, ახალგაზრდავ!

- ბოდიში ვერ გიცანით...

- გამარჯობას ცნობა რად უნდა, შვილო. მეზობლები ვართ და რომც არ ვიყოთ, სალამი ღვთისაა!

- მოცლილი ხარ, ბიძაჩემო, ამ დილაუთენია მორალის კითხვას, საქმეს ეწიო გირჩევენია, გამატარე თუ კაცი ხარ, მაგვიანდება!

- რომელ სართულზე ცხოვრობ, ბიძია?

- მეშვიდეზე!

- მამაშენი უნდა გავიცნო, გავიგო რა კაცის გაზრდილი ხარ!

ბიჭმა მანქანის კარი გამოაღო, პასუხი აღარ გაუცია, ისე დატოვა ტერიტორია. ადგილიდან მოწყვეტა მანქანა, ასე გამოხატა გაბრაზება.

მეორე დილით სადარბაზოს სატვირთო მანქანა მოადგა. მეშვიდე სართულიდან ავეჯს ეზიდებოდნენ.

სავარაუდოდ ახალგაზრდა ბიჭმა მოყვა სახლში ეს ამბავი და მამამ თავის მოჭრას ბინის გამოცვლა არჩია. ეტყობა, ნამუსიანი კაცი იყო, მაგრამ შვილი ვერ აღზარდა ქართული ტრადიციებით, თორემ ძველად საქართველოში ეზოში გამოსულ ადამიანს კაცი თუ არ შეხვდებოდა, ძაღლს ესალმებოდა, კატას ესალმებოდა, ხეს ესალმებოდა, მზეს ესალმებოდა, სალამი ღვთისაა!

23.11.24 წ.

სიკვდილის აჩრდილი...

შემოდგომის წვიმიანი დილა იყო, ნახევრად ეძინა დანისლულ თბილისს. მესიამოვნა კიდეც ჟუჟუნა წვიმა, სადარბაზოდან ნელა გამოვედი, არც ამიჩქარებია ნაბიჯი, ეზო დაცლილი იყო, ჩიტიც კი ვერ შევნიშნე, მანქანის კარი გავაღე და ჩავჯექი, როგორც ყოველთვის, სამსახურში მივდიოდი, მაგრამ რადგან წვიმიანი დღე იყო, ადრე გამოვედი ცოტა და აუჩქარებლად ვმოძრაობდი, თითქოს სიმფონიასავით აწკაპუნებდა წვიმის წვეთები მანქანის სახურავზე და საქარე მინის მწმენდავებიც მელოდიურად გადადიოდნენ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ასეთ დროს გაურკვეველ, მაგრამ სასიამოვნო მელანქოლიას განვიცდი, რომელიც სხვისთვის გაუგებარიც იქნება, მხოლოდ აქა-იქ თუ გაივლიდნენ მანქანები, თბილისის მარცხენა სანაპიროზე, ალბათ ვინც დილიდან იწყებს მუშაობას, თორემ ერთ-ორ საათში სანაპირო ისე გადაიტვირთება, საცობებიც კი დაიწყება.

გავცდი თუ არა სამტრედიის ქუჩის კვეთაზე შუქნიშანს, ალბათ ას მეტრში ადამიანი შევნიშნე, მტკვრის რიკულებიან მოაჯირთან ჩაკეცილი, შორიდან ვერ გავარკვიე, ქალი იყო თუ მამაკაცი, მაგრამ რომ მივუახლოვდი და სილუეტი კარგად გავარჩიე, ქალი იყო და არც შევმცდარვარ. დავამუხრუჭე, სასწრაფოდ გადმოვედი მანქანიდან, ვიფიქრე ცუდად თუ გახდა, რადგან ისე იყო ჩაკეცილი, კუჭის ტკივილის დროს რომ იკეცებიან ადამიანები.

წამოვაყენე და დახმარება შევთავაზე, სასწრაფოს გამოძახება დავაპირე, მაგრამ იუარა, კარგად ვარო მითხრა, - ადამიანური თანაგრძნობა დაკარგული მეგონაო და დღეს შენ სიცოცხლე მაჩუქეო.

როგორც აღმოჩნდა, ცხოვრებისგან გარიყულს და ცხოვრებაზე გაბრაზებულს, თავისმოკვლა ჰქონია გად-
ანწყვეტილი. დიდხანს ვისაუბრეთ.

ვუყურებდი სიფრიფანა გოგოს, რომლის თვალებშიც
მადლიერებას ვხედავდი, არადა, წამების წინ, სიკვდილს
ჩავხედე მის თვალებში, როცა მითხრა, რომ ჩემი გადარჩენა
შეუძლებელიაო, თქვენ ახლა მკვდარი სული გესაუბრება-
თო და მკვდრებს არაფერი სტკივათო, მე არ ვგულისხმობ,
დედარჩემის ან მამარჩემის სულს, არც წინაპრების, ჩემგან
წარსულის ჩრდილი დარჩა და ახლა ამ ამბავს საიქიოდან
გიყვებითო...

ზოგჯერ ერთ სიტყვას, ერთ ქმედებას შეუძლია ადამი-
ანის გადარჩენა. მკვდრის გაცოცხლებაც შესაძლებელი
ყოფილა...

10.10.24 წ.

წვიმა შემოდგომისა

შემოდგომის მზიანი დილა იყო, სამსახურში ვიჩქარი. შუქნიშანთან შევჩერდი და წითელი ფერის ანთებას დავ-
ელოდე. უცბად ქალაქში ამინდი საგრძნობლად შეიცვალა. ჰაერს
ნესტის სუნი მოჰქონდა, ცაში ღრუბლები ჩაძირული-
ყვნენ, დაიქუხა და ცამ პირი გახსნა, კოკისპირული წვიმა
წამოვიდა, წვიმა თითქოს მდინარედ იქცა, ტროტუარე-
ბიდან კი სველი ხეები იმზირებოდნენ. წვიმიან ამინდში მზე
გოლფის ბურთივით დაიკარგა უმისამართოდ და ღრუბელი
საროსკიპოდან გამოგდებული კაცივით იბღვირებოდა.

შუქნიშანზე ყვითელი ფერი აციმციმდა, წითელი ფერიც
აინთო და მანქანებიც გაჩერდა.

თითქოს ხმაური შეწყდა და სიმშვიდემ დაისადგურა. მხ-
ოლოდ წვიმის წვეთების სასიამოვნო სიმფონია ისმოდა.

შუქნიშანთან დიდი ხე დგას, ხის ქვეშ შეყვარებული
წყვილი შეფარებოდა, თუმც მე მეგონა, რომ წვიმას ემაღე-
ბოდნენ, მაგრამ გადასვლას არ ჩქარობდნენ, თითქოს წვი-
მასაც ვერ ამჩნევდნენ, მათ თვალეში მზე ანათებდა და
ხის ტოტებს შორის მათთვის წვიმიანი ქალაქიც მზესავით
ანათებდა.

ვუყურებდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, წვიმის წვეთე-
ბი მათთვის უკრავდნენ და ცეკვავდნენ და ეს ცეკვა იყო
მომავლის იმედი.

გული სიხარულით მევსებოდა. სამჯერ არ გადავედი
წითელზე, ვუყურებდი და გულში ვლოცავდი.

მერე ფიქრი შუქნიშანზე გადავიტანე, შუქნიშანს და სი-
ყვარულს შორის მსგავსება აღმოვაჩინე.

ყვითელი ფერი გაფრთხილებაა და სიყვარულსაც გა-
ფრთხილება უნდა. მწვანე ფერი მუდმივ მოძრაობას და
განახლებას შევადარე და სიყვარულსაც არ უყვარს გა-

ჩერება, სული უნდა უბერო სულ, სულ უნდა ენთოს კან-დელივით. წითელი კი იმ სიყვარულს შევადარე, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“, დროულად უნდა შეწყვიტო, უნდა წახვიდე და წასვლაც ღირსეული უნდა იყოს.

მწვანე ფერიდან წითელ ფერამდე ყვითელი ფერია და სიყვარულიდან სიძულვილამდეც ხომ ერთი ნაბიჯია?

კიდეც ერთხელ გავხედე ხის ქვეშ მდგარ წყვილს.

ისევ აენთო წითელი, მანქანის საყვირის ხმა ჩამესმა, ფიქრებიდან გამოვერკვიე, გადასასვლელზე გადასვლა გადავწყვიტე, ბედნიერი წყვილი ისევ ჩახუტებულები გაუნძრევლად იდგნენ და თვალებით ერთმანეთს ესაუბრებოდნენ.

წვიმის წვეთები სიყვარულით ანთებულ წყვილს აგრილებდა. სველდებოდნენ, მაგრამ თითქოს ეს მათ არც ანუხებდათ. მათი შემხედვარე გული გამიახალგაზრდავდა და თითქოს სამყაროში ახალი ბედნიერების სხივები შევნიშნე.

ახლა თითქოს ჩემთვისაც აღარ წვიმდა და ყველაფერი და ყველგან მზე იყო. მთელი ქალაქი სიყვარულის ფერი მეჩვენებოდა, მათი სიყვარული მოედო მაღამოდ ქალაქს და ახალი გზა დაიწყო, — გზა, რომელიც მხოლოდ სიყვარულისა იქნებოდა და სიძულვილს ადგილი არ ექნებოდა სამყაროში.

რა ცოტა ყოფნის ადამიანს ბედნიერებისთვის და რა ბევრს ვითხოვთ ადამიანები...

09.09.24 წ.

ჭიქა ყაჰაზი-2...

მამაჩემი იტყოდა ხოლმე: - „ცუდი მეზობელი კარგ ნათესავს სჯობიაო“...

სულ მიკვირდა, ვერ ვუგებდი, რას გულისხმობდა, მეზობლებზეც და ნათესავებზე ხომ საერთოდ, მარტო თავისი კი არა დედის ნათესავებზეც თავგადაკლული კაცი.

ერთხელაც, ადგა მამა და ყველას დაუკითხავად წავიდა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ გული უგრძნობდა, ყველას გამოემშვიდობა, იმ საღამოს მეც შუბლზე მაკოცა და მითხრა, შენი იმედი მაქვს, დედას მიხედუო და დედას უთხრა, დაისვენე, ნუ იღლები, შენ რომ რამე მოგივიდეს, ამ ბავშვებს რა ეშველებათო და დილით ოდნავ ცივ-თბილი დაგვხვდა. დედაჩემის კივილმა შეძრა სამეზობლო. აი, მაშინ მივხვდი, რას გულისხმობდა და რა შინაარსს ატარებდა მამაჩემის ნათქვამი. პირველი ზუსტად ის მეზობელი შემოვარდა, ვისთანაც რაღაც მიზეზის გამო უმძრახები იყვნენ.

ნათესავები შორს ცხოვრობდნენ, ზოგი იმ დღესვე მოვიდა, ზოგი მეორე დღეს და ზოგი საერთოდ არც მოსულა, რადგან ძალიან გვიან გაიგეს.

ისედაც არ მიყვარს ადამიანის წყენინება, უკიდურეს მომენტამდე ვცდილობ, თვალები დავხუჭო და გავატარო ის, რაც შეიძლება გავატარო, მაგრამ მამის ეს სიტყვები ისე ჩამებეჭდა, ვცდილობ, მეზობლობაში და მეგობრობაში კიდევ უფრო ღმობიერი ვიყო. რადგან პატიება კი ვიცი, მაგრამ თუ გულიდან ამოვირეცხე, დამთავრდა, უკან დაბრუნება არ ვიცი.

გამარჯობა კი ღვთისაა...

ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს!

21.01.25 წ.

„მთავარი როლი და მათუბაელი“...

ერთადერთი თხოვნის წერილს ვწერ, სამყაროს შემქმნელს!

ამ წერილით მინდა, თანაგრძნობა გამოვსახო, ყველა შვილმკვდარი დედის მიმართ...

შენს მიწაზე არ აბიჯებდნენ გულამოგლეჯილი და ცოცხალმკვდარი მშობლები!

შენი მიწა არ ღებოდეს დედის ცრემლებით!

შენი მთები არ ზანზარებდეს მამების ღრიალით!

ბუნების კანონად დაანესე, მტრედებზე წინ ზეცად არ მიფრინავდნენ ხუნდები!

17 წელი ვუყურებდი თვალებში დედას და ვხედავდი, როგორ მიდნებოდა ხელებში, ისედაც ჩია ქალი. იქამდე 10 წელი ვუყურებდი „ოთარაანთ ქვრივივით“ რკინის დედას, როგორ იბრძოდა და როგორ გამოგლიჯა მძიმე სენს ხელიდან სიყრმის შვილი, მაგრამ ავბედითმა ბედისწერამ მაინც მძიმე ტვირთის ტარება არგუნა დედას. ათი წლის ნანატრ შვილიშვილს, რომელიც ზეცად გაფრინდა, შვიდ თვეში შვილიც (ანუ მამაც) შეუერთდა, სამარადისოდ. გაეხსნა ძველი ჭრილობები და აქ დედა უძლური აღმოჩნდა, თუმცა მაინც იბრძოლა, ის შვიდი თვე ფარხმალი არ დაუყრია (იმედი ხომ ბოლოს კვდება). ამ ყველაფერზე ადრე კი 25 წელი ვუყურე „ოთარაანთ ქვრივი“ დღისით როგორ დადიოდა რკინის ქალამნებით და ღამით როგორ ედო თავი ნესტიან სასთუმალზე...

არასდროს ამოიშლება თვალებიდან კადრები და გულზე ამოკანწული: 1986 წელი-აპრილი.

1993 წელი-თებერვალი, ოქტომბერი.

2011 წელი-დეკემბერი.

იტყვიან, - „დედა უკვდავიაო“, მაგრამ ჩემთვის მამაც უკვდავია! ძმაც უკვდავია! ჩემი გუჯიკო ხომ ბაგეზე რძე

ვერშემშრალი, უცოდველი გაფრინდა და უკვდავთა შორის ყველაზე უკვდავები, ბაგეზე რძე ვერშემშრალელები არიან!

იტყვიან ხოლმე, - „სიზმარივით მახსოვსო“. მე გუშინდელი დღესავით მახსოვს:

1986 წლის მარტი. საქართველოს საგაზაფხულო ოლიმპიადა.

პირველი ადგილი რომ ავიღე, მამამ უკვე მტკივან გულში ჩახუტებული ატარა სიგელი და მედალი სახლამდე.

რა ვიცოდი, რომ ერთი თვის თავზე სამუდამოდ უმტყუნებდა ის მტკივანი გული...

მადლიანი კაცი რომ იყო კი ვიცოდი, მაგრამ ბედნიერი კაცი ყოფილა, შვილის გარდაცვალებას ვერ მოესწრო...

ყველაზე საშინელებაა, როცა მთავარ როლშიც ხარ და მაყურებელიც...

ეს ენით არ გამოითქმის და კალმით არ იწერება, მხოლოდ გულის კუნთი იკანრება და დუნდება...

25.12.24 წ.

ღალატი

ყველაზე ძალიან ღალატი ქმედება მძულს ცხოვრებაში.

ყველაფერი შეიძლება ვაპატიო ადამიანს, მაგრამ ღალატს ვერ ვპატიობ.

რა საშინელებაა ნდობის ბოროტად გამოყენება.

პრინციპული ადამიანი ვარ და თუ ვინმეს რამე შევპირდი, ნემსის ყუნწში რომ გავძვრე, მაინც შევასრულებ.

მამაჩემი იტყოდა ხოლმე, - პირობის გულისთვის სანათზე ფეხებდაკიდებულმა უნდა გაძლოო!

მამაჩემის ბრალია ყველაფერი. „დამნაშავე შენ ხარ მხოლოდ“, ოღონდ პირიქით, კარგად რომ შთამაგონე პირობის არსი და ცოტა ბუნებამაც მიშველა, რა თქმა უნდა.

პრინციპი...

პრინციპულობამ ბევრჯერ დამაზარალა, ოქროს წლებიც წამართვა, მაგრამ არც ვნანობ. სიტყვა გატეხა, ან მიღალატაო, ზუსტად ვიცი ვერავინ იტყვის ჩემზე.

ახლა უბრალოდ გავიზარდე და დაპირებებს აღარ გავცემ, ვისწავლე სიტყვა „ვეცდები“, თორემ თუკი დავპირდი, ახლაც გავძვრები ნემსის ყუნწში.

ბაჟრა...

თუ გინდა ადექი და ტყვია დამახალე.

ოღონდ თვალებში მიყურე და ისე მესროლე, ზურგიდან არ გინდა, მაინც გულში გაივლის.

ყოველთვის გამოჩნდება კეთილმოსურნე და სიტყვით თუ ვერა თვალებით მანიშნებს, აღარ გაპატიებ.

ღალატს ვერ ვპატიობ ადამიანებს, ადექი და წადი, სადაც გინდა წადი, ჩემგან შორს, იქ, სადაც კარგად იქნები, ოღონდ უჩემოდ.

არასდროს დაბრუნდე, რადგან ვერ ამოგიცანი, ვერც მერე გიცნობ...

22.02.24 წ.

ბრძენი ყველა ბაბუაჩი!

1

ბრძენი კაცი ბაბუაჩემი!

- ბაბუ!

- მოხვედი, შვილო?

შენ გენაცვალე მუხლებში!

- მოხვედი, ბაბუ.

- რამ შეგანუხა, ბაბუ?

- ბრძენი კაცი ხარ შენ, ბაბუ!

ასე გიცნობს მთელი სოფელი და კითხვა მაქვს შენთან.

- ეჰ, დავბერდი, შვილო, მაგრამ იმდენი სიბრძნე შემრჩე-
ბოდა, შენ რომ გეყოს.

მკითხე, ბაბუ, მკითხე.

ძალიან შენუხდი ალბათ თორემ, შენ ისე არ ამოხვიდო-
დი ამ გზას.

სულ დამივიწყე, ბაბუ. მესმის ბევრი საქმე გაქვს, მაგრამ
კვირაში ერთხელ რომ ამომიარო, როგორ ვერ ახერხებ...

დავჯდეთ, მთის წყალი დავლიოთ, ვისაუბროთ, ვიკამ-
ათოთ.

კამათში იზადება ჭეშმარიტება, ბაბუ. ჭკვიან და მარ-
თალ კაცს კამათი არ აშინებს, არც ჩხუბში გადაჰყავთ
საქმე, ჭეშმარიტებამდე კი მიგიყვანს.

კაი, ბაბუ, გამიგრძელდა სიტყვა, აბა, რაო, რას მეუბნე-
ბოდი?

- რას, ბაბუ, და ვერ გავიზარდე, მიჭირს ნამდვილი და
ყალბი ადამიანის გარჩევა, ვინც ორ ტკბილ სიტყვას მე-
ტყვის და მეგობრად მივიღებ, ძირის გამოთხრას მიწყებს!

გეცოდინება შენ, როგორ შევიცნო ადამიანები?

- ეჰ, ბაბუ, ერთი ფუთი მარილიც რომ ჭამო, იქნებ მაინც
ვერ შეიცნო ადამიანი?!

ერთს გეტყვი, ბაბუ, ჯერ რამოდენიმე არაფრის მთქმე-
ლი საიდუმლო უთხარი, მეგობრად რომ თვლი მას, მერე

მაგრად აწყენინე, გულის ტკივილამდე აწყენინე, აუცილებლად გაიგებ, რას ფიქრობდა შენზე. თუ შარაზე დაგდო, პირში ვერ გაგიბედა, გამოჩნდებიან კეთილის მსურველები და გაიგებ აუცილებლად.

ოლონდ დაიმახსოვრე, ბაბუ, არც ისაა კარგი კაცი, ვინც მოუსმინა და პასუხი არ დაუბრუნა, გამოიქცა და ცოტა იქნებ წაამატა, გულისმოსაფხანი, სეირის საყურებლად.

უპასუხოდ დატოვე, ბაბუ, ერთიც და მეორეც.

ღმერთია მოწყალე!

- თუ შარაზე არ გამდო, ბაბუ?

- მიდი, მოუბოდიშე, ბოდიშის არასდროს შეგრცხვეს, ბაბუ.

გულში ჩაიკარი და გეცოდინება, თევზივით მეგობარი გყავს გვერდით.

- წავედი, ბაბუ, საცაა ჩამოლამდება.

- მთის წყალი გაიყოლე, ბაბუ, ასეთ წყალს ბარში ვერ დალევ შენ!

კვირაში ერთხელ მაინც გამომიარე, ბაბუ, ნუ მომანატრებ თავს, ვინ იცის, რა ხდება...

- კარგი, ბაბუ...

09.08.2022 წ

2

ბრძენი კაცია ბაბუაჩემი!

- ბაბუუუ!

მოვედი, ბაბუუუ...

- მოხვედი, ბაბუ?

მოდი, შვილო, მოდი.

შენ გენაცვალოს ბაბუ მუხლებში!

მოდო კაკლის ჩეროში ჩამოვსხდეთ, საამო სიო უბერავს, თან მთის წყალი დალიე, გაგრილდები ცოტას, ასეთ წყალს ბარში ვერ დალევ, ბაბუ!

აბა, მომიყევი რა ხდება ბარში, რამ შეგანუხა, ბაბუ!

- არაფერი, ბაბუ, ყველაფერი დინებას მიჰყვება.

ხომ დაგპირდი ამოვალ, ხოდა, მოვედი. ვიცოდი გზისკენ დაგრჩებოდა თვალი.

- კარგია, ბაბუ, კარგია!

ეგაც კარგია, პირობა რომ გახსოვს და თუ დინებას მიყვება ყველაფერი, კალაპოტში მაინც ყოფილა... კალაპოტიდან გადმოსვლაა ცუდი, იმ კოკას ემსგავსება, პირამდე სავსე რომ არის, წვეთიც რომ დაამატო გადმოვა, აუცილებლად გადმოვა, ბაბუ!

- ეჰ! ისე, ასე კია საქმე, ბაბუ, მართლა წვეთი აკლია მდინარის კალაპოტიდან გადმოსვლას, აირია მონასტერი.

ღმერთმა არ ჰქნას...

- ღმერთმა არ ჰქნას, ბაბუ!

ისედაც ცოტანი დავრჩით ამ ღუნიაზე, ყველა გარბის, დაიცალა მთაცა და ბარიც.

მეტს ველარ გაუძლებს კაცის გული...

ეჰ...

ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს, ბაბუ!

ერთად დგომა გვმართებს, ბაბუ!

- ეჰ...

მართალი ხარ, ბაბუ, მაგრამ...

წავალ, ბაბუ, ბინდდება უკვე.

ამოვალ.

მომავალ კვირასაც ამოვირბენ.

- კარგი, ბაბუ, კარგი...

კარგი ბიჭი ხარ, პირობა რომ არ დაარღვიე.

გახსოვდეს, ბაბუ, არასოდეს დაპირდე კაცს, თუ დაპირდები, რომ კვდებოდე უნდა შეასრულო!

ხომ გაგიგონია: პირობამ, კაცს სახლ-კარი გააყიდინაო...
ხოდა, დაუფიქრებლად არავის არაფერს დაპირდე, ბაბუ!
აბა, კეთილი მგზავრობა, გელოდები მომავალ კვირას!

- ვეცდები, ბაბუ, ვეცდები...

- აიგ! შე ოხერნახევარა, რა უცბად შეცვალე პირობა!
კეთილი მგზავრობა, ბაბუ!

- მშვიდობით დამიხვდი, ბაბუუუ...

17.08.2022 წ.

3

ბრძენი კაცია ბაბუაჩემი!

ბაბუუუ!

მოვედი, ბაბუ!

აღმართს სანამ ავირბენ, ჭიშკარში შესვლამდე ვეძახი,
მიყვარს მისი გახარება.

მზიან დღეებში, განსაკუთრებით შაბათ დღეს, ეზოში
ზის, ჭიშკარს გაჰყურებს.

თუ ჭიშკარს გარეთ ზის, მაშინ კი მოსჩანს ქალაქიდან მო-
მავალი გზა, მესამე მოსახვევიდან უკვე ცნობს მანქანას და
ახლოს მოდის გზასთან, აღარც მე ვინცებ შორიდან ძახილს.

არადა, როგორ მიყვარს, მე რომ შორიდან ვეძახი, ბაბუ,
ბაბუ, და რომ გამომძახებს:

მოხვედი, ბაბუ?! შენ გენაცვალე მუხლებში, ჩემო გამხ-
არებელო, ჩემო იმედო, ჩემო დამმარხველო. ეს უკანასკ-
ნელი სიტყვა გულზე ეკლად მესობა, მაგრამ არ ვიმჩნევ,
ვუღიმი.

აუჩქარებელი ნაბიჯით მოდის ჩემსკენ ხელებგაშლი-
ლი, გულში ჩასახუტებლად, ხელიდან არ უშვებს ხელჯოხს.

განა სიარული უჭირს, არა, ჩვევად აქვს ხელჯოხის ტარება, სადაც ჩამოვდება ჯოხს უნდა დაეყრდნოს.

კოკით წყაროს წყალს აუცილებლად მახვედრებს, ეს ერთ-ერთი ნიშანია გელოდებოდიო,

დღესაც ეზოში დამხვდა, გამეხარდა, შორიდანვე დავუძახე:

- ბაბუუუ!

მოვედი, ბაბუ!

- მოხვედი, ბაბუ?!

შენ გენაცვალე მუხლებში...

მზიანი დღეა, ბაბუ, მოდი კაკლის ჩრდილში ჩამოვსხედეთ, წყაროს წყალი დალიე, ბაბუ, ასეთ წყალს ქალაქში ვერ დალევ!

როგორ ხარ, ბაბუ, რა ამბებია ქალაქში?

- ახალი არაფერია, ბაბუ, სასიკეთო განსაკუთრებით. უკან-უკან მიდის ცხოვრება, თუ ასე გაგრძელდა, არ მინდა, მაგრამ ალბათ წავალ მეც...

- რას ამბობ, ბაბუ, ეგ მეორედ არ თქვა, მე რას მიპირებ, იქნებ ისე დამმარხონ, მკვდარიც ვერ მნახო?!

- ჯვარი გწერია, ბაბუ, რას ამბობ, მალე დავბრუნდები, სამუდამოდ კი არ წავალ.

- ეჰ... ბაბუ, ბევრი მინახავს წასული, მაგრამ არავინ აღარ ბრუნდება. წასული კაცი ფიქრობს, ცოტასაც დავაგროვებო და ამ სიცოტავეში ბევრი დრო გადის. ამოიგდე თავიდან ეგ აზრი, აუცილებლად გამოჩნდება გამოსავალი, ცოცხალი ჩონჩხი ხორცს ყოველთვის შეისხამს, მთავარია სულიერად არ დაეცე!

- ეგ ადრე იყო, ბაბუ, როცა სიტყვა ფასობდა და მეგობარი მეგობრობდა...

- რა გული გაგიტეხია, ბაბუ, მეგობარმა ხომ არ გაწყენინა?

- წყენას ვინ ჩივის...

იცო, ბაბუ, შენ მაინც იცო, ძნელია ჩემი წყენინება, ყველაფერს ჯერ დადებითი მხრიდან ვუყურებ და თუ გამოსავალს არ მიტოვებენ, პასუხის გარეშე ვტოვებ ყველაფერს.

კი მეუბნები, ერთი ფუთი მარილი უნდა ჭამო, სანამ მეგობარს უწოდებო, მაგრამ ეგრე უმეგობროდ დარჩება ადამიანი?!

- რატომ, ბაბუ, მეორე გამოთქმაც ხომ გასწავლე:

ერთი ბოცა ღვინო დალიე, რაც ფხიზელს გულში აქვს, მთვრალს ენაზე მოადგება (ჩაელიმა ბაბუს, იცის ჩემი პასუხი).

- რა ვქნა, სმა არ მიყვარს, ბაბუ, და...

- მაშინ ფული ასესხე... ნუ გადაუხვიე, ბაბუ, საუბრიდან, გაფიცებ თავიდან ამოიგდე სამშობლოს დატოვება, თორემ მე ჯანდაბას, მართლა ჩემს თავზე კი არ ვდარდობ...

გეგმები გქონდა, მიიღია სექტემბერი...

სად წავიდნენ შენი სურვილები?

- თუ არ წავედი, ბაბუ, სურვილი ოცნებად დამრჩება, არადა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოვცე კრებული, ველარ გაბედავენ დედა მომპარონ!

- აჰ, გასაგებია, ბაბუ, გასაგები...

ერთი წლის პენსია წინასწარ რომ ავიღო, ბაბუ, ხომ გეყოფა?

- ეგ არც იფიქრო, ბაბუ! როგორ მითხარი? ცოცხალი ჩონჩხი ხორცს ყოველთვის შეისხავს, ხო...

ხოდა, შეისხავს, ბაბუ, შეისხავს!

როდის ყოფილა ვინმე მომეკლას?

არც ოცნებას მოვკლავ, ბაბუ, და არც შენ მოგკლავ!

წავედი ახლა, ბაბუ, ჩამობნელდა, შენც შედი სახლში, აგრილდა, არ გაცივდე.

- კარგი, ბაბუ, წადი და მეორედ აღარ გაიფიქრო სადმე წასვლა, ხომ გტკივა, დედა რომ მოგპარეს? ხოდა, შენ შენს შვილს რატომ პარავ დედას?!..

- ნახვამდის, ბაბუ.

- კეთილი მგზავრობა, ბაბუ, შაბათს გელოდები იცოდე, არ მიღალატო!

15.09.2022 წ.

4

ბრძენი კაცია ბაბუაჩემი!

...როგორც კი ბოლო მოსახვევი და ბოლო აღმართი ავი-
არე, ჯოხზე დაყრდნობილი ბაბუ დავლანდე.

ასე იცის, კვირა დღეს დილიდან გადმოდგება გორაკზე
და მელოდება.

იცის, რომ კვირას ვინახულებ.

ღმერთმა არ ჰქნას ვერ ვინახულო, ვერ მოვახერხო კვი-
რა დღეს მისვლა.

სანამ დავურეკავ და ვეტყვი, ვერ მოვდივარ, ბაბუ.
უნდა მაპატიო... გაფითრებული სახე უფრო უფითრდე-
ბა, თვალეში სევდა ელვრება, გაცრეცილი ტუჩის კუთხე
უთრთის... ვიცი და ვცდილობ, ყველა საქმე გადავდო.

მართლაც, ბაბუს გახარებაზე, მასთან საუბარზე და მის
დარიგებაზე კარგი საქმე რა უნდა იყოს?! მაგრამ ხანდახან
ხდება, გადაუდებელი საქმეებიც არსებობს და სხვა გზა არაა.

სიცხიანი პაციენტი რომ დაგირეკავს, მიშველე, ვინვი,
ბავშვს ვერ ვაჭმევ, მშიერი მრჩება, რძე მიშრება, ვერ ულა-
ლატებ, რომელიც შენს იმედად დარჩა და ხსნას შენგან ელის.

ამ დროს, მკვდარიც რომ ვიყო ვცოცხლდები.

ყველა საქმეს გადავდებ და გავრბივარ საშველად.

- მივუახლოვდი თუ არა ეზოკარს, წელში გაიმართა ბაბუ.

ოცი წლის ჯეელივით სწრაფი ნაბიჯით მომეგება, თვალე-
ბი თან აუწყლიანდა, თან ვარსკვლავები უთამაშებდა, ალაგ-
ალაგ დანაოჭებულ ლოყებზე ალისფერმა გადაჰკრა.

- მოხვედი, ბაბუ?! შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე,
ჩემო ობლისკვერო. რატომ შეგაგვიანდა? ნერვიულობას
ვინყებდი უკვე.

- მოვედი, ბაბუ! მოვედი! ნუ ნერვიულობ ხოლმე ასე.

- როგორ არ ვინერვიულო, შვილო! შენა ხარ ჩემი
თვალისჩინი. გენაცვალოს ბაბუ!

- კვირა კია, ბაბუ, მაგრამ საცობებია ქალაქში, უკვე კვი-
რაც აღარ ჰგავს კვირას...

- მოდი, ბაბუ, მოდი, თბილი დღეა, აქ ჩამოვჯდეთ, ჩემს
საყვარელ კაკლის ხის ძირში, ჩემსავით ბებერი და კერკე-
ტია, მაგრამ მოსაჭრელად მენანება, ბევრის მნახველი და
ბევრის მომსწრეა ეს დალოცვილი.

მოდი ჩვენებური წყალი დალიე, ამოისუნთქე და მომი-
ყევი რა ხდება ქალაქს.

- მოსაყოლიც არაფერია, ბაბუ... უკან-უკან მიდის ცხ-
ოვრება.

- ცხოვრება უკან-უკან ვერ წავა, ბაბუ! ცხოვრება არ-
ქარდა, წინ მიდის და ფეხი უნდა აუწყო, არც გაასწრო და
არც ჩამორჩე!

- უჰ! ყოველთვის ბრძნულ აზრებს მომაცრი ხოლმე,
ბაბუ, ასე იოლია ფეხის აწყობა, არა, ბაბუ, არაა იოლი...

- ვინ გითხრა იოლიაო, ბაბუ?!

ფარხმალი არ უნდა დაყარო, თორემ წყლის დაღევაც
არაა ეგრე იოლი!

- რავი, ბაბუ...

რალაც ვერ ვარ კარგად, მეც ვბერდები მგონი, ველარ
ეუწყობ ეტყობა ამ სწრაფ სვლას ფეხს...

- შენ შენს თავს არ გავეხარ, ბაბუ! არც ჩემ გაზრდილს...
რა გააკეთე, რომ კარგად ყოფილიყავი?
ვატყობ არაფერი!
გულზე ხელი დაიდე და ცუდად ვარო. ასე კარგად ვერ
გახდები, ბაბუ.
შესანიშნავი შვიდეული, კარგად გახსოვს, ბაბუ?!
- კი, ბაბუ, მახსოვს.
- ხოდა, თუ გახსოვს, ისაც გეხსომება, კაცი მეჩვიდმეტე
სართულიდან მოფრინავდაო და სანამ ძირს დაეცემოდა,
„Пока-мис все идет хорошо“ო!
- მახსოვს, ბაბუ! მახსოვს.
- ხოდა, თუ გახსოვს, მოიშორე ეგ ხელი გულიდან და არ
გამაგონო, ცუდად ვარ, ვბერდებო...
ცოცხალი სხეული ხორცს ყოველთვის შეისხამს.
ხელი გაანძრიე და გეშველება.
ასე თუ გააგრძელე, გამასწრებ დაბერებაში, ბაბუ, და
ვერაა მთლად კარგი დაბერება.
ასაკით კი არ ბერდება კაცი, ბაბუ?!
- გულით, გულით ბერდება კაცი! - ხოდა, გულით არ დაბ-
ერდე, ბაბუ.
- მესმის, ბაბუ! მესმის. აი, მომეშვა კიდეც უკვე...
შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, ბაბუ ?!
- რას ამბობ, ბაბუ? შენ რომ არ მყავდე, მე რა მეშველებო-
და მართლა? შენ რომ მყავხარ და ვიცი, წამალია ჩემი სიტყ-
ვა, ეგ მაცოცხლებს, თორემ აქამდე რა მაცოცხლებდა?
- სანამ იცი, რომ ერთ ადამიანს მაინც სჭირდება და ეი-
მედები, იქამდე აზრი აქვს ცხოვრებას.
აბა, დაფიქრდი, რამდენ ადამიანს ეიმედები?! ხოდა, არ
გაქვს, ბაბუ, ცუდად ყოფნის დრო!
- კაი, ბაბუ, კაი... ჩამოზნელებდა მალე, წავედი ახლა.
წავედი და კვირას აქ ვარ, ბაბუ.

- არ დაივინყო, რაც გითხარი, ბაბუ.
- აბა! მშვიდობის გზა მოგცეს ღმერთმა.
- კარგი, ბაბუ, კარგი...
- მშვიდობით დამხვდი, შენ არაფერზე იწერვიულო. გამი-
არა უკვე. ყველაფერი კარგად იქნება...
- ყველაფერი კარგად იქნება!
- გენაცვალოს ბაბუ.

08.10.23 წ.

5

ბრძენი კაცია ბაბუაჩემი!

- ბაბუუუ!
- მოვედი, ბაბუუუ...
- მოხვედი, ბაბუ?
- მოდი, შვილო, მოდი.
- შენ გენაცვალოს ბაბუ მუხლებში!
- როგორ მომანატრე თავი. სად დამეკარგე, ბაბუ!
- მოდი სახლში შევიდეთ, სუსხია მაინც, არ გავცივდეთ.
- ცოტახანს ეზოში ვიყოთ, ბაბუ, სუფთა ჰაერი ჩავის-
უნთქო, ქალაქში დამძიმებულია ჰაერი, აქ მაინც გავიწმინ-
დო ფილტვები.
- კარგი, შვილო, მაშინ ეგ მოსასხამი მომანოდე, კარ-
ებთან რომ კიდია, მუხლებზე შემოვიხვევ.
- აბა, მომიყევი რა ხდება ბარში, ბაბუ!
- არაფერი, ბაბუ, ყველაფერი ძველებურადაა, ჯერ არ
ჩამქრალა ციებ-ცხელება და დიდხანი გაგრძელდება,
ვგრძნობ.
- ეხ, ბაბუ! ყოველთვის იყო თაობათა შორის ომი, მაგრამ
ახლა ძალიან მაშინებს ეს მდგომარეობა. სამოქალაქო

ომის სუნი მცემს, ეს უნდათ გარე მტრებს და მის წისქვილზე ვასხამთ წყალს. არადა, კი ვიცით, რაც მოგვიტანა სამოქალაქო ომმა და ღმერთმა არ ქნას... ველარ გაუძლებს საქართველო, ჩაგვაკვდება ხელებში ეს ნალოლიავებელი დამოუკიდებლობა...

- ასეა, ბაბუ, ასე და მეც მაგის მეშინია. სტუდენტი ვიყავი და კარგად მახსოვს ყველაფერი, ჩამონგრეული, გადამწვარი თბილისი და ბრმა ტყვიას შეწირული, რამდენი უდანაშაულო ახალგაზრდა...

მაინც იმის იმედი მაქვს, ბაბუ, რომ „სამართალი პურს შეჭამს“. აუცილებლად გამოაშკარავდება ტყუილ-მართალი. ჯერ კი ისეა აზელილი ყველაფერი, რომ მართლა დავიბენი. კი იცი, სასწაულად მეჯავრება პოლიტიკა და აპოლიტიკური ვარ. მით უმეტეს, ისეთი სამსახური მაქვს, არ შეიძლება განწყობები მქონდეს, ხან პოზიციის ოჯახში მიწევს მისვლა და ხან ოპოზიციის, მე გულით უნდა ვემსახურო და არა განწყობებით. ამიტომ საღი აზროვნება მჭირდება და არა ემოციური. სასტიკად რომ ვგმობ ძალადობას, კი იცი შენც, ბაბუ, ყველა გალახული ახალგაზრდა მტკივა, ყველა პატიმარი, ისინი ხომ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულები დგანან იქ, სადაც დგანან და როგორ გგონია, მე თუ იქ არ ვდგავარ, ნაკლებად მიყვარს ჩემი სამშობლო?

- ვიცი, შვილო, ვიცი, განა დამავიწყდა აპრილის მოვლენების დროს როგორ გვეპარებოდი სახლიდან და როგორ გვანერვიულებდი...

- ხო, ბაბუ! მაშინ ზუსტად ვიცოდი, რაც გვინდოდა და ახლა ჯერ ბნელა ჩემთვის, რაც მეტს ვფიქრობ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ გრანტიჭამია პოლიტიკოსებმა გადარია ახალგაზრდები. ათასი საშინელებით მოძღვრავენ, ოღონდ ახალი არჩევნები ჩაატარონ და გინდაც წააგონ, კიდევ მილიონებს მიითვისებენ. ხომ ნახე, არ შევალთ პარლამენ-

ტშოი და მერე, მილიონებს დახარბებულები, ერთმანეთს ასწრებდნენ შესვლას. დავიბენი, ბაბუ, დავიბენი...

- ეხ, შვილო, ნაგავი ყველგან ნაგავია და ოქრო, ყველგან ოქროა. ნაგავში ოქრო რომ ჩააგდო, ადრე თუ გვიან მაინც გამოანათებს და ოქროშიც არ დაიმალება ნაგავი, მაინც აყროლდება.

ასე რომ, დიდხანს ვერცერთი მხარე ვერ დამალავს და ვერ მიაფუჩიჩებს თავის განზრახვას, ადრე თუ გვიან თავს გაამჟღავნებენ მაინც.

- კი ვიცი ეგ, ბაბუ, მაგრამ ძალიან გვიან არ იყოს მერე. ისედაც ორადაა გახლეჩილი ერი, ორად კი არა, სამად. მესამეებს, ვისაც მშვიდობა გვინდა, „შუისტებს“ გვეძახიან და შეტევაზე გადმოდიან, (რატომ დუმხართ, თქვენ უფრო საშიშები ხართო). ამ მოცემულობაში ძნელია ცხოვრება. ბულინგია, აბა, რა არის ეს და რომ ჰკითხო მათ, ბულინგი დასჯადი უნდა იყოსო! მარტო ცალმხრივი სამართალის არ მწამს.

ერთი ვიდეო ვნახე, 17-18 წლის ბიჭმა ექვთიმე თაყაიშვილის ძეგლს მიაშარდა პირდაპირ. სისხლი გამეყინა. ასეთი ახალგაზრდები, იმ გულანთებულ ახალგაზრდებსაც უფუჭებენ სახელს.

აგერ 32-წელი გავიდა, ბაბუ, და ზოგმა ბოდიში მოუხადა ზვიად გამსახურდიას სულს, ზოგი მაინც იმ აზრზეა და სიმართლეს ჯერ კიდევ ვერ აეხადა ფარდა. წარმოგიდგენია, დღევანდელ მდგომარეობას რომ 32-წელი დასჭირდეს, ჩათვალე ველარ მოითქვამს სულს საქართველო.

- რა გითხრა, ბაბუ, მე კი ველარ მოვესწრები მაგას, მაგრამ...

- ეჰ, მგონი, ვერც მე მოვესწრები, ბაბუ, მაგრამ მართლაც მაგრამ, ჩვენი თუ უჩვენოდ, ოღონდ დამშვიდდებოდეს და გაბრწყინდებოდეს საქართველო და ჩემი ჯავრი არ მაქვს.

- ეჰ, ბაბუ, რუსები იყვნენ და საქართველო უქართ-ველოდ უნდოდათ. ახლა ევროპა და ამერიკაა და მათაც ტერიტორია ხიბლავთ, თორემ ჩვენი ჯვარი სულ არ აქვთ. პირიქით, მოსწონთ კიდევ ასეთი არეულობა, ხომ გაგიგია, „მღვრიე წყალში, თევზი მეტიაო“. ასეა, ბაბუ!

მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ბრძენი ხალხი ვართ ქართ-ველები და გამოუხსნორებელ შეცდომას არ დავუშვებთ.

- შენ პირს შაქარი, ბაბუ! უფალმა კეთილი ყურით გის-მინოს!

- რაის შაქარი, შვილო, ეგლა მაკლდა ამ სიბერეში!

- გენაცვალე, ბაბუ, ეგ როდის ვიგულისხმე, ჯვარი გწერია.

- ვიცი, შვილო, ვიცი, გენაცვალოს ბაბუ, ცოტა ვიხუმ-როთ თორემ, გასკდა გული!

- კაი, ბაბუ, კაი... ჩამოზნეღდება მალე, ნავედი ახლა, დროა უკვე.

- კარგი, ბაბუ, აღარ შეგაყოვნებ, არ მოყინოს მერე და არ გაგიჭირდეს გზაში, დროულად წადი. მშვიდობის გზა მოგცეს ღმერთმა!

- არ იდარდო, ბაბუ, ნელა ვივლი. ისე, ამ ზამთარს მაინც რომ წამომყოლოდი ქალაქში, კარგი იქნებოდა. მეც მშვი-დად ვიქნებოდი.

- წადი, ბაბუ, წადი, მე აქ მირჩევნია, ჩემთვის, მყუდროდ, ლუმელთან. შეშა კი მაქვს, მეყოფა მთელი ზამთარი. ყვე-ლაფერი კარგად იქნება, გენაცვალოს ბაბუ!

- ნახვამდის, ბაბუ, მშვიდობით დამხვდი. ყველაფერი კარ-გად იქნება, მჯერა, უფალი არ განირავს, საქართველოს!

08.01.25 წ.

307070

აპონია

*(ედღენება, ივანე მაჩაბელის ხსოვნას, რომელმაც
დიდებულად თარგმნა და აამეტყველა
შექსპირის ტრაგედიის გმირები.
მძიმე სენით დასნეულებული, 1898 წლის 26 ივნისს 44
წლის ასაკში უგზო-უკვლოდ დაიკარგა).
ნერუ*

*პაექრობა თანატოსთან... *
- „ჯერ შეიცადე, მათქმევინე ორიოდ სიტყვა“!
(უ.შექსპირი)*

1

ვით შევიცადო, ცხოვრებისგან ესე დაღლილი,
სჯობს რომ ღიღინით მივატოვო ამა სოფელი,
აქ დამრჩენია სამყოფელი უკვე აღარა,
ყოფნა, არყოფნის მოლოდინმა უკვე დამღალა.
ღალას ვიხდიდი არ მითვლიდნენ მაინც ალაღად,
ამად ამო გადაღლაა ყოფა ფარღალა,
ვაი, მეფობა სდომებია ყველას ცალსახად,
დედოფლობა კი უზენაეს სიძვა გამხდარა.
ბევრიც ეცადა აწყვეტილი ღილის დამალვას,
საღამურიდან ნაღამური დღემ ვერ დამალა.
ვერ ეკიდება ვით მაისის მთვარეზე სათლი,
ვერც ფოლაქებად გამოდგება მორგება სალტის.
ცხოვრება ყველას ნუთიერად წამებში გათვლის
და როს პინაზე გადინონის მრუდე გზას გავლილს,
ავი ზრახვებით არწყულ სურას პირამდე ავსილს,
დამძიმებული პინი პირქვე თუ გადინონის,
ნუგემის ცემას ნულარ ელის კაცი გამართობი,

სხვისი ცხოვრებით მოთამაშე სხვისი გამზომი,
თავად გახდება მოსაკითხი ცოდვის საზომის,
ვერა უშველის, წინ დახვდება ყველა საზომით.
ასეთი მძიმე, დედამიწის მიწის სამყოფისს,
წასვლა სჯობია, აქ ყოფნითაც სუნთქვა არ მყოფნის!
- და კიდევ მეტყვი?
შევიცადო,
ორად გაყოფილს!

2

ოდეს ცხოვრება ჩემთვის იყო ასე ძვირფასი,
კაცობრიობა მიყურებდა ირიბ ამფასით,
ტყუილს და მართალს შერჩენოდა ერთგვარი ფასი,
მქუხარე ტაშით, შერაცხული სდუმდა დარბაზი.
ეკლის გვირგვინი მეც დამადგა მხდალთა ამაღამ,
ნარეკლიანი ჯავრი გულმა წვეთ-წვეთ დაცალა,
საფეთქლებიდან სისხლის დენა თმამ ვერ დამალა,
ბლანტე სისხლს ისე ეხვეოდნენ ჯვრაც თაკარას,
ვით ხარ-ირემი ენაფება წყარო ანკარას,
არ ვკანკალებდი, ვდონორობდი უფრო ალაღად.
რა არ მინახავს, გაგონილი უფრო მაქვს რა არ...
ბედის განგებამ ხან უმთვარო ღამით მატარა,
ციებ-ცხელებაც კი შემყრია მძიმე მატატა,
ღმერთს ვეძებდი და შემხვედრია გზაზე სატანა,
მძიმე ხვედრია დაცლილ სულით ტანის გატანა,
მაგრამ არასდროს დამიცვლია სხვისი მათარა.
მათ კი როგორაც დამინახეს არ მყავდა სწორი,
ზურგს უკან უხვად ამიგორეს, ავი და ჭორი.
რადგან სიმართლეს ვერ აუხვევ პირსა და თვალებს,
რადგან სიცრუე სიმართლითვე გადიხდის ვალებს

და რადგან ბრმათა ტყვეობასა ბევრი განუდგა,
რადგან სიმართლე სიცრუესა ფარად აღუდგა,
რადგან ბნელეთშიც კი შეაღწევს ზოგჯერ ნათელი,
იქ თვალნათელი ჩემი წილი ენთო სანთელი.
როს შემოვისხი სასურველი სხვისთვის მანტია,
როს დაინახეს ბედმა ვერას რომ ვერ მათრია,
უღელტეხილის ქარტეხილი ტეხვით გავიარ,
რომ დაინახეს იანვარიც ჩემთვის მარტია,
ყველას მოუწდა ეთქვა, - მე ვარ შენი გადია.
- და კიდევ მეტყვი?
შევიცადო,
- რომ არ მწადია?!

3

როს შეწირული ვიყუჩებდი დაუმძრახებლად,
როს გაჭირვება უთქმელობით თვალეზს ახელდა,
გაბადრულ სახეს როს ელამი თვალი ამხელდა,
როს მუშტრის თვალით ეს ცხოვრება ამხედ-დამხედდა,
მაშინ მტოვებდა ყველა სული, ყველა ამხედრდა,
ყველა ყვავილი მაშინ გახმა, მაშინ გახევდა.
როს წყალი ვუსხი, როს ვაცოცხლე, ნახეს, აღზევდა,
მაშინ პირშავმან მოისევდა, გულს ეცათ ელდა,
ახლა ეგ სევდა მომისევდა, გულს რომ მისერდა,
შემომაბერდა ძვალში, რბილში სევდის მესერად,
წუთისოფელი გადამექცა უკვე მერე რად...
- და კიდევ მეტყვი?
შევიცადო,
მცირე მაქვს ხედვა?!

4

მაშ გავაგრძელებ, მოსაყოლი კიდეც მაქვს სევდა,
 ოლონდ იცოდე, არ გაცხარდე, არ გეცეს ელდა.
 ბევრი ვიხილე ნაცნობთაც და უცხოთაც გვემა,
 განკვეთილთა და გაკვეთილთა გდება, ეგე მანდ,
 შტერი არა ვარ გაკვეთილად რომ არ მეგემა...
 როს მომაკვდავი სარეცელზე სულს ლევდა ევა,
 როს წყალს ითხოვდა, უყურებდა მწყურვალი ყველას,
 არ ეტყობოდათ სინანული და არცა ღელვა.
 როს მოვისმინე, არ სმენილი სჯობდა შემყროდა,
 - მიწას ამძიმებს, სამძიმარსაც ვინ გვეტყვის ენად?
 - რაც რომ იცხოვრა ეყოფაო, დამეცა ელდა...
 ვინ დაელოდა გაციებას, ინყეს გაყოფა,
 ნამყოზისა და სამყოფელის ყოფნა-არყოფნა,
 - ვის ეყოფაო, თუ სანამლო გაგვიხდა ქონა?!
 ქონად კი არა, უქონლობის შეგვრჩევა ზონა.
 წამალს კი არა, წყალს ითხოვდა მარტოდენ ევა
 და სული მისი სევდასა და დარდს ვერ იტევდა,
 მთრთოლვარე თითებს ფალაგ-ფალანგ ფშვნეტი
 იმტვრევდა.
 და-ძმამ კი არა, შვილმაც ზურგი აქცია დედას.
 თვალ-ბაგით მაინც ანიშნებდა, წამსვლელი ზეცად,
 დამილოცეო, აქ მყოფელი გაჭრილი ველად,
 წამსვლელს კი არა, დამრჩენს უნდა აქ მიწად შველა.
 სულის ამოსვლით მტრობა მტერსაც კი მიუტევა.
 ამდენი შური გულ-ტყავ-კანში აღარ ეტევა.
 - და კიდევ მეტყვი,
 შევიცადო,
 არა და ვერა!
 გონი მერევა...

5

გონარეულსა კიდევ შემრჩა ცოტა გონება
და არ ვაპირებ აქ სარეცელზე გავატარო ესე ცხოვრება,
თეთრ ბურთულეებში მივაფლანგო შვილთა ქონება.
სჯობს სარეცელზე გატარებულს დროს არეული,
რომ სიმშვიდეში, სამუდამო მენვიოს რული...
არც არასოდეს არ ვყოფილვარ ტვირთი სათრევი,
მიწის ზედა და ცისქვეშეთსა ღამეს ვათევდი,
ახლა უძღურსა სანამ ძალმიძს მსურს დასვენება,
მსურს მოვასვენო ეს ვნებული გული ნელ-ნელა.
აჰა, თენდება, ირიჟრაჟა, ბნელს ხსნა ედება,
აღარ ვუპირებ თეთრ კედლებში სულს შეყოვნებას.
ცხრა ათეული წელიწადი უკვე შემყრია,
სიბერის ჟამი დამდგომია წლები ავყია,
ესეც ვიხილე, ბედმა რკინის საწოლს მამთხვია
და სანამ ახლა საწოლ-საწოლ სენმა მათრია,
ვისთვის სიცოცხლე, ჩემთვის კვდომა ახლა მადლია,
იქ დედა მიცდის, მე აქ ყოფნა არას მარგია...
სანამ აქ ყოფნის კელაპტარი მადლით ანთია,
მოდის, თანატოს, და შენ გახდი ჩემი ნათლია!

04.05.24 წ.

ნერუ

შენი გულის ქახილით ვივლი... (მამას)

1

მეზმანა წვიმა, ქარბორბალა, ზღვა, ავტობანი...
მამა იბრძოდა, არ მიშვებდა ხის კიდობანზე,
დახეთქილ ნაპრალს პირი ჰქონდა ღია, უკბილო...
მე მივცურავდი, მაგრამ ნავი იყო უძირო...
კლდეს მახეთქებდნენ ზღვის ტალღები ატორტმანებით
და ავტობანზე განუწული ძალის წკნაოდა...
განთიადისას, ეზოს კატა კნაოდა კარზე,
გამომაფხიზლა, როგორც იქნა მძიმე სიზმრიდან...
წვიმდა და ქარი ხომუკაკალას ჰყრიდა პინაზე,
ძალის წკნავილით თათს უსვამდა სევდით მინაზე...
და თენდებოდა სევდიანი სიზმრის ჯვინაზე.

2

მეორე დილით კიდობანი იდო ხის ნარზე...
ზღვა იყო ხალხი, კიდობანი მამის სასახლე
და გახეთქილი კლდის ნაპრალი გული მამისა,
მეც მიხეთქავდა ყველა რბილობს, ხილვა ამისა.
ნათხოვარივით დიდი იყო ექვსი დღე-ღამე
და უფრო დიდი ცივი კაცი ნარზე მწოლარე...
რა უნდა მეთქვა სიკვდილისთვის, მცოდნოდა რამე?
რომ ხვალ დილისთვის არ მენახა მიხაკი გზაზე,
ბევრი ვიარე, ოცნებების მთა მოვიარე,
მაგრამ გზა გვერდის ასავლელი ვერ გამოვნახე,
რომ დედაჩემი არ მენახა ქვრივმგლოვიარე...

3

და როცა მამა გავაცილე ბოლოს სახლიდან,
ვნახე მიხაკიც, ვნახე წვიმაც, გაჭრილი მიწაც,
ნავსაყუდელი დამეკარგა
ქვესკნელის პირთან,
ვიდექ, უსულო ძირგამოცლილ მიწის ნაპირთან,
დაცარიელდა გულ-თვალ-სახლი, დავრჩი ურვასთან,
ზამთარში, როგორც
მერცხლის ბუდე
ხის სახურავთან...
გაზაფხულობით აივსება ისევ ჭიკჭიკით,
მიტოვებული ბუდეც, ეზოც, თვალს გადავავლებ,
მაგრამ ისეთი გაზაფხული არ მეგულება,
სახლში შევიდე, მამა ისევ
რწყავდეს ყვავილებს,
ან რვა საათზე უყურებდეს ღამის მოამბეს,
ან ჩაძინებულს შეგვაველებდეს თვალს ისევ შვილებს,
ან კითხულობდეს უკვე ასჯერ წაკითხულ წიგნებს...
ან მკითხულობდეს, როგორა ხარ? მოდი, მიამბე!

4

დედა კარებზე აჭედებდა
ცხენის ტერფის ნალს,
მე კი ქურდულად გავხედავდი ბედთან მორკინალს...
ეჰ, როდის იყო ჭირს იცავდა ჭედვა ნალისა,
ეს უფრო ჰგავდა სიმწუხარეს ქვრივი ქალისას.
ბებო არასდროს გადანმენდდა ხელით მაგიდას,
დღემდე ვერ ვხვდები, რას ელოდა, მართლა სჯეროდა?
ხო, როგორც ვხედავ, სიდუხჭირეს არც ეს შველოდა,
გახვრეტილ ჯიბეს შაურიანიც არა შვენოდა.

დამწვარ ხინინებს გაგვირჩევდა ბებო ერბოდან,
ობი და ერბო დედის პურზე მეამებოდა
და მაჯერებდნენ, თუ შევჭამდი ყუას ობიანს,
კარგი ცხოვრება მომელოდა ობოლს ბოლოს და
მე ვერ ვიპოვე ვერც კონკია, ვერც წითელქუდა,
ბედს რომ ჭედავდნენ, ალბათ, რკინის ქუდი მეხურა...

5

არ ვიცი, კიდევ როგორა ვთქვა ჩემი სათქმელი,
უკვე გითხარით, არ მქონია ყოფა ადვილი...
მინურ ბილიკებს არ ჰქონია მწვანე საფარი,
ჩემ მოვლენასაც არ ჰქონია თავშესაფარი...
გული დამუწვდა, აღარ ჰქონდა გრძნობის უნარი
და მიიწურა ოცნებები, ვით უჩინარი...
ურჩი ბილიკით მოვიპოვე ჩემი საგზალი.
ჩემი ცხოვრება არ ყოფილა სტუმრის ლანგარი,
მაგრამ არასდროს დავმალულვარ ურვის სანგარში.
გზად ახლაც მზარავს
ძაღლის ყეფა, კატის კნავილი,
მაგრამ არასდროს შემპარვია შიშის განგაში
და სანამ მოვა დასასრული, გზა უსასრული,
მარადისობის საფეხურებს სანამ დავითვლი,
ურჩ ბილიკებზე შენი გულის ძახილით ვივლი...

08.04.246.

დედის ხსოვნას

I ტაპი

ბებულის და დეიდის ხსოვნას

ამ ამბავში ფქვილიც, ქატოც,
ორივენი ოხრად დარჩა,
მოგონებებს იხვევს ფიქრი,
მაჯაც მისთვის გაისარჯა.
ომის მძიმე წლები იდგა,
სვანეთის მთებსაც უჭირდა.
ახალი წლის მოლოდინში,
დეკემბერს ცა აუჭირხლდა.
მოდიოდა ქალი ბავშვით,
წისკვილიდან მოდიოდა.
ცივ ზამთარში გაყინული,
თბილი გული მოსდიოდა!..
ქორთე ჩქარობს, შვილი ელის,
მიიტანოს ფქვილი მალე.
ხორბლის ფქვილი აქ ვინ მისცათ,
სიმინდი აქვს სავალალე.
მჭადით, ღომით, ჭვიშტარებით,
ზამთარი რომ გაიტანონ.
სიცივე და უგზოობა,
მგზნებარებით აიტანონ.
აქ ზამთარი მკაცრი იცის,
აქ ზამთარი არვის ინდობს.
ნალექია იმხელა, რომ
მხედარსაც კი თოვლში იფლობს.
ნამქერსა ჰყრის ქარი მთიდან,
საკვამურის მიღებიდან,

ცა ბინდისფრად იღებება.
ბაბუები აკვანს
თლიან,
ბებები სართავს
ქნიან,
ცისკრის სისხამს იბევენ,
ხვალის საზრდოს
დღესა ჰქმნიან.
მოდოდო ქალი ტომრით,
ბავშვთან ერთად
მოდოდო,
ქორთე ელის თოთო ბავშვი,
თვალზე ცრემლი მოსდოდო...
ჩაიარეს მჟავე წყლები,
სავალი გზა მცირდებოდა,
ახარხარდა ქარბორბალა,
უჭირთ ქარში გზის გაკვალვა.
დატრიალდა ცოდვის გორა...
დათვის ბუნაგში ტკბილად სძინავს,
ტყიდან ისმის, კივის ტურა.
თვალს ნამქერი უგლისავთ და
ნამწამები მიეყინათ,
კლდიდან ჯიხვები სტირიან,
დასტყდომიათ თავზე ურვა.
იქუხა და ცამ იგრგვინა,
დაბარდნილ მთას ზვავი მოსწყდა
და დედის გულს ბოლო გმინვა!
გათოშილი ორი გული
ზვავმა მიწას ჩააყოლა...
შენყდა ორის სიცოცხლე და
მესამე კი დააოზლა.

II ტაჰი დაკარგული კვალი

მწუხრი წვებოდა, არ ჩანდა ქალი,
იფერფლებოდა დამცხრალი ალი.
დაღონდა ქმარი, ხამს ხეიბარი,
ერთ დროს მებრძოლი და მეომარი.
ნადირობაში მიზანგანთქმული,
რაც უთქვამთ მთაში, ცალყბად ართქმულა,
მთიდან ირემი ბეჭით მოჰქონდა,
სიჩაუქითაც თავი მოჰქონდა!
ვერსაით წავა, შეძრა სოფელი,
ყოველი ღრე და ღობე ყოველი.
ეძებეს თურმე, დიდხანს ეძებეს,
არ დაუზოგავთ ჯანი მეზობლებს,
მაგრამ ვერაფრით იპოვეს კვალი.
იმ ადგილს, სადაც ჩამოწვა ზვავი,
მათ ჩირაღდნები უნთიათ ღამით,
არა ტოვებენ არცერთი წამით.
ტყეში დაძრწიან მშიერი მგლები,
სისხლის მწყურვალნი, დაგეშილები,
აქ საშიშია, რომ არ აიღოს ნადირმა კვალი.
ეძებეს მანამ, ჩათვლემილ ბაბუს
ბებო ეზმანა, გამოცხადებით;
ნუ გვეძებთ, თაი, ნუ გვეძებთ, თაი...
უფრო გვმარხავთ და უფრო გმორდებით...
გვიპოვით მაშინ, ენძელა რომ გააპოვს ყინულს,
როცა მზის სხივი ძალას მოიკრებს
და მთის კალთები აქვითინდება,
როცა ნაკრულა წყალჭარმაგდება,

თავისით როცა გადნება თოვლი.
დღე დღეს მისდევდა, დაისი დაისს,
გაყინულ წყლებსაც დაეტყო ბზარი.
დეკემბრის ბოლოს გარდაცვლილები,
მარტის მიწურულს ცხონდა ცხედრები.
ბუნებას თავის კანონები აქვს,
ჩვენ ვერას შევცვლით.
სტიქიის მიმართ
ეჰ...
უძლურია ყველა სულდგმული.

III ტაჲი ბაბუს ხსოვნას

მზე ჩაესვენა ბათაშერებში,
ცეცხლი ჩაუქრათ ქვაჩაშერებში.
დაურჩა ბაბუს შვილი ობოლი,
დაისადგურა სევდამ თვალეებში.
დარბის პატარა...
- დედა სად არი?
დედა სად არის?
დედეშ! დედეშ!
დარბის ფეხშველი.
გოდებაში და მწარე მოთქმაში
ბაბუმ ცალუდლად განლია წელი.
წლის თავზე ბაბუც დარდმა იწირა,
სულ მთლად დაობლდა,
ისეც ობოლი.
- სოფელი მაინც დიდი მადლია,
მაგრამ სოფელსაც რა აბადია...

ზოგი რძეს აწვდის,
ზოგი მჭადს და ყველს.
ასე ორმოცჯერ ჩავიდა მთვარე.
ორმოცი მწარე დღე ობლისათვის.

IV ტაპი

გამგზრდელი გიძის და გიცოლას ხსოვნას

ორმოცზე, თურმე, ქალაქიდან ეწვია ბიცო.
ბავშვმა ვერ იცნო, რა თქმა უნდა, ქალი არ ეცნო...
ქალი რა ქალი, კალმით ნახატი.
ღმერთს სილამაზე არ უკმარია,
სიკეთეც მისთვის დაუნათლია.
როს დაუნახავს ბავშვი ფეხშველი,
დაუვარცხნელი, აბურდულ თმებით,
ვედროს მოათრევს წყაროდან ჩოჩვით,
შემოეყარა გულზე ნალველი.
გულში ჩაიკრა ობოლი გოგო,
ჩამოუვარცხნა ლამაზი თმები.
არ მიატოვა სვანეთის მთებში,
წამოიყვანა ქალაქის მტვერში.
უთქვამს, მე ორი ვაჟიშვილი მყავს,
ეს გოგოც ჩემი მესამე შვილი.
(დედა ოთხი წლის თუ იქნებოდა)
ზარდა შვილივით.
არ მოუკლია სწავლა, „დაჩები“.
რაც შვილებისთვის გაიღო წრფელად,
არც ობლისათვის უშურებია.
არ უნანია არცერთი წამი,
მადლი სიკეთით უბრუნებია.
თავადაც დიდი მორწმუნე ქალი,
დედისთვის რწმენა ჩაუნერგია.

12.12.2012 წ.

V თავი დედის და მამის ხსოვნას

ოცდაოთხ ზამთარს გადაუვლია,
ოცდამეხუთე გაზაფხულია,
იასამნები ჰყვავის
ქუჩებში,
მზე ძალას იკრებს,
სიცივე იკლებს,
როგორ უხდება გააპრილება
თბილისის ქუჩებს,
სიცოცხლე კვლავ სჩქევს.
- დედასაც გაუხარია,
კარგი სვე-ბედი სწვევია,
გულმა დაიწყო
ფრიალი,
თავი პეპელად უგრძნია.
მამა ყოფილა ვაჟკაცი,
წარმოსადეგი ქართველი.
გაიკითხ-გამოიკითხეს,
როგორც ძველადა ხდებოდა.
წუნი რომ ვერა დაუდეს,
თანხმობა მისცა გამზრდელმა.
დანიშნეს, წამოიყვანეს,
მზითები არ დაუკლიათ.
მაყარიც დიდი ჰყოლიათ,
ჯვრისწერა მცხეთას ჰქონიათ.
ღმერთმა ინება, აჩუქათ
ორი ვაჟი და გოგონა.
სიამ-ტკბობაში განლიეს
ცხრამეტი წელი უკლებლივ.

დედაც და მამაც შემორჩა
მეხსიერებას კეთილი.
ბევრი ობოლი დაზარდეს,
ბევრს გაუკვალეს გზა-კვალი.
მეოცე გაზაფხულია,
აღდგომის წინა დღეები,
მთვარე ალვებზე წვებოდა,
ეზოში ძაღლი აყმუვლდა,
მამიკოს გულმა უმტყუნა, გამთენიისას გაჩერდა.
კედლის საათიც შეჩერდა, სარკეს ჩააცვეს ზეწრები,
მოდინ-მიდინ ძაძვებით,
მიხაკებით და თაღხებით.
მე ჯერ ვერაფერს ვერ ვხვდები,
რატომ წავიდა მარილზე,
ლამეა, რატომ არ ვწვებით?...
სანთელს ხატებთან კი ვხვდები,
მაგრამ ცხვრის თავზე?
ვერ ვხვდები...
მეც ხომ მაგზავნით მარილზე,
ხომ მივდივარ და ვბრუნდები...
- თუმცა ისევე სცვლის დღე-ღამეს,
ისევ მოფრინდნენ მერცხლები,
ჩემთვის ცხოვრება აღარ სჩქეფს,
დაკარგა ლალი ფერები.
წელი წელს მისდევს, ვიზრდები,
მიიზღაზნება ობლურად ჩემი ბავშვობის დღეები.
დედამ სამ-სამი ობოლი, დიდი წვალებით დაგვზარდა,
არ გაიხადა შავები, მამა არ გადაგვაწინა.
დღისით მამობას გვიწევდა, ღამით წავასწარ, ტიროდა.
ასე ობლობით ნაზარდი, ქრისტეს ასაკში შესული,
„ნანი-ნანატრი ნანინა“, ბედმა ვაჟკაციც წაართვა.

თითქოს, ცოტა რომ ინათა, თითქოს, ცოტა რომ გამოთბა,
ცად გაუფრინდა ერთ წელში, სიყრმის შვილი და ყრმის შვილი,
ორივე ქმარს ჩააბარა.

იმ დღიდან დედის სახეზე, ღიმილი აღარ მინახავს.
მუხლჩაუხრელი შრომაში, შვილი მეც გამაზრდევინა.

(დედა კი არა,

რკინა იყო გამობრძმედილი,

ქალი კი არა, ვაზი იყო,

ყლორტებშეჭრილი),

ჟამი ნისლს ახვევდა დედას, დედა ნისლს არ ეპუება.

არ დასცდენია ღვთის სამდურავი,

სიბერის კართან იდგა მდუმარი,

კაცი არ ჰყავდა უმძრახი ან მომდურავი.

ველარ გაუძლო ვაი-ჟამს, დედასაც გულმა უმტყუნა.

ახლა კი უკვე დიდი ვარ,

ვიცი, რა არის მარილი...

- სანამ დედა მყავდა მხარში, ზამთარიც გაზაფხულობდა,

ათი წელია მას შემდეგ,

რაც გაზაფხული დაზამთრდა.

- თქვენს ხსოვნას გულით ვატარებ,

საფლავს არ ავაჯეჯილებ,

სანამ თქვენამდე არ მოვალ,

სანამ სული არ დამტოვებს!

P.S.

დედა იტყოდა თვის ბედზე:

„ობლის კვერი ცხვაო და ველარ გამოცხვაო“.

12.12.2022 წ.

ხო, მე ვარ, მკვლელი...

1

აქ ცოცხლებიც მკვდრად დადიან,
დარდიანად დუმდებიან,
ყრუვდებიან მკვდარი სულნი,
ილენება სასულეთი...

გატეხილი არ მთელდება არც გული და არც წარსული.
არც მისნობის არა მჯერა, არც ჯოხების ჯადოსნურის...
მე ოცნება არ მჩვევია, ბავშვობიდან ღრმად დავმარხე,
სამძიმარსაც კი არ ველი.

ხო, ვარ მკვლელი,
მაგრამ მხსნელი უშურველი,
იმ დაჩეხილ შეშასავით, ბუხარი რომ აგიზგიზა,
ის ფურცელი

ჯვარედინად წყობილ შეშას გიზგიზში რომ მიეშველა,
ორპირ ქარს რომ გაატანა ზოლიანი რვეულიდან
მოხეული სია ვრცელი.

ასე გავხდი მკვლელი,
მაგრამ სასულეთის სულის მცველი...
ვერ გავუძლებ ნგრევასა და სულის რღვევას...
განა ქვა ვარ?

განყვეტილი ძაფსართიდან იმ ძაფს ვგავარ,
ბოლო წვერი რომ მოელის გადაბმას და გადაკვანძვას,
მაგრამ უკვე დაცლილია თითისტარი
და ვმთავრდები, ვით დღე მთვარით...

არც ცხვარი და აღარც მატყლი,
არც ძაფი მაქვს დასართავი.
ამიტომაც თავშივე ვთქვი,

მირჩევნია, ვიყო მკვლელი,
ვიდრე სიკვდილმისჯილი
და „სიკვდილით
დავაპარცხო კვლავ სიკვდილი“...

2

...და, რა თქმა უნდა, არც მიომია,
არც მიფიქრია, რომ მემტვრია ურდო
ცნობების,
ნუ დაღონდებით!
ომსა ჯობია,
„დე, იყოს ნება“...
ყველა ოცნება, რაც დავმარხე,
ქუდად მახურავს
და ვარ მსახური,
ხურო სამარხის....
მესაფლავე ვარ ოცნებების,
ნუ გაოცდებით!
უსახურ მარხილს გადავაგორებ
ან თავისითაც გადაგორდება,
ოცნებები კი, დამარხული, არ დაბერდება!
არ დაბადებულთ „ანაბოლურის“ პოროზია ვის გაუგია?!
აუგი არ თქვათ,
ზოგს ნგრევით აუგია,
ზოგს ხორცი უგემია,
ზოგს სული უგვემია...

3

ნოემბერია!

ქარებია!

თოვლი „სოველი“!

მე კი დეკემბრის ჩვიდმეტს მოველი...

თუმც, რას მოველი, აკი იყო უკვე მრავალი

და ჩამიქროლა სწრაფმავალი ორთქმავალივით...

ცას ავხედავდი,

მიხაროდა, სავსე მთვარეა,

რაც მთავარია, დამარხულთა არ მადევს ვალი!

მთვრალი არა ვარ,

დიონისეს სულ რაღაცა

წვეთი გადამცდა...

რადგან არა მსურს, რომ შევიქმნა ბნელის მძევალი

და მერე დიდხანს არ მიწიოს დაცდა

მზეკარის...

4

ხან ქარები ჩამიქროლებს, ხან წვიმები

მოვარდნილი...

ვინც ვერ გაუგო ქარებს ნუხილი

დამგმოს,

ხე დარგოს,

დამაიგნოროს,

ოღონდ ქილიკი არ გამაგონოს!

მე ხომ სიმშვიდე გამოვიგონე.

ცაა უნილბო,

ფიქრმა წამიღო,

რას მეტყვიან ბავშვობაში დამარხული

ოცნებები უილბლო,

დიდობისას რომ უსამძიმრო მიიღო ნაშთი...

- არ ვიცი,

მაშინ ბავშვი ვიყავ და ვთამაშობდი

ქალაქობანას,

გავიზარდე და შევიყვარე ქარაგმოზანა...

ასე ჯობს, მგონებ, ომოზანას,

ოცნების მკვლელი...

გაფიქრებასაც კი ვაძმარებდი,

ვით ნაკლულ ღვინოს,

ძმრიანი წინდით,

ვირუსივით სურვილებს ვკლავდი,

ვკლავდი და ვკლავდი...

მკვლელსაც და ქურდსაც,

მესაფლავესაც,

ხომ ოდესღაც ეყოლებათ მესაფლავენი?!

ვითარც ქარები დასტირიან თვის მსხვერპლს ყმუილით,

ამოიყმუვლებს მესაფლავეც მიწის გაჭრამდის...

5

თუ ჩაიძირე ოცნებებში ისე ვრცელდება,

ვით შეძახილი ალაზნისა ალაზნის ველის

ექო...

და გტანჯავს ფიქრი,

რატომ არ მერგო?!

ან თავად გკლავენ სიკვდილმისჯილნი,

მერე კი ელი,

ელი და ელი,

ვით წვიმას ელის

ხრიოკი მიწა
ელის მთიდან.
თუ ცა გველივით დაიკლაკნება,
მერე მზეს ელის დამბალი მიწა
და ეს ცხოვრებაც ფურირემივით მიიზღაზნება...

11.11.24წ.

P.S. ანაბოლური ჰორმონი* -
ორგანიზმს ზრდაში უწყობს ხელს.

ვინც წაიკითხავს და იტყვის,
„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...
მისთვის მოკლედ ვიტყვი.

1

ოცნებები დავმარხე და
სიკეთე მაინც ვერ ვნახე.

2

მესაფლავე ვარ ოცნებების,
მაინც გამრავლდნენ იუდას კოცნები.

3

ოცნება არის მეტასტაზები,
გტანჯავს აუხდენელი ფაზები.

მზე, არ გაილუვა!

1

დახურეთ დარაბა, დაჭრილ მოგონების!
გოგმანობს გონების ჭრელი ვაგონები
და მძიმედ ჭრიალებს წარსულის ბორბლები...
ღრიალებს მთებიდან დამცველი ობლების,
ვინც შვილად მიიღო ყველამ შურით ზიდა
წყალი თუ...
მინა თუ...
მარხილი ხორბლების...
ვისაც კი ვხვდებოდით დიდი „პარდონებით“
ღალატით იკერეს სამხრეზე „პაგონები“.
იყო და არც იყო...
ვერავის ვაგონებდით.
დღეს მზარავს კიდევაც ამის მოგონების,
ჭკუა თუ გიჭირს, კიდევც დაღონდები.
დაგვპირდნენ ტონობით,
გვიხადეს ცენტებით,
ისევ ჩვენ მოგვადგნენ, ვაპურეთ ჩვენც ნებით.
ასე იწყებოდა მაშინ ოცდაერთშიც,
ცხვრის ფორმა მოირგეს,
მგლებს ჰგავდნენ ერთი ერთში...
„ცხვარი ცხვარიაო“,
ხოდა, ჩვენც გავცხარდით.
სიზმრით, არა!
ცხადით!
არ გავტყდით, არ გავტყდებით!
გაყვითლებული, იმზირება ის გაზეთები...
სადაც გამრავლდა „უპატრონო სარკოფაგები“,
ჩვენ კიდევ გმირების

მონუმენტს ვაგებდით.
ომსა და მშვიდობას ვწონიდით გაგებით,
მგელს მგლურად დავხვდებით,
ისე არ წავხვდებით!

2

დახურეთ დარაბა! ჩურჩულიც მანუხებს,
ღუმილიც მანუხებს და მიჭერს მარნუხებს,
წუხელ რაც არ ითქვა, საქმემან რაც გათქვა,
რაც ჩემთვის სწორია, მაინც არ გადავთქვამ,
მესროლეთ კიდეც ქვა!
მე ვხურავ დარაბას!
ნისლია.
ხოდა, მეც დავხურე დარაბა,
არ მინდა, ომობდეს ესოდენ „მემორე“...
არ მინდა, მესმოდეს,
- ბარაბა! ბარაბა!
მე ვხურავ დარაბებს,
სანამ მზე ამოვა,
ნისლს არ შემოვუშვებ,
მხოლოდ მზე,
აბა, რა!
...და კმარა სიბნელე, სიბნელე, ავარა!
როცა მზე ამოვა გავაღებ დარაბას...
სიბნელე ილევა, მზე არ გაილევა,
სიბნელე ილევა,
სინათლე, აბა, რა!

29.12.24 წ.

მზე,

სომეხი

გვინ

ამოვიღა...

ამონაწილები სომეხიდან

ბურუსის ქალაქში

(დასაწყისი)

1810 წელს ქალაქ ბურუსში ვცხოვრობდი.

ცხრასართულიანი კორპუსის მეათე სართულზე.

ნულ სართულზე ახალგაზრდა ქვრივი გოგონა ცხოვრობდა, გოგონა 25 წლამდე თუ იქნებოდა, 3 წლის შვილთან ერთად. ბავშვიც გოგონა იყო, ლამაზი, შავი თმა წელამდე დაშვებული, ზღვის ტალღებივით.

არც სახელები ვიცი მათი და არც გვარი.

მე მხოლოდ ერთხელ მოვკარი მათ თვალი, უჩინარებივით დადიოდნენ.

დედის სრულყოფილი აღწერაც კი არ შემიძლია, რადგან ოცდახუთი წლის გოგონა ჩემი უფანჯრო სახლიდან მოხუცი ქალი მეგონა.

ბეჭებში მოხრილი, შავი თავსაბურავით, გახუნებული, კოჭებამდე შავი კაბით. ვთვლიდი, რომ ბებია და შვილიშვილი იყო.

მეზობლებისგან რაც გავიგე, მწირი ინფორმაცია იყო.

სამი წლის წინ ნულოვანი ტოლერანტობის სახელით გასროლილმა ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა მისი მეუღლე და მას მერე, ჩვენს სადარბაზოში, ნულ სართულზე დასახლდნენ.

არც წყალი ჰქონდათ, არც გაზი, არც დენი და შესაბამისად მათი სახლიდან არც სადილის სუნი გამოდიოდა არასდროს.

ორი წლის მანძილზე არავინ შეუწუხებიათ და არც არავის შეუწუხებია ისინი.

გამოვიდოდნენ დილაუთენია სახლიდან და გვიან ღამით ბრუნდებოდნენ.

ასე გაგრძელდა თითქმის ორი წელი.

ერთ დღესაც მეზობლისგან გავიგე, ერთი თვეა არ გამოჩენილანო.

ქალაქ ბურუსში ეს ისეთი სენსაცია არ იყო, ხშირად ქრებოდნენ ადამიანები. არც არავის გასჩენია აზრი, მილიციაში განცხადება დაენერა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გულში ჩამწყდა რაღაც უხილავი სიმი.

მეორე დღეს მილიციას მივაკითხე და დედა-შვილის გაუჩინარების ამბავი მოვახსენე პოლიციის უფროსს. რადგან აღმოჩნდა, რომ მე არც მათი ნათესავი ვიყავი და მით უმეტეს ცხრასართულიანი სახლის მეათე სართულზე ვცხოვრობდი, არ მქონდა განცხადების დაწერის და მოძიების უფლება. სიტყვიერად კი მომისმინა, მაგრამ ოფიციალურად ვერაფერს დამპირდა.

არც ისე ცუდი ადამიანი აღმოჩნდა მილიციის უფროსი.

ერთ კვირაში მომაკითხა და მითხრა, არა ოფიციალურად, სასხვათაშორისოდ. ერთი თვის წინ მდინარე ნისლში დედა შვილი უპოვიათ დამხრჩვალნი და რადგან ვინაობა ვერ დაადგინეს, ყორნების მთაზე, უპატრონოთა სასაფლაოზე დაუკრძალავს მთავრობას.

რადგან არანაირი ნათესაური კავშირი არ მქონდა მათთან, ვერც მიცვალებულთა იდენტიფიკაციას მოვითხოვდი და რომც ტყუილი მეთქვა და ნათესავად გამომეცხადებინა თავი, მაინც ვერ ამოვიცნობდი, ალბათ. თუმც, იქნებ პატარა გოგონა თავისი ლამაზი შავ-შავი კულულებით, ამომეცნო კიდეც.

ახლა 1824 წელია, ისე სწრაფად გავიდა 14 წელი, თითქოს ტელევიზორს ვუყურებდი და გადახვევის რეჟიმი ჩავრთე. მე ისევ ცხრასართულიანი სახლის მეათე სართულზე ვცხოვრობ, ქალაქ ბურუსში და ვფიქრობ, ნეტავ ნამდვილად ის დედა-შვილი იპოვეს თუ იქნებ, სხვა იყო, იქნებ, ცოცხლები არიან და საცხოვრებელი შეიცვალეს.

თუ ცოცხლები არიან, პატარა გოგო უკვე ჩვიდმეტი წლის იქნება და ვინ იცის ცხოვრებამ გაუღიმა კიდეც.

მოდიან და მიდიან ადამიანები ბურუსის ქალაქში, რატომღაც ყველას შავები აცვია და ყველაზე მდუმარე ადამიანებიც კი დუმილის კვალს ტოვებენ...

გადაღლილი დღის მერე ძლივს ჩამეძინა, მაგრამ აშკარად მკვდარივით მეძინა. ოხოთახიანი ბინის გაყიდვა გადაწყვიტეთ, ბეც აღებული გვაქვს და მთელი დღე ბინების სანახავად დავდიოდით მე და დედა, დარჩენილი თანხით ერთოთახიანი ბინა მოგვდიოდა მხოლოდ და იქნებ, ოროთახიანი ბინა მაინც მოგვეძებნა.

გამთენიას ცუდმა სიზმარმა გამომალვიძა შეშინებული, საღამური ისეთი სველი მქონდა თითქოს კოკისპირულ ნვიძაში მოვყევი. თვალები მოვისრისე, ჯერჯერობით ნამდვილად ისევ იმ ოთხოთახიანი ბინის საკუთარ ოთახში ვიყავი, რომელიც მალე ჩემი აღარ იქნებოდა. ნელ-ნელა აღვიდგინე სიზმარი, მივხვდი, მთელი დღის ნერვიულობის, ფსიქოლოგიური გადატვირთვის ბრალი იყო ეს სიზმარიც და დავმშვიდდი.

სამზარეულოში გავედი, ყავა მოვიდულე და სიზმრის ახსნა ვცდილობდი, რას უნდა ნიშნავდეს, ვფიქრონ: ნეტავ უბინაოდ ხომ არ დავრჩებით? მერე თავს ვიმშვიდებ, არა, უბინაოდ რატომ, ერთოთახიანი ხომ მოგვდის დარჩენილ თანხაში? მალე დედასაც გაელვიძა, სამზარეულოში შემოვიდა. რა ადრე გაგიღვიძიაო, ხომ მშვიდობააო? დედას არ ვუთხარი სიზმრის შესახებ, ზედმეტად რომ არ ენერვიულა.

- კი მშვიდობაა, ხომ უნდა წავიდეთ ბინის საძებნელად და ავდექი ადრიაანად-მეთქი.

11.11.24 წ.

დღე დასრულდა.

მთვარე ემალებოდა სამყაროს. ჩაბნელებულ ოთახში ვიჯექი, წვიმა წკაპანკუპით დადიოდა აივნის სახურავზე.

ხანდახან მგონია, რომ ირგვლივ მხოლოდ უკუნია და ველარ გათენდება.

მძიმეა დაღამებაც და გათენებაც, როცა იმედი არსაიდანაა...

ფიქრობ, გაუძლებ...? უნდა გაუძლო!

ჩემი ცხოვრება უშაქრო ყავას გავს.

ცრემლ დამშრალი ვუმზერ უმთვარო ცას და ვევედრები ჩემს მაგივრადაც იტიროს...

წვიმა არ შეწყდეს. უსასრულოდ გაგრძელდეს...

ფანჯარა გამოვალე, ნესტიანი ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე, ისე ჩავისუნთქე, თითქოს მეორე სუნთქვა გამეხსნა. მესიამოვნა წვიმის წვეთებით მობანილი სევდა. ვიგრძენი, რომ ცოცხალი ვარ და უნდა ვიბრძოლო.

ჩემს მაგივრად არავინ იბრძოლებს, რომც იბრძოლოს, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“... სიტყვით, თორემ საქმით არავინ.

საათის ისარი ოთხს გადასცდა, წვიმამ იკლო, დალღაც ვიგრძენი...

ღია სარკმელიდან ხელი გავყავი, წვიმის წვეთები დავიჭირე და სახე მოვიბანე, მაღლობა გადავუხადე წვიმას, მწუხარების ჟამს ჩემთან ყოფნისთვის, ჩემი გაგრილების, პირის მობანის და გამოფხიზლებისთვის.

პირჯვარი გადავინერე და ცივ ლოგინში: მეორე დღის გათენების, მზის ამოსვლის, ისევ გამოდარების და მრავალი გადაუჭრელის გადაჭრის იმედით ჩავწექი. გულის არეში ჩხვლეტა ვიგრძენი, თითქოს ათასნემსიანი ბალიში ერთად დამეცა გულზე...

არ ვიცი როგორი იქნება ხვალე ან იქნება თუ არა, მაგრამ ვიცი რომ უჩემოდ ან ჩემით, მზე გვიან, მაგრამ მაინც ამოვა...

მე ვიცი, რა გრძნობაა, როდესაც მიდიან და ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე გტოვებენ. რა ძნელია, გაცრუებული იმედებით ცხოვრების გაგრძელება. ვიცი, რას ნიშნავს, როცა დასაყრდენგამოცლილი ბარბაცებ, საყრდენს ეძებ, ხავსს ეჭიდები, აზრზე მოსასვლელად და წამოსადგომად. ვიცი, რას ნიშნავს სასოწარკვეთაში ჩავარდნა და გადასარჩენად დაღლამდე შრომა; როცა შენი თავის გარდა სხვის სიცოცხლეზეც ხარ პასუხისმგებელი და უნდა იბრძოლო, დანებების უფლება არ გაქვს!

ვიცი, რას ნიშნავს, სულის ტკივილებით ცხოვრება, ამ დროს გულის ტკივილს ველარ გრძნობ ადამიანი. დიდიხანი ვიცხოვრე ტყუილში და მინდა გითხრათ, რომ მათ შორის ყველაზე საშინელი თავის მოტყუბაა, ვილაცას იმედის თვალით შეჰყურებდე და ერთ დღეს სწორედ მანვე ჩამოგამხოს თავზე მთელი სამყარო. არ ღირს თვალის მოხუჭვა. დროულად უნდა დაარქვა ყველაფერს თავის სახელი!

ნანგრევებში მოყოლილმა მოძებნო გზა გადასარჩენად და წამოდგე ფეხზე, სული კბილებით გეჭიროს და მაინც არ ნებდებოდე, სიცოცხლეს სიკვდილი გერჩიოს, თუმცა, მაინც ფიქრობდე გადარჩენაზე, რადგან გაქცევა მხოლოდ სუსტების ხვედრია. ყველაფრის მიუხედავად, მე ვირჩევ ვიყო ცოცხალი!

ადამიანობაა, სასოწარკვეთილისათვის უცხოა მიერ უანგაროდ გამოწვდილი ხელი, რაც იშვიათია. ეს არის ადამიანებისადმი ნდობადაკარგული რწმენის დაბრუნება. ამიტომ მე ვირჩევ გზას, უანგაროდ დავეხმარო გაჭირვებულს!

შვილები უნდა აღვზარდოთ და არა უბრალოდ გავზარდოთ, მშობლებს დიდი აზროვნება სჭირდებათ. ადამიანი ინდივიდია, ყველას თავისებური მიდგომა სჭირდება, ტყუილს ნუ მიაჩვევ ბავშვს.

რამე თუ გაუფუჭდა, ან იცელქა, ან გაუტყდა, შიშისგან მაღავს, ან იტყუება, ეშინია მშობლის, ეშინია, ეჩხუბებიან, რადგან, გუშინ რომ თამაშის დროს ფეხსაცმელი დაესვარა, დედა ეჩხუბა და იტყუება. ეს პირველი ნაბიჯია იმისა, რომ ტყუილს მივაჩვიოთ გაუცნობიერებლად. ამიტომ საჭიროა დიალოგი, რომ ვეჩხუბოთ, ფეხსაცმელი თავისით დაინმინდება?!

მე დევიზად ვაქციე საკუთარი სიტყვები, უსულო საგნის გამო, სულიერს არ აწყენინო!

თუ ბავშვს სიყვარულით გავზრდით და არა შიშით, ბავშვი აღარ იწყებს მაღვას და ტყუილს, რადგან იცის, მშობელი ადეკვატურად მიუდგება.

ასევე, „მინდა“ და ტირის, იტიროს ჯოჯია ერთი-ორჯერ, ვიდრე მერე ერთად ვიტიროთ.

მოკლედ, ბევრი ნიუანსია. მე, მაღლობა უფალს, გამოივიდა და ჩემი შვილი ჩემი მეგობარია. ძნელია ოქროს შუალედის პოვნა, სიმკაცრესა და ლმობიერებას შორის, მაგრამ უნდა ვიპოვოთ!

დინჯ და მდუმარე ადამიანზე იტყვიან სერიოზულიაო.
ჩემთვის კი სერიოზულობა აღიქმება მეტყველებაში, მოძრაობაში. მუსიკა, სიმღერა, ცეკვა უფრო სერიოზულია, რადგან რეალურია. სიდინჯე და მდუმარება ვერ იქნება სერიოზული, მიუხედავად იმისა და არ იცის, ამ დროს რაზე ფიქრობს ადამიანი, შეიძლება ყველაზე არასერიოზულ თემაზეც კი...

ადამიანი იმდენჯერ იბადება, რამდენჯერაც მისთვის საყვარელი ადამიანები იბადებიან.

ადამიანი ერთხელ მიიცვლება, მაგრამ იმდენჯერ კვდება, რამდენჯერაც საყვარელი ადამიანი გარდაიცვლება.

საქართველოს ბევრი განათლებული და მოაზროვნე ადამიანი ჰყავს, ჰყავდა და ეყოლება მომავალშიც. ამას დაზუსტებით ვამბობ დღეს, რადგან ვუყურებ, ვისმენ და ვხედავ, როგორი ნიჭიერი თაობა მოდის.

აზროვნებს ბევრი, მაგრამ ვინ სიყვარულით აზროვნებს და ვინ ბოროტებით, ესაა საქმე?!

შენ სწავლა-განათლებას, ნიჭს, აზროვნებას სამშობლოს წინააღმდეგ თუ გამოიყენებ, იქ დამთავრდა ჩემთვის შენი ადამიანობაც და ნიჭიერებაც.

ასეთი განათლებული ადამიანი გაუნათლებელ ადამიანზე საშიშია.

ცხოვრება მოულოდნელობებით სავსე დღეებს გვიმზადებს, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რადიკალურად ცვლის. შეიძლება ბედნიერება მოგვიტანოს ან მთლიანად დაგვშალოს ნაწილებად.

ყველაფერს პოზიტიურად ვხედავ, ზოგი ადამიანი გაკვეთილი იყო ცხოვრებაში, ზოგი კი ტრაგიკული შეცდომა, მაგრამ ცხოვრება ხომ მშვენიერია, მეტი ღიმილით და სიხარულით, ადამიანური სიყვარულით ვცხოვრობ და ყოველ დარტყმას და წყენას ვუპირისპირებ სიკეთეს და სიყვარულს. სამუდამოდ ვივინყებ წყენას, მაგრამ მათაც ვივინყებ, ვინც გულს მტკენს.

ჩემ თავს ვეუბნები, „ესეც გაივლის“, ხვალინდელი დღე იქნება უკეთესი, ვიდრე იყო გუშინდელი, ასე არაა?

ეს ყველაფერი ხორციელი თვალით დანახული და გამნარებული ღალადია, არადა, ვინ ჩანვდება მექოთნის ხელოვნებას და ჩვენი მცირე რწმენით მივხვდებით განა, არახილული დავინახოთ...

ამიტომ გვაქვს გაუგებრობის სინდრომი, რომელიც ტანჯავს წუთისოფელს. ნეტა გვესმოდეს და გაგვეგებოდეს ამასოფლისა...

ადამიანი კი არ უნდა შეცვალოს გარემოებამ,
ადამიანმა უნდა შეცვალოს გარემო.

ურდოსა შიგან შეიძლება იყო თავისუფალი,
თავისუფალ სამყაროში - პატიმარი.

რაც იყო იყო,
მთავარია ხვალ რა იქნება!

...და როცა დედა მომენატრება,
თავსხმა წვიმაში იებსა ვხატავ...

მიყვარს ადამიანები, რომლებიც გონებით იზრდებიან,
გულით კი ბავშვებად რჩებიან.

რას ვიზამთ,
ერთი ბოძი დიდ ღობეს ვერ დაიჭერს,
თავადაც წამოიქცევა და ღობეზე მჯდომ ჩიტებსაც ჩაი-
ყოლებს.

უფალს მცირედზეც ვეტყვი მადლობას, ოღონდაც იყოს
მშვიდობა.

შემიძლია ვიცხოვრო:

ორი საცვლის ამარა.

ანუ ორი ხელი ტანისამოსით და ესაც იმიტომ, რომ ერთი
გავრეცხო და სანამ გაშრება მეორე ჩავიცვა.

შემიძლია დღის მანძილზე უშაქრო ჩაით და ხელის-
გულისტოლა ყველის და პურის ნაჭრით ვიარსებო.

მაგრამ არ შემიძლია ვიარსებო: სიყვარულის, სამშობ-
ლოს, ნიგნის, მეგობრის და რწმენის გარეშე.

მართალი იყო ბებიაჩემი:

შეაყარე კედელს ცერცვიო...

ბაბუაჩემი:

ააფრინე ალალიო,

რაც არ არი არ არიო!

მამაჩემი:

მგლის თავზე სახარებას ქადაგებდნენ,

გამიშვიტ,

ცხვარი მოდისო...

მე, რა მე?!

საცა არა სჯობს,

გაცლა სჯობს!

იმედგაცრუებულ ადამიანებს იმედი არ უკვდებათ, მაგრამ ნდობადაკარგულ ადამიანებს სამუდამოდ უკვდებათ ნდობა.

რადგან, ნდობა ქრისტე არაა, რომ აღდგეს...

ერთხელ დავიბადე, დედის წიაღიდან და მას მერე ყოველ დილით ვიბადები, ღამის გვირაბიდან.

ყოველი გადაბრუნებული ურმის მერე ვიბადები...

სანამ ერთი წლის გავხდი ყოველდღე ვიზრდებოდი;

6-წლამდე ყოველ თვე ვიზრდებოდი;

13-წლამდე ყოველ წელს ვიზრდებოდი;

20-წლისამ შევწყვიტე ზრდა, მაგრამ ყველა დაცემის მერე ვდგები და სულიერად ვიზრდები.

ერთხელ გარდავიცვლედი და არ მეშინია გარდაცვალების, მაგრამ ყოველ გულისტკივილზე ვკვდები და სიკვდილის მეშინია, მეშინია, ერთხელაც ისე არ მოვკვდე, რომ პატიების უნარი დავკარგო ან გარდაცვალებამ მომისწროს და პატიება ველარ შევძლო...

თუ წასვლა გადავწყვიტე უკან არასოდეს ვბრუნდები...

საქ

დასაყარად

მეცნიერება

არ ვიცი, რატომ...

ო,
როგორ არ მიყვარს ეს უქმე დღეები,
დღეები, რომლებიც კვირას ჰგავს ყოველთვის.
ო, როგორ არ მიყვარს უისრო საათი,
დროს რომ ვერ გაარკვევ, ადრეა ყოველთვის.
როგორ მეცოდება უფოთლო ხეები,
ვუმზერ და მაციებს...
ტანში მცრის ყოველთვის.
ვერ ვიტან ასევე უფარდო ოთახებს,
გათქმულ საიდუმლოს მაგონებს ყოველთვის.
რატომღაც ვერ ვიტან
უმარკო ბარათებს,
ცარიელ ფურცლებს და უნომრო კალათებს.
ვერ ვიტან...
ვერ ვიტან...
უმელნო სამელნეს,
უმთვარო ღამეებს,
უსანთლო სასანთლეს,
უმზეო დარაბებს,
მაგონებს უიღბლო პოეტის განაჩენს...

13.03.1998 წ.

კმარა!

შენ, ჩემო ბებერო პლესანოვო,
შენ, მხარბეჭიანო, ახოვანო,
ჩემო მთანმინდა და ვერა!
რაც სისხლი გინახავს,
რაც ტყვია უსვრიათ,
მაგრამ ვერ წაგლეკეს, ვერა...
მოვიდეს რუსი და მოვიდეს ევროპა,
მოვიდნენ!
არ ვეცემით, გვნახონ!
ქართველი ქართველს ბოლოს კი გაუგებს,
მაგრამ შენ, ევროპავ! კარებს რად გვიხურავ?
გაგვილე!
სანამდის რუსეთი აგვიღებს
და შენი ფარული ზრახვებით
ნუ გვაძახებინებ აუგებს!
თუ გვიღებ, მიგვილე,
თუ გვიშვებ, გაგვიშვი!
ჩვენ ისეთი ქვეყნიდან ვიშვით,
თავისუფლებას ვერავინ დაგვიშლის.
ნუ გვეთამაშები მასკარადს!
მაშ, კარი დახურეთ,
ოცდაათს?
კარგად...
არც ჩვენ გირახუნებთ,
გვეყოფა!
კმარა!

28.01.25 წ.

თემქის ხევი, ახლა სკვერი...

1

გაშენდა ჩემი თვალის წინ,
ჭაობზე სკვერი ზღაპრული,
ამბობენ, თვალი თვალის წილ,
თემქელებს გვერგო გზა რთული.
ომამდეც, ომის შემდეგაც,
არ გვღირსებია გზა სრული!
ყველა მთავრობის პირობა,
სანახაობა და პური,
გეთვლებათ უკვე გამირობად,
მოიგეთ ზღვისუბნის გული.
დღეიდან ჭაობის ნაცვლად,
მზე სკვერ-მოედნებს ეწვევა,
ზღვისუბნის ხევის სანაცვლოდ,
თემქის „მზიური“ გერქმევა!

2

ამ სილამაზეს რომ უმზერო,
აქ იყო ნაგვის ზვირთები...
მაგრამ ომამდე? გეტყვით ერთს,
ამ ხევს შემორჩა ფიქრები:
გაიგონებდით ყიჟინას,
გალმა-გამოდმა ბავშვების,
ხელკეტით, მშობლის მოძახილს,
- ხეზე ჩხავანა შაშვების?!
რა ვქნა, რა ვუყო, ვერ ვმაღავ,
ის ხევი მომენატრება:
ჭაობი ბამბუკიანი,
ფერდობი გვირილიანი.

ვიპარებოდით ხევში და
სისხლიც გვდენია წვეთებით,
სალამურს ვთლიდით ღეროდან,
გვესერებოდა თითები.
ფერდობზე შემოფენილი,
ბალები ტკბილი ხეხილით,
სონა ბეზიას ბალიდან
მკვახე ვაშლს ვჭამდით, ღლინით.
სალამობით მატკობდა,
ბაყაყთა სერენადები.
გიყვებით, რადგან თაობებს,
მაინც, შემორჩეს მითები!
არადა, განა მითია?
იყო ცხოვრება გართობის,
ბავშვობის ტკბობით
დათრობის.

3

დღეიდან ჭაობის ნაცვლად,
მზე სკვერ-მოედნებს ეწვევა,
ზღვის უბნის ხევის სანაცვლოდ,
თემქის „მზიური“ გერქმევა!

20.10.24 წ.

„ნახევარი საუკუნე გავლი“

ნახევარი საუკუნე
შემომაცვდა,
წლები გაცვდა, მარცვალ-მარცვალ, როგორც ჩანს.
ბედისაგან განწირული გოგონა,
სიბერემდე ბორძიკ-ბორძიკ მოგორავს.
ავსა და კარგს ერთმანეთში არ ურევს,
ურვაშიაც სხვის საურვეს აპურებს და...
ურემს არჩევს, ოქროს ეტლის საყურეს.
ამ ცხოვრებას საღი თვალთ უყურებს.
ყურებსა და თვალებს ხშირად უსურვებს,
გაგონილზეც, დანახულზეც -
სუ, სუ თქვენ!
სხვისი სუნთქვა არ გეგონოთ ქარბუქი,
არ აბუქოთ, გინდაც ცეცხლში იწვოდეთ!
ოდეს წყალი არა ჰქონდეს, წყუროდეს,
წყაროს წყალი მწყურვალისთვის მიჰქონდეს.
ღამდებოდეს, თენდებოდეს, არ ღლიდეს,
მეორე დღის სიკეთეზე ფიქრობდეს...

17.12. 2022 წ

შობის ნატვრა

ათოვს გრძნობებს ალილოზე, ეკალს მაყრის კან-რბილობზე, მიიღია კალანდა და გაზაფხულზე ველი შველას. იმ დროს, როცა ნაკადულის პირს შევნიშნავ სისოველას, გულის პირზე, დაბზარულზე წყალი ნელა იწყებს დენას, ყინულტუსალ წყლისა გრძნობა, მზემ სხივებით გამოდენა, ზამთრის პირზე გაყრილები დაიწყებენ შერიგებას. ქარის ნისქვილს წყლის ნისქვილი მხარში ძმურად დაუდგება, გაიხარებს მენისქვილე, ხავსიან ქვებს უწყებს წმენდას. დოლაბის ქვის რახარუხი მოედება ტყეს ქარბუქით, ტურა, მგელი, დათვი, მელა, ტყის ჩრდილოეთს უბრუნდება, ჩხიკვი, ჭოტი, ბუკიოტი გააღვიძებს ტყეს წიოკით. მარტის სხივი გააცილებს ნაკიან თვეს, დღეებს მოჭრილს. მალე მხალი და ჭინჭარი მოედება ღობე-ყორეს. ოთახს განათებულს ჭრაქით, მზე შემატებს ორმაგ ღონეს. გაზაფხულზე ყაყაჩოთა იგიზგიზებს კოცონია, მენახირე გამოდევნის ნახირს, ალაგს-სისხამცვრიანს, საბალახოდ გადევნილი ცოხვნას უწყებს ბალახს რძიანს. შუადღისას დაენთება მინდორს მზისა ხანძარია, ზამთარს უმაღ მოედება სამარტვილო ნაცარია. სოკო მერქანს ამოფეთქილს მოუქარგავს თეთრ არშიებს, ამის მერე ზაფხულამდე მიწა გლეხს არ მოამშიებს. გლეხიც უმაღ გამოარჩევს შხამიან და მავნე სოკოს, თორემ მისგან მოწამლულ კაცს ვერაფერი ვერ მოარჩენს. დაკვირტული ხეხილები გაზაფხულის მზეს ელიან, ხეს რომ წყალი ჩაუდგება, კვირტიც მალე იწყებს სკდომას, მწვანედ შეიმოსებიან, ქარი ფოთოლს უწყებს ტრფობას. კაკლის ჩრდილში ზაფხულობით გლეხი ნიავს შესთხოვს შველას. მანამდე კი გამრჯე გლეხი ბუხარს აგიზგიზებს კვეხნით, აბა, ასე უშრომელად ზამთარი ვის გაუვლია.

ნაგროვები სანოვავის დაცლაც საქმეს აწერია.
შეშის ჩეხვა, სახურავის თოვლისაგან გადმობერტყვა
საქმეა და სათქმელია.
არ ყოფილა მოსვენება გლეხი კაცის, ოფელია.
სანამ გალევს გაილევა ასე წუთისოფელია...
დღეს კი ასე გადავკეცავ გასული წლის ბოლო ფურცელს,
შობას უფალს ისევ შევთხოვ, ერთი წელი კიდევ მომცეს...

07.01.25 წ.

ნუ მომატყუებ, მძულს

ნუ მომატყუებ, ო, არა გესმის?!
სიმართლე ვიცი... მძულს, როცა მესმის...
იყოს სიმართლე, გინდ იყოს მწარე,
ოღონდ სიმართლე! თავს იჩენს ხვალე...

მართალს არ დავსჯი, ღმერთმა იცოდეს
და იცის კიდევ! იქ მივალთ ოდეს...
ტყუილისათვის დაგკარგო იქნებ,
ასეა, კარგო! გთხოვ, არ დამკარგო...

ძირის გამოთხრას ავიტან მტრისგან
და მხოლოდ მისგან! ეს იყოს სხვისგან...
ოღონდ მოყვრისგან? ვერა და არა!
არა და ვერა! შორს ყველა რყვნისგან...

მწარე სიმართლე, ლამაზ ტყუილს სჯობს
მე ასე მწამს და მე ასე მჯერა!
როცა თვალეში ჩავხედავ დობილს,
არ უნდა წუხდნენ ტყუილისაგან!

გთხოვ, უპასუხოდ დატოვო კითხვა,
ვიდრე იცნო, თუნდაც ლამაზად!

15.12.2021 წ

სიცხიანი ქსპრომტი

ყავას ვსვამ მწარეს, უშაქროს,
ლიმონიანს და ნივრიანს,
უცებ ანთება ჩააქრო,
ვექილიაო იტყვიან.

საფლავში ხომ არ წავიღებ,
რეცეპტს გიტოვებთ მაღლიანს,
დავლიე, გამოვიხედე,
მაშ, გაუმარჯოს დღეს მზიანს!

01.12.23 წ.

სცადე...

სცადე!
ალიონზე ლოცვა!
დასთმე!
ყალიონის ბოლვა!
სცადე!
წამოდგომა სცადე!
დასთმე!
ბოროტება დაგმე!
სცადე!
მირონცხება სხვისი!
დასთმე!
გესლიანი ბაგე!
სცადე!
შეელიე სიამაყეს,
შენში თავმდაბლობით იამაყე...
დასთმე!
ერთი პურის ყუა,
ტრაპეზს შეელიე, ყუათიანს...
სცადე!
როცა გული გტკივა,
გრძნობით გაუღიმო მტირალს ...
დასთმე!
საკუთარი გლოვა,
როცა ზღვა ტკივილი მოვა...
სცადე!
აპატიო მოყვასს,
ზიზლით ნუ აივსებ გრძნობას...
დასთმე!
ცხვარს ნუ დაკლავ მხცოვანს...

მაქციას ნუ ჰკითხავ მორალს...
სცადე!
გამონახე ძალა...
იბრძოლე, სიტყვა არ კმარა...
დასთმე!
საკუთარი საქმე...
წადი და გაშორდი
მფლანგველს...
სცადე!
საკუთარი გქონდეს...
დასთმე!
სხვისი სისხლით ყოფნა...
სცადე!
სიყვარული სცადე!
დასთმე!
სიძულვილი დაგმე!
სცადე!
ლოცვა სცადე სხვისთვის!
დასთმე!
უღმერთობა დაგმე!

18.08.2005 წ.

ისე უბრალოდ...

იუმორესკა


მე რომ წისქვილში წავედი,
ყველას მოუნდა ღომიო,
ღერღილი ჩემთვის არა მაქვს,
ყველამ ისესხა ფქვილიო.

ჭადები უნდა დავაცხო,
ფუთას შამოვხსნა კავიო,
სუყველას გავუნაწილო,
არ დავაყვედრი არვისო.

ემაგ მთაზედა ავიდო,
გადმოვაგორო ზეავიო,
მაინტერესებს, ვინ მამბაძს,
ვის გაუტყდება თავიო.

08.10.23 წ.

დონდო



შობით თანდაყოლილი კათაკმეველი,
უნდა განდევნო მირონით და საკმეველით,
რომ არ მოგედოს ეშმაკი სარეველით!

ცოდვა არაა კათაკმევლობა,
არც ჯვარი, რომ არ გაქვს გულზე.
მაგაზე უფრო უარესია,
ჯვარი გქონდეს და ყიდდე...

21.01.23 წ.

დღეს იუდეები, ვერცხლზე კი არა,
ლექსზე ყიდიან ქ რ ი ს ტ ე ს,
ერთხელ კი არა, ვინ დაითვალოს,
მერამდენეჯერ გ ყ ი დ ე ს!
გამოულოცეთ, თვალი არ ეცეს,
თვალი არ გეცეს, „ქ ი ტ ე ს“!

20.01.24 წ.

მარიამის ცრემლები რომ იხილა
ბარაბამ,
პირობა დადო, რომ აღარ იქურდებდა...

21 წლის მამოს

შენ ახლა უკვე იმ ასაკში ხარ,
მე რომ პირველად „ნანა“ გიმღერე.
თურმე როგორი პატარა ვიყავ
და რა დიდობა ამოვიჩემე...

28.08. 2014 წ.

ავაზაკიც გოლგოთის გზას თელავდა და
ცრუნი სიცრუითა ყარდნენ...

ზოგნი საერთოდაც არ ღელავენ და
ზოგნი ცოდვას ჭეშმარიტად გაეყარნენ...

29.08.24 წ.

...და იდგა ნავი მიტოვებული,
მომავლისა და ბედის იმედად,
გამოჩნდებოდა ვინმე ერთგული
და ნაპირისკენ გზას გაუკვლევდა...

ზოგჯერ საშინლად მაბრაზებს
უნარი ჩემი თმენის!
თუ გულში ერთხელ ჩავრაზე,
არ გაგიხსენებ მერმისს!

09.09.24 წ.

მიყვარს ზღვა და მიყვარს მთვარე,
თუ მოზღვავდა, ლექსსაც დავწერ...
შემორჩება მოსაგონად,
თუ პოემად არ ივარგებს...

22.08.2024 წ.

ოქრო კაცსა არა ჰქონდა არა ოქრო-ვერცხლეული,
რა გაუჩნდა თავსაყრელი, დარჩა სახელმორღვეული...

ხელი ჩავკიდე - 01.09.78 წ.

დღეს ქარი ქროდა ისეთი ჩქარი,
გაუსწრო კიდეც „ნეტავ“-ის კიდეც,
აი, გაისმა პირველი ზარიც
და მეც ბავშვობას ხელი ჩავკიდე...

16.09.24 წ.

შიმშილს განვიცდი ღრმა დიდობაში,
ნუგეში დამრჩენია დედობაში.
ვსაზრდობ ტკბილი ნამცეცებით,
მწუხრმა დამაპურა ბავშვო(ბე)ბით...

16.09.24 წ.

სანამ დამახლი დამბაჩას,
ტყვიის ხარისხი გათვალე,
თუ ერთი მაინც ცრუ დარჩა,
ვერ გადაიხდი ცით ვალებს...

21.09.24 წ.

რა იქნებოდა, ბავშვად ვრჩებოდეთ,
ან მარად ბავშვის პერანგი გვეცვას.
ხომ ავცდებოდით ათასგვარ ბოდვებს,
ხომ ავცდებოდით ცოდვებს და ჯვარცმას!

21.09.24 წ.

დღეს ისევ ჰგავდა „გუშინს“ და ასე...
მჯერა, რომ ხვალეც „დღეს“ ემსგავსება.
გაუფერულდა ცხოვრება ისე,
დღე-ხვალისობის დავკარგე რწმენა...
- მომავლის არა!

19.09.24 წ.

ადამს რაც ნეკნი ასტკივდა, ცხოვრებაც ასე დალაგდა:
„ძალდი ძაღლის ტყავს არ დახვეს, კატა კატაზე ქორწინობს“.
ადამიანებს რა გვჭირს, რომ გონება ასე დაბლაგვდა,
ქრისტეს მაგივრად გულელებში სატანა რატომ ბოგინობს?!

22.09.24 წ.

მეზობლის ძალდი ყეფდა ღამეში, მგელი ელოდა ქარავანს,
ძაღლს ნუ აჰყვები ყეფაში, თუ მისი მოდგმის არ ხარ.

ცხოვრების გზაზე დახვედრილ ნაგავს თუ არ მიუჩენ
ურნაში ალაგს,
ქარი მოხვეტავს, შემოგაფეთებს, როცა არ ელი ზუსტად.

გადაბრუნებულ ურემს თუ ხელი წააშველე,
გზას ჩაგიხერგავს თურმე.
გაღმითაც მოგედავება, შენ გაგივლია მრუდედ.

კაცი ვერ ცხონდა, რომ არ ჰყოლოდა მტერი ან მოშურნე.
ღვთის კაცი მაინც ორივეს სახლის კარს ფართოდ უღებს.

მოზვერი ცოხნის მეზობლის სარეცხს, ვილაც აგინებს დედას;
ქარიშხალივით მოვარდნილ სევდას ხვალ წვიმა
ჩამორეცხავს...

21.11.24 წ.

ისე აკეთე სიკეთე, შენც დატკბე, მეც მამზიანო,
თუ რამეს ვალად მიკეთებ, არ მინდა, ადამიანო!

თუ ცდილობ მართალ-ჩაგრულის დაცვას,
მზად იყავ, დაცვა გექცევა ჯვარცმად!

თუ შენი ცხენი არის უბელი,
გახედნე, სანამ შეხვალ გუბეში!

თუ დააპურე მშიერი მგელი,
ტყეში გაუშვი,
ძმობას ნუ ელი!

თუ შემოგიჩნდა ავი ზრახვანი,
არ დაივინყო რწმენის ტაძარი!

თუ სიტყვამ ძალა დაკარგა,
ნულარ მოელი ავისგან კარგსა!

თუ კაცს დღეს თქმული არ ესმის,
არც ხვალ იხარჯო, არც მერმისს!

ლექსა ლექსის ლექსობისთვის
ჭირი რითა შეეყარა,
პოეტ პოეტს პოეტისთვის
კვანტი რომ არ გაეყარა.

სახალისო

წელს ზაფხული ვერ ვიგრძენი,
ეს მზეც როგორ ზარმაცია,
ფულუროში იმალება,
ზამთრის ქურქი ჩაუცვია.

ნაძვის ტოტზე ბელურები შეეყუჟულან,
ფრთებს უსველებთ ცისა ნამი ცვარჟუჟუნა,
წიუ, წიუ, შესძახიან ალიონსა,
წვიმაა თუ
„დილის მადლი“ გადმოსულა...

18.09.24 წ.

იყო და...
ერთ დროს გალობდა შაშვი...
არა იყო რა...
საკენკი მაშინ...
მეც ვერ გავზარდე მე-მეში ბავშვი...
ხშირად არა და ზოგჯერ ვარ
შარში...

12.09.24 წ.

ამინდი არაფერ შუაშია,
ზაფხულზე თუ კვებე შოშია,
ზამთრში იცოდე, ბელურებსაც შიათ!

წვიმამ მისმინეო - თქვა...
- ქარმა გაგხეთქეო ქვა!
ყველა დროს თავისი ამინდი აქვს,
ყველა დრო თავისას ფქვავს.
უბრალოდ, არ აჰყვე სხვას,
ეძიე სიმართლის ხმა!

დაჭერილი წამი,
შეინახე საგზლად,
არ გაუყო არვის,
მიგყვეს ბოლო ვაგზალს.

23.09.24 წ.

ფიქრებსაც მაცლიან ხანდახან,
ვით შემოდგომის ფოთლები,
მე ვიცეკვებ განდაგანს,
ვით გაზაფხულზე სოფელი...

23.09.24 წ.

როგორ გაუცხოვდნენ მოყვარენი,
არად დაიდევნ უფლის ნებას,
როგორ იმრავლა შურმა მოყვარისამ,
ვნუხვარ, ყურს არ ვუგდებთ არცერთ მცნებას!

--

მტკვარზე

წუხელის მტკვარზე დაუთოვია,
ცუდად მენიშნა მკვდარი თოლია,
მტკვარს თევზი ისე გამოლევია,
თოლიას ველარ უთევზავია.

12.01.2023 წ.

დიდ ჭაოგში მეთია ბაცილა

ჩემი თიხა და ჩემი ნათიბი,
ვილაცამ ბრმად თუ ურცხვად აზილა,
გამოაცალა თიხას სათიბი,
მაგრამ თიხისგან დარჩა ბაცილა!

2024 წ.

როცა სულერთი ხდება ამინდი, სული განიცდის
უამინდობას
და ერთი აბიც საკმარისია ყელს მობჯენილი ცრემლის
ამბიდან...

ხან ახდება გულს ნადები, ხან ნებდები დროს ვედრებით.
ხან კი ფიქრის საფიქრებლად გაფიქრებაც წახდება...
ხან თაფლიც კი გამწარდება, სანამლავი გახდება,
ხან კი შხამიც, დარიშხანიც გულზე წამლად გედება...

გული გულს დაშორდა, ძმა ძმასთან დავობდა,
ერთგულება დაობლდა!
ბარი მიწას დაშორდა, მიწასა და კაცს შორის
სიმი აღარ იშობა...
მიწა კაცს კი ეძახის, მაგრამ კაცი წასულა
უცხო მიწას, საშოვარს...

აღარ გაისმის ერთ ნოტზე
ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა,
ვინც პლატონურად ჭვრეტდა ეროსზე,
უარყოფისგან ყველა გალოთდა...

დაბრუნდნენ...

ბუდეს, რომელსაც დაუბრუნდნენ ისევ მერცხლები,
გპირდები, დედი, შენი შვილი საკენკს დაუყრის
და ყოველ დილით აივსება საძინებლები
ვარდობის თვით და მონატრებით შენი სურნელის.

01.05.2022 წ.

გმირ ღეღებს

ენგურს გაღმა და გამოღმა,
დედები ერთუროს სტირიან,
ომში დაკარგულ გმირების
სამძიმარს ეუბნებიან...

27.09.94 წ.

ოხ, ერო ჩამო!

რაა მამული, მოუკითხავი ნესტოთა ნვერო.
თუ არ გყავს მული, გასაჭოროავი,
ან მისახედი, მამიდას ჩერო.

ქარუზიმოგან კრიტიკოსები...

შარშან ვინც მწარედ აკრიტიკა ხეების ცურვა,
ნელს ყველა აქ, ამ ხის ჩრდილში მოვიდა, მოვა...
პაპარაცობენ, მოდელობენ, პოზიორობენ,
გაშლილ სუფრაზე თამადაობენ მოქილიკენი,
ქერუბიმოგენ...
მოქეიფე კრიტიკოსები...

26.08.2020 წ.

ნუ სცდი მოთმინებას...

იუმორესკა

რომ მივუშვირე მეორე ლოყა,
ბრიყვად ჩამთვალა, ან ჭკუით ვირი,
რადგან არა ვარ ჰიბრიდის ჯიშის,
(ანუ არა მაქვს მესამე ლოყა),
გადავუჭირე გაშლილი ქოლგა!

03.03.2023 წ.

თუ ხვდები...

იუმორესკა

ლექსს დაწერ ექსპრომტად, გგონია შედეგრი,
ორი წლის მერე კი, კითხულობ, შტერდები.
სად იყო რითმა და სად იყო მეტრები,
კარგია თუ ხვდები, გყოლია მტრედები.

06.06.2023 წ.

ასი წლის მერე

ღმერთო, ძალიან გთხოვ,
როცა წამიყვან,
იქ შენთან,
ცაში,
თიბათვე იყოს.
მე
შობისთვეში დაბადებული,
ვერ ვიტან ზამთარს.
მზემ
მაინც გაათბოს,
ჩემი
ძვლები, შეჭმით რომ
ემუქრება,
ის ცივი
მიწა...

21.08.2022 წ.

მადლობა, ღმერთო!

მალვიძებს ძლიერი ხველა,
სიცხე მაღალი, ოცდაცხრამეტი და
ორ წუთში აღარც ვიზომავ,
ან რა აზრი აქვს, ავა ხომ არ ჩამოვა,
აღარც გაღვიძებ, იყოს, გეძინოს,
ღმერთია ჩემთან!

25.10.2021 წ.

საცა არა სჯობს...

წავალ მეც ალბათ მალე, ლოდინს აღარ აქვს ძალა.
ერთხელ მოვედი ქვეყნად და ბედნიერება მწაღდა.

09.10.1999 წ.

გამიშვიტო იქ, სადღაც

მე წავალ იქ, სადღაც, არ ვიცი სახელი,
ოღონდაც არ იყოს შური და ნაღველი.
იქ, სადაც არასდროს არ არის ზამთარი,
იქ, სადაც ყოველთვის ჰყვავიან ვარდები.
მითხარით, სად არის ასეთი ადგილი?!
მითხარით, სად არის ყოველთვის ნათელი?!
წავალ და იქ, სადღაც დავიკარგები,
არავინ მომძებნოს, არ მინდა ძაძები.

21.12.2021 წ.

იმიერ-ამიერი

ცხოვრება უფერო და უსუნოა,
მე ვცდილობ შევძინო ფერები,
მინდვრად მოფენილი ყვავილების,
სურნელება დამყვეს გამუდმებით.
როცა მივბარგდები იმიერში,
არ დამყვეს ამიერი ცოდვები,
მინდა, ვიცხოვრო ამიერში და
მინდა, ვიარსებო იმიერში.

01.07.2009 წ.

ჩამოვხსენი საქანელა...

მე ოცნება აკვანივით ვარწიე,
ოცნება კი, საქანელამ არწია,
ვარწევდი თუ ირწეოდა ოცნება,
თვალს ვავლებ და მაინც, ვერ გავარჩიე.
ჩამოვხსენი ოცნების საქანელა,
გუდად შევკარ, დადუმება ვარჩიე,
ვიტვირთე და ბეჭით ვზიდე საზიდი,
პირუტყვივით დამაქეს ჩემი ნაზიდი.

05.07.1999 წ.

არ ვნაპდება...

რამდენჯერაც ჩამცემს დანას ცხოვრება,
იმდენჯერვე შევიხორცებ ჭრილობას.
დარჩენილი იარებით ვიცხოვრებ,
განა ხორცი? უფრო სული მტკიოდა!

05.07.1999 წ.

გარდაუშვალ იდგომარეობა...

მიყვებე ოცნების ბილიკებს, მინდა, შევიყვარო
სიცოცხლე,
მაგრამ იდუმალი ხმა მომძახის, შეჩერდი, სიკვდილი
გაჯობებს!
სიკვდილო, ჩამომეხსენი, მე უნდა ფერი ვიცვალო,
ჩემი ცხოვრების კვალდაკვალ, არ გავერე,
გარდავიცვალო!

08.07.2012 წ.

ძვირფასო, მე უკვე ვინწვნიე ტყუილი,
მე უკვე ვიგემე ნამსხვრევი ოცნების.
იქაც ჰყვოდა ნუში და ალუჩა,
მაგრამ ზამთრის სუსხს ვერ გადაურჩა.
უკვე გავიზარდე, არ მჯერა ზღაპრების,
ვერავის ვენდობი, სიბერის კარამდის!

2022 წ.

„კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე“
(უკრაინას)

ზეცას თალხი შეუმოსავს, მიწას ბული ასდენია,
იცხრილება ყველას გული, ვისაც გული შერჩენია.

24.02.2022 წ.

დაცლილი ჭიქა სავსეა ჰაერით,
სავსეა ქუჩა დაცლილი იერით.

შეშლილი დედები მოძღვრავენ არშეშლილთ,
გლოვობენ, იციან, შეშლილნი შეშლიან.

მზემ დაწვა ცა და ცა მზეზე გადაწვა,
მზე გადაგორდა და გორაზე გადაწვა,

03.03.2023 წ.

გამირბის ზოგჯერ რითმები,
სულ შედევრები ვერ არი,
მაგრამ საკუთარ ნააზრევს,
სისხლის წვეთებით ვღებავდი...

დილიდან ვქარგე ოქროს ძაფებით
და ამოვქარგე შენი სახელი,
თვალწინ მიჰქრიან ჩვენი ცხოვრების
გამორჩეული ეპიზოდები.

შენი ჟამგასული ჟაკეტი და
ჩემი გაცრეცილი კაბა,
ერთ დროს, ერთმანეთს რომ მივაკერეთ,
ის დრო ყველა მოდას სჯობდა.

დროსა და ჟამს არ ვნებდები,
სიყმაწვილით მიცემს გული,
რული თვალს თუ მოერია,
გულს ვერ მოერია წლები.

ღამე იდგა, როგორც დახლის ნოქრები,
ყვავილები სველდებოდა, ქორფები,
არ გვინდოდა ჩვენ წვიმაში ქოლგები,
წკაპუნობდნენ მხარზე, როგორც ნოტები.

იანვარში, ჭადრის ხეზე,
შევამჩნიე ფოთოლი,
ცახცახებდა, ტოტს ეკვროდა,
ეული და ობოლი?

დღეები ოხვრად იყო, ხავსიან-ტიალი,
რით ვერ გავიზარდე მე ოხერტიალი,
დოლაბო, არ შეწყვიტო ბუტბუტ-ტრიალი,
ახლა უთაბოლოდ მინდა ხეტიალი.

არ დაიმალება იცი, შენი შეკაზმული კვიცი.
ვყლაპე უამრავი წელი, შენგან გატეხილი ფიცი.

ქმას

ძველ კარადაში, ძველი კოსტუმები, თაროზე
შერჩენილი შავი კაშნე.
ისევ ჰკიდია ბავშვობის ლურჯი ჩოხა, შენ კი
კომოდიდან მიმზერ.

17.05.2021 წ.

ქმას

ძველ კარადაში, შენი ჩოხა, ისევ ჰკიდია,
მოგონებები, ტკივილები, ძალზედ დიდია.

მიწაზე განსჯილს, ხელმეორედ განისჯის ღმერთი,
ამიტომ ვდუმვარ, მართალია მხოლოდ ის ერთი.

დედას

დღეს შემოვისხი შენი ხალათი, სკივრში ვიპოვე შენი
ბარათი,
ისევ წიკნიკებს ძველი საათი, ყველა მინორი ერთად
ჩავკალი.

რაც მეტად ვფიქრობ, მეტად გშორდები,
მაგრამ სიმართლეს ვუახლოვდები.

ნუ შევეცდებით წარსულის წაშლას,
აშლას, საძირკვლის ავს,
უნარსულო მომავალი უსაძირკვლო სახლს ჰგავს.

ზოგჯერ ფუთია საჭირო, ზოგჯერ წვეთიცა კმარა.
ზოგჯერ არც ფუთი გეყოფა, ნილაბი ისე ჰფარავს.

უმაღურობა დიდი სენია, ამას ვერ აცდა ჩვენი გენია,
ვინც ვერ აფასა პურის მარცვალი, არ უნდა მისცე
ხორბლის თავთავი.

წყაროზე რომ ვთქვი ამბავი,
შარაზე დამხვდა ნაცვალი.

მე სიკვდილისაც არ მეშინია,
მაშინებს ფიქრი
სიკვდილის მერე, რომ არ მომკლან
ვინც ვერ დამჯაბნა სიცოცხლეშივე!

გული არ არის ფურცელი, ვერ მოერევა საშლელი,
დრო ვერ გახდება ამ გულის ჩანიშნულ ამბის წამშლელი.

არც ცუდს ვივინყებ და არც კარგს,
ავის მქმნელს დრო გადაკარგავს.

საცოდავია ნაადრევად ფრთაშესხმული ადამიანი,
ვერ აიტანენ ფრთის მოტეხვას, ბოროტდებიან.

ხმელი ფოთოლი თუ შემორჩა ხეზე ზამთრამდის,
მარტოსულ კაცსაც შეუძლია ყოფნა ას წლამდის.

არ დამინუნოთ გალექსილი, პოეტი არ ვარ,
უბრალოდ მიყვარს ლექსად რომ ვთქვა ჩემი სათქმელი.

ვწერე დაღღამდის, მელნის დაცღამდის!
გულის ფეთქვამდის, სუნთქვის დაცღამდის!
ვინ მაცდის?

შეცდომა მასწავლებელია,
შეცდომის გამმეორებელი ცუდი მოსწავლე.

სიბ გზაზე ხავსს ვერ იპოვი,
გაცრეცილი ლაბადა ვერ გაგათბობს.

საჭმელში გადამლაშებულს, წყალს დაასხამ და უშველი.
სიტყვაში გადამლაშებულს, დატკობით ველარ უშველი.

სიყვარული დიდი ნიჭიაო,
სიძულვილი უნიჭოთა ნავსაყუდელი.

ბებერი ჭადარი მეტად დაგრძილავს.

ურემი ტვირთს თუ იმძიმებს,
შუა გზაშივე ჩატყდება.

ძნელი არ არის სახლის აშენება,
ძნელია აგურის აგურზე მყარად დაშენება!

ნუ აყვები ემოციებს, მოგიწყობენ გენოციდებს!

გაიზარდე გონებით და გული დარჩეს ბავშვად!

ვერ შემაშინებს გაძარცვა, სულს ეშინია განძარცვის!

თუ არა გაქვს შენი მყარი აზრი,
ნუ შემოკრავ ნაჭორავებ ზარებს!

ღარიბიცა და მდიდარიც, ბოლოს სულყველა კვდებაიან.
საფლავის კართან ხვდებაიან, ერთი სუდარით მიდიაან.

თუ კაცმა კაცსა არ უმტრო, ვერას დააკლებს სატანა.
ვისწავლოთ ერთუერთ გატანა, ერთად გავდევნოთ სატანა.

თუ ერი გონიერია, სამშობლო ბედნიერია.

არ დაივიწყო ზედაშე,
ქედი მოიხარე წინაპართ წინაშე.

წლებმა დამამჩნია კვალი,
მაგრამ ვერ გატეხა ნალი.

დაუღალავი დედა, შვილისთვის,
მტკივანი ფეხით განაგრძობს შრომას.

მძიმეა ხვედრი უმაღური შვილის დედის.

ხომ არის რაღაც, ხომ არის ვიღაც,
რაც გაჩერებს და რაც სულს ჩაგიდგამს!
ხოდა, ის რაღაც, ხოდა, ის ვიღაც,
ღირს სიცოცხლედ და წლის წელზე მიდგმად!

იმ საუკუნეს მოვედი, ამ საუკუნეს კი წავალ,
თუ ასი წელი ვერ განვვლე, ორ საუკუნეს კი დავალ.

წარსულზე ტირილ-კნავილსა, მომავლის კვალვა სჯობია...
ზოგჯერ ორბია ცხოვრება, ზოგჯერ დაჭრილი ქორია...

მოჩვენებითია ყველაფერი, ეს ყველაფერი თქვენ იცით შინ,
როცა ცუდად ვარ და ვიცინი, მე შავს თეთრად აღვიქვამ
ძაფებივით.

ამინდს ცვლის დროსა და წლის ბრუნვა ბუნებას.
კაცს განდიდება ან ურვა, შენ ხომ უსულო არა ხარ,
არ შეგცვალოს გაჭირვებამ, არ შეიცვალო გუნება.

არავის ვედრები...

ახლა მლაშე წყალში ვტივტივებ და
გულში ჩამისახლდნენ მტრედები,
ირგვლივ წყლის იხვები ყვიტყვიტებენ,
მე „მეს“ გარდა არავის ვედრები!

24.08.24 წ.

ეხ, რას გაიგებ, როცა პოეტი დუმს ან ყვირის...
როცა იცინის მით უფრო... ჩათვალეთ უხმოდ ტირის.

ლოცვა ვერ გშველის თუ არ იწამე,
თუ საყდარს შინა რაც შეიტანე,
გამოხვედი და გამოიტანე...

სული თუ მშვიერი არის, კუჭი ვერ იგრძნობს ძღობასა,
სულიერების სინაყრე სჯობს კუჭის დანაყრებასა.

მადლი თუ უმარილოა ვერვის მოუტანს ლხენასა,
მადლსა უწინაც აკმიე საკმევი ნეტარკმევისა.

23.09.23. წ.

ერთი ღლით...

ნუ ევაჭრებით...
გეხვეწებით,
ნუ ევაჭრებით...
დაკოჟრილ ხელით,
ნანვიმარში
დაკრეფილ იებს...
საყვარელ ქალთან,
სიყვარულის ვაჭრობას
მოჰგავს...
გადამირჩინეთ...
სიყვარული
გადამირჩინეთ...

08.03.2022 წ.

არწივებს...

არასოდეს არა სცხელათ მყინვარებს,
ზამთარ-ზაფხულ თოვლის ქურქსა მონობენ...
აბა, გული რამ გაუთბოს არწივებს,
წლიდან წლამდე მყინვარწვერზე სახლობენ!

20.04.24 წ.

მოგავლის იმედით!

საქართველო მუხაა და
ახალ ლერწამს იმყნობს,
არ დარჩება არა ჯმუხად,
თუ ძმა ძმას არ უმტრობს!

19.04.24 წ.

ნერუ ანუ მე...

ოდესღაც დავწერ ლექსს ან პოემას,
რომელიც სევდით იქნება სავსე
და თუ ეს მართლა ღმერთის არს ნება,
გარდაცვალებას ლექსით შევავსებ!

17.12.17 წ.

ბუნების თვითმკვლელობა

მაისის ისტერია

ოთხ სეზონს ხანდახან
ვიხილავთ ერთ დღეში.
(ნერუ)

მაისის ისტერია, ცათა მისტერია,
მინის ისტერია ჩემს ხმას შერევია.
დღემოკლე ღამეები, უფრო მოკლდებიან,
ხან გაზაფხულობენ, ხან კი ზამთრდებიან.
ცა მინის ჭერია, ცას მზე უჭერია,
ცა ალისფერია, მინა კი სველია.
მინა ღვთის შვილია, ღმერთი გვიდევნია,
მინა გვიპოხია, მერე გვინანია.
ჰაერი უხილავი, სამყაროს ფილტვებია,
ამოხველებზე პირჯვარი გვინერია.
მაისის ისტერია, ჯიუტი, კერპია,
წვიმაა, თოვლია, ხან გიჟი ქარია.
ფერთა ალღუმი, ზღვათა ცეკვებია,
ხეთა ხვევნებია, ხევთა სტვენებია.
ცათა მისტერია, კერკეტი კაკლებია,
მარგალიტებია, კლდეთა ტირილია.
მაისის ისტერია, მინის მისტერია,
ქანები ქანდებიან, გადაქანდებიან...
მაისის ისტერია, ჩემს ხმას შერევია,
ხან ბობოქრობენ და ხან დადუმდებიან...

01.05.2023 წ.

მიჟჟარდა მაშინ

ცა მოჟამულა, ვით აჭრილი რძე,
ავად ჟინჟლავდა ნახევარი დღე,
თავშესაფარი ვპოვე გამხმარ ხეს,
წვიმის წვეთები ქეჩოს მისველებს.
სისხლი ვერ მივსებს ამ გულის ხვრელებს,
ამოვახველებ ბავშვობის კიბეს,
ხვეულ ბილიკით მივყვები კიდეს,
ხვალინდელ დღისთვის ეს დღეც რომ ღირდეს.
შემომეხვია გულზე მარწუხი,
წამში ათასი შეკუმშვა ვიგრძენ,
ახლა ჩემს თვალწინ იშვა წარსული
და დამიბრუნდა ბავშვობა სრული.
მაისის წვიმა მიყვარდა მაშინ,
დავაბოტებდი როცა გუბეში,
წვიმის გავლებულ ვიწრო ხნულებში,
ქაღალდის გემებს ვაცურავებდი
და წვიმას კი არ ვემალებოდი,
ველოდებოდი, ნეტავ განვიმდეს,
მზე პირს იბანდეს, თან იცინოდეს,
ცაზე შვიდფერი ზოლი ცვიოდეს,
ციოდეს, მაგრამ არა მციოდეს.
ახლა?!
ახლა ნისლია შემობერების,
მოგონებების შემოფეთების,
მოფერებების ბავშვური დღისა,
ღირდა ეს წვიმა,
ბავშვობის ხილვად!

13.05.2023 წ.

წვიმდას, ქროდას...

თავაშვებულად ქრიან ქარები,
შეუღლებია ღრუბელს ღრუბელი,
მიაჭენებენ, როგორც უბელი,
უუნაგირო რუხი ცხენები.
გადუქროლებენ ჭენებ-ჭენებით,
მირონცხებული თბილისის გუმბათს,
მტკვარს აჰყვებიან აღმოსავლეთით,
შეისვენებენ სვეტიცხოველთან.
ჩამოჯდებიან სამრეკლოს ზართან,
დაიტირებენ უტას მოჭრილ მკლავს,
ემბაზს დაცლიან ძველ კარიბჭესთან,
მზე ამოუშრობს ღრუბელს დაცრილ თვალს.
ეამბორება ამღვრეულ ცის თაღს,
წამოიწვერებს, მცხეთას დალოცავს,
კენჭებს გაუთბობს, გზაამღვრეულ მტკვარს.
შეეგებება მწუხრისას მთვარეს,
ცა, მზე და მთვარე ერთად ივახშმებს,
წილსაც უყრიან ნადიმობის ჟამს,
მეორე დღისთვის წვიმას,
ქარს თუ დარს?!
მზე გაიმარჯვებს კვლავ!

17.05.2023 წ.

იგვიანებენ იასამნები

რომც ჩამეძინოს საღათას ძილით,
შენი სურნელი გამომალვიძებს,
სავსე მთვარისას გაზაფხულობით,
ჩემი თვალები მუდამ შენ გეძებს.
რომც ვერ გიხილო, დავკარგო ჩინი,
შენი სურნელით გამოვლინდები,
შენი ყვავილი ძლიერ მათრობს და...
შენი ხილვისას ვრეტიანდები.
მინდა, შევღებო ზეცა შენ ფერად,
კაბა ჩავაცვა იასამნების,
წვიმად დიოდეს შენი სამნები,
გულზე მეფინო ლამაზ ზმანებით.
მინდა, დაგიდგეს მთვარე ნათებად
და ვარსკვლავები ღამის დარაჯად,
დავსეირნობდე დღისით შენს ბაღში,
ღამეს ვათევდე შენს დარაბებთან.
თუ ვარდი არის ყვავილთა მეფე,
შენ ყვავილების დედოფალი ხარ!
თუ ვარდსა ჰყვარობს თავად ბუღბული,
შენ შეგიყვარა ჩემმა თილისმამ!
წელს იგვიანებ გამოლვიძებას,
ბზობას უშენოდ როგორ შევხვდები,
ბზის ცოტები და შენი ყვავილი,
რომ არ მივართვა დედას აღდგომას.
ჩანასახშივე შენი მიჯნური,
მუცლიდან გახდი ჩემი სანილე,
- გთხოვთ, არ შეახოთ ხელი ბინძური,
დედის ალერსი გავუნაწილე.

15.04.2022 წ.

მარიდე

დავკარგე სახე, ვიქეც მაქციად,
არ მომეკაროთ, სისხლი მაცვია.
ქაცვის ტოტების დგება აქცია,
შემოგაძარცვეთ, რაც კი გაცვია.
ლამე გახლეჩილ მთვარეს აწყნარებს,
მთვარე სიმთელეს ხვალ დაამთავრებს,
უდლეურ დღეებს რა გაამთელებს,
უნდა მოვეუხმო სულის სიმთელეს.
ვკითხულობ ალექსის ამონარიდებს,
მზეო, ამოდი, სეტყვა მარიდე,
შემომახვიე მირქმისა რიდე,
ბრძოლასა შინა ამო-მარიდე.

15.02.2023 წ.

გავა მაისი...

დღეს,
ცამეტია უკვე მაისის,
ვისთვის აისი,
ვისთვის დაისი,
ჩემთვის,
მაისი უფრო თარსია,
ვიდრე,
თვით რიცხვი ცამეტის, არსით.
ორი დეკადაც, გავა მაისი,
სახე ექნება ყველას მავრისი...
ერთი წელი ხომ ამ დღეს ელოდი,
გულო, გაუძელ, ზაფხული მოდის!

მოვა ზაფხული, თეთრი ტალღებით,
აიშლებიან ზღვაზე აფრები
და მერე, თუნდაც, აღარც წასულა,
ოთხივე დროში მდგმურად შესულა!
ვარდი რომ არა,
რწმენა რომ არა,
ღმერთი რომ არა
და შენ რომ არა,
რომ არ ვიცოდე იდარდებს დედა,
მაისის თვეში თავს მოვიკლავდი.

13.05.1999 წ.

მირიად წელს

ზამთარია.
მზე გვათბობს,
ზამთარია,
ქარი ქრის,
ზამთარია,
წვიმა ცრის,
ზამთარია,
ფიფქებს ჰყრის.
მხოლოდ
ზამთარს შეუძლია,
სასწაულის მოხდენა.
ერთ სეზონში
მოგვევლინოს:
წვიმად, ქარად,
თოვლად, მზედ.
დაბადებაც

ზამთარს ძალუძს,
მშობიარობს
ყოველ წელს.
არ გაჩერდე,
დედამინავ!
იფეხმძიმე
ყოველ წელს!

07.01.2023 წ.

სხვანაირი სურნელი

ქარი, ქარი,
ჯარი, ჯარი,
რკალი, რკალი,
რვალი, რვალი,
ნაკიანი თებერვალი.
მარტის გზაგასაყარზე,
კუდი უდევს ყავარზე,
ეჯიბრება გაზაფხულს.
ქარი, ქარი,
ჯარი, ჯარი,
რკალი, რკალი,
რვალი, რვალი,
გზას არ უთმობს ამაღ ხნულს,
ეჯიბრება მზეს შებმულს.
დაბერილან ღრუბლები,
თებერვალი კართან დუღს,
მარტის სუნი ცაში ქუხს.

01.03.2003 წ.

ფერიცვალებას

ვაიმე, ზაფხულო.
მშორდები, ზაფხულო!
ფერიცვალება გაიყოლებს
ჩემ თბილ ამინდებს.
უშენოდ ვერ გავძლებ,
შორია იმ წლამდე...
არ მიყვარს ზამთარი,
მცივა და გრძელია
ღამე!
ფერი იცვალა,
ყველაფერმა ფერი იცვალა,
მალე ბელურა შემოგვრჩება
და
შიშველი ტყე,
ფერიცვალება გაიყოლებს
ჩემ თბილ ამინდებს
დაგელოდები მომავალ წლამდე,
სიკეთით მაინც
დაბრუნდებოდე.

19.08.2021 წ.

საქტაშპარო!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს შემოდგომა,
სიგრილეს ჩუმად შემოგვაპარებს.
ყველა ვარამი წაელოს ზაფხულს,
მომავალ წლამდე რა გამახარებს?!
ჩემი სახლის წინ ვუმზერ ალვის ხეს,
შემოდარცვულს და ხელებგადაშლილს.
თითქოს მეძახის, შემომეხვიე,
მოდო,
ნუგეში ვუთხრათ ერთმანეთს.
ყურს ვუგდებ მისი ფოთლების ცვენას,
ვუსმენ და მგონი მეჩურჩულება...
ორივე ერთად მივტირით ზაფხულს,
მე რომ მათბობს და ამშვენებს ალვას!
წაფეჩურჩულე,
გულს ნუ გაიტეხ,
ცხრა თვეში ისევ განმეორდება!

P.S.

ვინატრე,
ნეტავ,
ახალგაზრდობაც,
ცხრა თვეში ერთხელ მეორდებოდეს,
როგორც ალვის ხის დაფრთიანება.

01.09.2021 წ.

არ გიყვარდეს და ეტრფოდე მაინც

თქვენ, უკვე იცით, რომ ვეტრფი ზაფხულს.
არ ვწყალობ ზამთარს და არც გაზაფხულს,
არც შემოდგომა არ მიყვარს,
მაგრამ

ჭრელ-ჭრულა ფარჩით მაინც
მაოცებს.

ნაზი ნიავი როცა დაბერავს,
ფოთლებს ვალსივით აათამაშებს.
ერთ ფოთოლს, ალბათ, ჩემთან მობერავს
და მეც ბავშვივით მომიალერებს.
უცბად წამოყრის მერე წვიმასაც,
იელვებს,
ისევ გამოიდარებს.

ჭირვეულ ბავშვს ჰგავს ეს შემოდგომა,
ხან ცივა, ხან კი მზის სხივით
გავსებს.

არ ვეტრფი, მაგრამ მომხიბლა
მაინც,

ჭრელი ფარჩით და ველური ვალსით.

შენ, მეეზოვევ,
მოდი ნუ დაგვი,
ერთი დღით მინდა დავატკბო
თვალი.

ხვალ ისევ ქარი ამოვარდება
და ქარი ისევ თვითონ გადაგვის.

ა.შ.

თქვი, რას მერჩი, მეეზოვევ,
რატომ მიშლი ასე ნერვებს,
ხომ გითხარი, დამიტოვე,
ნუ გადაგვი დღეს ამ ფოთლებს.
ჩემი სულის მალამოა,
ჩემი თვალის დასატკბობი.
მინდა, ნიავს დაველოდო
და ველოდო ველურ ვაღსებს.
რას იღიმი, მეეზოვევ,
არა გჯერა წრფელი გულის?!
ხო, არ მიყვარს შემოდგომა,
მაგრამ ვეტრფი ყვითელ ფოთლებს!

25.09.2009 წ.

მომავალ წლამდე

ღამე
მთვარემ გააცილა ნოემბერი,
ვარსკვლავები მიეგებნენ ცივ დეკემბერს,
ჩემს სარკმლის წინ,
ნაზად არხევს ზამთრის სიო,
ჩუმ ალვის ხის შემოძარცვულ,
ბებერ ტოტებს.
წელს ბოლოჯერ ააცეკვებს სიო ვაღსებს,
ბოლო ფოთოლს შემოახსნის, გაიტაცებს,
გაიყოლებს შემოდგომით ნაქარგ დღეებს,
მიიხურავს ნოემბერი სევდით კარებს.
ალიონზე მივესალმე შობის თბილისს,
სუსხავდა და

ბალი თრთვილის ისხამს მდგმურებს,
დაინწყება თოვლიანი წვიმები და
ლოლოებსაც ჩამოკიდებს სამტრედურებს.
შემოდგომა უხდებოდა ბებერ თბილისს,
მთანმინდასაც ხომ უხდება თეთრი ქუდი?!
მაინც ვიტყვი, არ დავმაღავ ცოდვას ჩემსას,
ოთხ სეზონში,
მაინც ზაფხულს ირჩევს გული!

01.12.2020 წ.

ახალ წელს

თუ თბილისში არ მოვიდა თოვლი,
ვესტუმრები საბადურის ტყეებს,
აქ ზამთრობით უხვად იცის თოვა,
ნაძვის ხეებს ეზნიქებათ ტოტი.
აქვე არის ოცი წუთის გზაზე,
ჩვენთან რომ წვიმს, საბადურში ბარდნის,
ამ ახალ წელს ვიკრიბებით ყველა,
თბილისს გარეთ, ტყეში საბადურის.
სულ ცოტა ხნით მინდა, ვიყო ბავშვი,
ავაშენო სამი თოვლის გუნდა,
სტაფილოთი გავუკეთო ცხვირი,
ფიჩხის ნაცრით მივახატო თვალი.
ვიციგავო, ვისეირნო ტყეში,
ვიგუნდავო მეგობრების წრეში,
სულ ცოტახნით მოვკლა ჩემში ქალი,
სულ ცოტახნით არა მქონდეს დარდი!

22.12.2021 წ.

და მაინც მოვა

ცა წითური და ოდნავ მოკალული,
მზე ცის კაბადონზე შუაზე გახლეჩილი,
ამინდი მკაცრი და დეკემბერმინურული,
ვისთვის ღვთიური და ვისთვის მოჟამული.

წელსაც, როგორც წინათ, ისევ გავაცილებ,
თითქოს მე მკითხავდა, უჩემოდაც წავა,
ოღონდ განსხვავებით ბედნიერი წლების,
გადავეჩვიე მიწერას წერილების.

ხურჯინს არ ვუმძიმებ თოვლის პაპა-ბაბუს,
ვცდილობ, წავიკითხო სხვისი მინაწერი,
ვისაც ირმების და მარხილების სჯერა,
ღმერთო, აუსრულე ყველას ოცნებები.

მე თუ აღარ მჯერა ჯადოსნური ლამის
და არც ნაძვის ძირში საჩუქარს არ ველი,
უკვე ნახევარი საუკუნე განვვლე,
კიდევ დამაბერებს ღამე ახალი წლის.

ცაზე ღრუბლებია გაცრეცილ-გარინდული,
იქნებ ემზადება, თორმეტ საათს ელის,
ალბათ მოთოვს, ციდან ფანტელს ველი,
ცაზე ღრუბლებია ვენებდაბერილი.

31.12.2021 წ.

ცაა კაშკაშა

ცაზე ჰკიდია ქულა ღრუბლების
და ვარსკვლავებით შემორკალურა,
ციდან მოწყდება ერთი ვარსკვლავი
და მე სურვილად ჩამეფიქრება.

უკრავს ფირფიტა ძველი ვინილის,
ვალსი, შტრაუსი, ჩემი ოცნების,
წამი ჩამოჰკრავს ღამის თორმეტის,
ფურცელს გადავშლით ერთი წლით მეტის.

ეს ღამე არცერთ ღამეს არა ჰგავს,
ეს ღამე უფრო ჯადოსნურია,
ღამეა, მაგრამ ცაა კაშკაშა,
სხივმა ღვთიურმა გააკაშკაშა!

31.12.2018 წ.

ეზოს ძაღლები

მაინც ისვრიან ცაში მაშხალებს,
გული უსკდებათ ეზოში ძაღლებს,
ღვთის ანაბარად მიტოვებული,
ხევში გარბიან შეშინებული.

ნუ შეშინდებით, თქვენ, მეგობრებო,
თქვენთვისაც დგება წელი ახალი!
თუ ავივსებით ხვავი-ბარაქით,
ლუკმას გაგიყოფთ, არ დაგაყვედრით.

01.01.2022 წ.

ღმერთო, გვამრავლე

ჰა,
დაგვიძველდა ახალი წელიც,
შობის თოთხმეტიც კარზე მოგვადგა,
რა მალე გარბის, ღმერთო, ეს დღენი,
უკან მოხედვას ვერ ასწრებ, გაქრა.

გაქრა, წუხანდელ ზმანებასავით,
წელი ახალი უკვე დაძველდა,
როგორც ის წიგნი გადაუშლელი
დადულდა, როგორც ქვევრში ადესა.

ჯერ არ ნაკითხულ ფურცლებს რა სწრაფად,
ვაჰ, მე,
რა სწრაფად ედებათ ობი,
ქართველნო, წიგნი არ დააოხოთ!
ღმერთო, გვამრავლე, არ დაგვაოხო!

13.01.2022 წ.

განვავრძოვ ცდას

მზეზე გადანვა შავი ღრუბელი,
ვით დედაბერი დაქვრივებული,
ქუჩაში ყინვამ უმატა ღამით,
სახლში ვზივარ და მათბობს ღუმელი.
რა ეშველება დაღალულ განცდას,
აზრი დაჰკარგა ჭირვეულმა ცდამ,
ლიბრი გადაჰკრა ღრუბელმა ამ ცას,

მე, გაზაფხულო, განვაგრძობ, შენს ცდას.
მალე გაივლის ეს თებერვალი,
მარტი შემოხსნის სულის კარიბჭეს,
მინდორში ია გახალისდება,
იქნებ, დამეხსნას ფიქრი მტარვალი.
შენ თუ მიშველი, მზევ გაზაფხულის,
ისევ შენ, ჩემო ლურჯო იებო,
განვაგრძობ თქვენს ცდას,
იმედით ვცოცხლობ,
უთქვენოდ ზამთარს ვერ გადავიტან.
თქვენს მერე მალე მოვა ზაფხული,
ზაფხულში ვფიცავ დარდსაც ავიტან.

02.02.2022 წ.

არ ენდო...

რომ მეგონა ვისტუმრებდი ზამთარს,
თებერვალმა მოიქნია კუდი,
დილით ვიგრძენ გაზაფხულის სუნი,
სალამო კი დადგა ნაზამთრალი.
გამახსენდა ძველი ხალხის თქმული,
არ ენდოთო თებერვალში სხივებს,
არც მარტს ენდოთ, არც ნახევარ აპრილს,
არც პირველი მერცხალის შემოფრენას.
თებერვალში ნუ გაიხდით ქურქებს,
მარტის ბოლოს არ გაკრიჭოთ ცხვარი.
აპრილიც კი მოატყუებს კვირტებს,
ცელქი ქარი ყვავილს აცლის ნუშებს.

06.02.2022 წ.

მზე არ მზეობს

მარტმა მოუჩითა მინდორს კაბის კალთა,
სულში ამიფეთქა მკვახე გაზაფხული,
მარტო ჩემთვისაა ეს დღე მენამული?!
„მზე არ მზეობს“ თუ ბინდი აქვს გადაკრული?!

იღვიძებს ბუნება, იღვიძებს ხვავიანი,
რალაც უცნაურად მძაფრი, სევდიანი,
მარტო ჩემთვისაა მარტი უცნაური?
ცაა უმზეო თუ დღეა დაბაკრული?!

მარტმა ამირია თარიღების კვალი,
ჩემთვის იხურება მარტში გულის კარი,
უკვე ბევრჯერ მოვკედი, დავალ ცოცხალ-მკედარი,
დღეა უმზეო თუ გული დათალხული?!

02.03.2022 წ.

ნასესხებია...

გადაიზამთრა?

არა...

ნასესხებია ჭრელი,

(ხან მგელია, ხან ბელი)

ძილი დაგვიფრთხო,

გაგვიცია წუხელ ღუმელი.

ზამთრის ნარჩენი ეომება ხეთა მაყრიონს,

ცრუ დაპირებით გაიტაცა ნაზი ყვავილი.

გადაიარა ქარიშხალმა,

ქარიც კი ჩადგა,
შორს გადაფანტა,
ავბედითი შავი ღრუბელი.
დილით ღიმილით მოეფერა სხივი
ხეთა ჯავრს,
მზემ ანუგეშა
(წუხანდელი)
გაძარცვული ნაზი სხეული.

P. S.

მოდი ააან...

მიდიააან...

ნამყნობი დღეები...

05.03.2022 წ.

აპრილი მაისობს

დღეს გაზაფხული უკვე აპრილობს,
ტყემალმაც უკვე გახეთქა კვირტი,
ჩემში აპრილი უკვე მაისობს
და გულში სახლობს თვით, მამალმერთი.

აპრილში თუნდაც თავსხმა წვიმაში,
მე ვხედავ მზეს და მათბობს ფიქრები,
როგორმე გავძლებ კიდევ ორ თვეს და
ორი თვის მერე კარგად ვიქნები.

ჩემთვის აპრილი უკვე მაისობს,
მეც ავფეთქდები, როგორც ატმები,
გადავეშვები ოცნების ზღვაში
და ჩავეფლობი ნუშის ყვავილში.

მინდა, ვირბინო ალუბლის თოვლში,
ბავშვად დავრჩები აპრილს ვპირდები,
მინდა, ვიყვირო, ზაფხული მოდის,
ორი თვის მერე კარგად ვიქნები...

01.04.2022 წ.

ნალველი მანევს

(წმ.ბარბარე)

ზამთარი მკაცრობს და მცირე სულშიც,
ნარმტაცად გვათოვს მთაშიც და ბარშიც,
გვიახლოვდება შობის ჩვიდმეტი
და მომაკლდება ერთი წლით მეტი.
დღე ბარბარობა, მფარველი ბავშვთა,
მფარველი ჩემიც და დავრდომილთა,
მე კი ქრისტიანს, მანევს ნალველი,
ცრემლი დამშრალა, მაგრამ არც ვმღერი.
ნარბჷეუხრელად ეწამა ჩვენთვის,
არ შეურაცხყო მან მამა ღმერთი.
ჩვენთვის ეწამა, აწამეს ჩვენთვის,
ჩვენ კი ვწარმართობთ, ცოდვილი ერი
და დღეს, ვით წინათ, ისევ ჰყიდიან
და სანმერთულად შიშველს ჰკიდებენ,
სინდისს და ნამუსს ისევ ჰყიდიან,

იუდეველთა ნაშობნი ბარტყნი.
ზამთარი ზამთრობს, ბუხარი მათობს,
მაგრამ სულს აკრთობს, სევდებად ათოვს,
მე დღეს ლექსებიც კი ველარ მართობს,
ვნრუპავ შავ ღვინოს, მაგრამ ვერ მათრობს.

16.12.2016 წ.

ჩემი პატარაალი

ამალამ ტკბილად დამეძინება,
ჩემი სახლის წინ აყვავდა ნუში,
ნიავო, ნელა მოეაღერსე,
არ გაიკარო სიავე გულში.

ლამე ჩამოდგა უმთვარო, მრუში,
მაგრამ მე მაინც მინათებს სულში,
ის სილამაზე ღამის წიაღში,
პატარძალივით რომ ჰყვავის ნუში.

28.04.2022 წ.

ბაბუნაწვირას ვედრება

სულს ნუ მიბერავთ გაზაფხულს,
მყოფნის, ქარი რომ მიავებს,
უბირად ნუ მანიავებთ,
ნულარ მიმატებთ იარებს.

თუ მაცდით ველად ლხენასა,
ზაფხულში ვიმშობიარებ,
თესლს გავუგზავნი მიწასა,
მინდორს ვარ თეთრმსხმოიარე.

გაზაფხულს, ქურქს რომ გავიხდი,
ზაფხულში შემომიარეთ,
შემოდგომაზე დამკრიფეთ,
ზამთარში გინამლიანებთ.

10.05.2018 წ.

ჩემი ოთხი საზონი

ზამთარში...

ციდან ცვივა ფიფქები
და ყოველლამე შენ მეფიქრები.
შენზე ფიქრებით გამთბარი დამაქვს,
სული, გული და მძიმე სხეული.
შემოდგომაზე...
ხეებს მუდამ სცვივა ფოთოლი,
მწიფე მტევნებით აივსება
სოფლად გოდორი.
ძველ აივანზე,
ისევ მიდგას სამფეხა სკამი
და ყოველ დილით,
ფინჯან ყავით მოგეგებები.
გაზაფხულობით...
ქარი ხეებს გასტაცებს ყვავილს,
დაასველებენ მოჟუჟუნო წვიმის წვეთები,

დამენანება აყვავებულ მოლზე რონინი,
გავირინდები,
სიმფონიას ვუსმენ ქარ-წვიმის.
ზაფხულში...
ციდან, იქნებ, წვეთიც არ გადმოვარდეს,
იქნებ, გადანვას, გადახრუკოს ველად ყვავილი,
მაგრამ მე მაინც,
ყოველ დილას იმედით ვხვდები,
სანამ შენ მყავხარ და უფალი, სალბუნებელი!

01.06.2010 წ.

სანსეტი...

ამომავალ მზეს იცოდე,
ოდეს ცაზეა მავალი,
განედზე გადამავალი,
ჩამავალი მზე სჯობია.
ორბია, სხივთა ომია,
სანამ ობ მოეკიდება,
სანამ სანსეტი იქნება,
იდება ცასა ციალით.
ლიცლიცა ზღვის ჰორიზონტზე,
ზორტად დაჰყვება სინითლე
ითლება შემოლამება.
ლამდება,
მთვარე იღვიძებს,
„ძეებს“ მოიხმობს ცას ზედა
და მზესა მთვარის ამბორით,
ორბით ვარსკვლავნი ჩნდებიან.

ებმიან-ეჭიდებიან,
იბადებიან-კვდებიან,
იანიდან და ანამდე,
ანდამატობენ-ქრებიან...
ქრიან-ქარები-ქედნობენ,
დღე და ღამ ასე იბრძვიან...

31.08.2020 წ.

მთაში

ჩემი ქოხის წინ გაჰკივის ქარი,
უგულოდ წენავს ფოთოლთა ნოხებს,
დეკემბრის ბოლოს შემორჩენილებს,
შემოურბინა საძოვრებს, ქოხებს.

და დაქრის ქარი-ქარიშხლიანი,
როგორც ბოროტი დედინაცვალი,
ზამთარს სუსხს მატებს სახეცვლიანი,
ქარი-ქარიშხლად გადანაცვალი.

გადაანგრია ნალია, სხვენი,
გაფანტა თივა ზვინად ნაგროვი,
მთელი თიბათვე ცელით ნათიბი,
ზამთრის საძოვრად სიმწრით ნაგროვი.

ჩემს ქოხსაც მოსწვდა ეს შარიანი,
ჩაურაზავი დამრჩა სარკმელი,
ამიფრიალა ნანერები ლექსებიანი,
ჩამიქრო ღამფა, ბოლავს საკმელი...

რადა ხარ, ქარო, დაუნდობელი,
რადა ხარ, ქარო, ასეთი ავი,
ბევრად გჯობია შენი გერები,
სიო, ნიავი და ნიავექარი.

გაქრი, უღმერთო დედინაცვალო!
ნუთუ არ გესმის, როგორა ვბლავი?
არ მსურს ამ ზამთარს გარდავიცვალო,
როგორც უმწეო ობოლი კრავი!

შენს ჯიბრზე მაინც ვიტყვი ჩემს სათქმელს,
მაინც ვუმღერებ სვანეთის მთა-ველს,
შენს ჯიბრზე მაინც ავანთებ სანთელს,
ზამთარს გავიტანთ მე და საკმელი!

17.12.1988 წ.

ფერიცვალების დილას...

ხეებს შევნიშნე უცნაური ფოთოლფერთაცვლა,
მათ კიდევ ერთხელ დამარწმუნეს, შენით სუნთქვაში,
უშენო მრწამსის კაცთა მოდგმა გადაშენდება,
უშენო დილა უმზეოა და ბზარი ხმაში...
ბუნებამ იგრძნო უფლის სუნთქვა, უფლის ბრძანება,
ფერიცვალების ვნება ფოთოლს შეება ნება!
კაცთ რა აყრუებთ და უღმერთოდ რატომ დადიან?!
განა, შენს რწმენას თვალხილული ნახვა სწადია?!

19.08.1998 წ.

პეპელა თავისუფლებას

გაფრინდით, შეიფარფატეთ,
ყვავილებს ამცნეთ ხარება,
არ მემეტებით სატყვეოდ,
გქონოდეთ თავისუფლება.
ვინა სთქვა, სამი დღე ცოცხლობს,
ვინ დაგითვალათ ჟამები,
თუ კაცის ხელი არ მოგკლავთ,
ვერას დაგაკლებთ ქარები.
დარიან დღეში იფრინეთ,
ავდარს მომხვიეთ ხელები,
თქვენი ფარფატით დამათვრეთ,
თვალეbs ნუ დაემალებით.
თუ ფრთები შემოგელალათ,
ხელის გულს გიწვდით ხარებით,
ჩამოსხდით, ჩამოისვენეთ,
უნდა გითვალოთ ხალები.
ნეტავი გამაგებინა,
ზამთარს სად შეეფარებით,
ამბობენ ჭიამატლდებით,
ხის ფულუროში სახლდებით.
ნეტავ, რომ აღარ ვიქნები,
გადამაქცია მუხადა,
ზამთარში შეგიფარავდით,
თქვენს გულისცემას დავთვლიდი.

08.04.2022 წ.

რა შეუძლია ზეტას?!

ცრემლები გაყურდა, უბეში ჩაგუბდა,
ცას ბზარი გაუჩნდა, მძივებად გადმოსცდა.
ვერ უძლებს ცის გული, დაგროვილ ხიზანებს,
დაისხამს, გამოსცლის, ყანწსა და ფიალებს.
სანადელს მიაღწევს, ჩამოსცლის ქვეერ-ჭურებს
და ლოთი კაცივით, მოჰყვება მუქარებს.
მალევე იდარებს, არც არას იდარდებს,
გლოვასაც არ აცდის, მაცდურად ინათებს.
კამათსაც იკადრებს, ღრუბელთან იდავებს,
ულუზო გემივით, შორეთით მიავლენს.
ინათებს შვიდგზის და ლოცვებსაც აღავლენს,
შვიდფერი პერანგით, შემოსავს იარებს.
მიწას ბულს აადენს, გუბეს ამოაშრობს,
ბოდიშს მზით გადგვიხდის, ჩვენ დედამინელებს.
ოდეს თუ გვიკითხავს:
რა მოსდის ცისა გულს! რა მოსდის ცისა გულს?!
რა მოსდის ცისა გულს, როს გამოიდარებს...

P.S.

ცას, განვიმეზის შემძლეს...
ცას, გასხივების მეფეს...
ცას, სამოსახლოს ღმერთის,
ცა,
ჩვენგან ჯვარცმულს სტირის?!

25.07.2002 წ.

საახალწლო...

გადავყარე ყველა ძველი ნივთი,
უსარგებლო ჩამოვხსენი თითქოს,
მაგრამ გულით დამაქვს ყველა ტვირთი,
გულს რა ვუყო, გული რამ გამიბოხს?!

მტკივა, მაინც ანათალი იმ ძმის,
შორს, წარსულში, სადღაც შორით რომ კრთის.
კინოკადრის ჟურნალივით მიქრის,
ბჭუტავს, მაგრამ დავინწყება მიმძიმს.

დანინდულა უგზოდ მთა და ველი,
უნაყოფო არის დაცდა თითქოს,
არ ყოფილა მაშ, საშველი, ვგონებ?!
ფონს ვერ გახვალ ასე, ჩემო ხვითო!

თუ გადაყრი, გადაყარე და ჰა!
არასოდეს მიუბრუნდე, „ვითომს“.
მიაყარე კედელს ცერცვი და ქარს...
ნურასოდეს ნუ დაუნწყებ ცივ ომს!

23.01.25 წ.

სარჩევი

მიძღვნიდი ექსები

საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს!.....	12
გაბრიელ სალოსი!	13
მაყვალა გონაშვილს.....	14
რეზო მიშველაძეს.....	15
ბალათერ არაბულს.....	15
„ზვეზდა“ - ბიცოს!.....	16
ხარებით, შობით, აღდგომით!	17
შენ არასოდეს იქნები მარტო.....	18
ჩემს ფერიას	19
ლალის	20
მაგდა გორგიძეს	21
ენკა-ს!	22
ენკა-ს	23
დობილო!.....	24
*** მალე ზამთარი წაგვართმევს.....	25
დაგიტირებენ სანთლის სანთლით	26
თემურ ჩალაბაშვილს	27
ემიგრანტ მეგობარს!	28
დღე და ღამე	29
მირზა გელოვანს.....	30
პატარა კახო!.....	31
ტერენტი გრანელს	32
ნიკალა.....	32
ვაჟა-ფშაველას	33
ვაჟავ!.....	33
„სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“	34
„ქართველების ქართველობა დამილოცე, ღმერთო“!	35

მანუჩარ!	36
გიორგი მიროტაძის ხსოვნას.....	37
მამას	38
იქ სიზმრებიც შავია.....	39
დატირება.....	41
შენც დამტოვე.....	42
ლარკა.....	43
წერილი ძმას	44
მამიდასი!	45
დედის ლოცვა	46
ჯვარს არ ვინერდით	47

პოეზია-პროზაში

კალოში.....	50
საყვედური არ დამცდენია... ..	51
მადლი.....	53
მე და კაკლის ხე... ..	54
დედა უკვდავია!	55
შემშურდა... ..	55
მინდა თოვდეს.....	57
კეთილი... ..	60
იჩქარე ნელა	62
ყველგან ქაოსია... ..	63

პროზა

მშობლების ხსოვნას	66
ზბორები	68
აღსარება	72
თბილისში ვეძებდი თბილისს.....	74

ჭიქა ყავაზე-1	78
თბილისი იყო ურთიერთობა	80
მასწავლებლებს!	81
სიზმარი	83
მზეთამზეს ხსოვნას	86
კოჭობანა... ..	91
შინმოუსვლელი	92
აღსარება 2	97
დარჩი სახლში	98
არ მაპატიოთ... ..	99
სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის!	100
გამარჯობა თუ არ გამარჯობა... ..	101
სიკვდილის აჩრდილი... ..	103
წვიმა შემოდგომისა	105
ჭიქა ყავაზე-2... ..	107
„მთავარი როლი და მაყურებელი“	108
ლალატი	109
პრინციპი... ..	110
გაყრა... ..	110

ბრძენი კაცია, ბაბუაჩემი!	111
---------------------------------------	-----

ჰოუმები

აგონია	126
შენი გულის ძახილით ვივლი... ..	131
დედის ხსოვნას	134
ხო, მე ვარ, მკვლელი... ..	142
მზე, არ გაილევა!	147

მზე, რომედიც გვიან ამოვიდა.....149

რაც დასაჯარგად მენახება

არ ვიცი, რატომ.....	162
კმარა!.....	163
თემქის ხევი, ახლა სკვერი.....	164
„ნახევარი საუკუნე გავლიე“	166
შობის ნატვრა.....	167
ნუ მომატყუებ, მძულს	168
სიცხიანი ექსპრომტი	169
სცადე... ..	170
ისე უბრალოდ... ..	172

მინიმები.....173

ბუნების ფერთაყვანა

მაისის ისტერია.....	202
მიყვარდა მაშინ	203
წვიმდეს, ქროდეს.....	204
იგვიანებენ იასამნები.....	205
მარიდე	206
გავა მაისი... ..	206
მირიად წელს	207
სხვანაირი სურნელი.....	208
ფერიცვალებას	209
სექტემბერო!	210
არ გიყვარდეს და ეტრფოდე მაინც.....	211
მომავალ წლამდე	212
ახალ წელს	213

და მაინც მოვა	214
ცაა კაშკაშა.....	215
ეზოს ძაღლები	215
ლმერთო, გვამრავლე	216
განვაგრძობ ცდას.....	216
არ ენდო.....	217
მზე არ მზეობს	218
ნასესხებია.....	218
აპრილი მაისობს	219
ნაღველი მანევს	220
ჩემი პატარძალი.....	221
ბაბუანვერას ვედრება	221
ჩემი ოთხი სეზონი	222
სანსეც.....	223
მთაში.....	224
ფერიცვალების დილას... ..	225
პეპელა თავისუფლებას	226
რა შეუძლია ზეცას?!	227
საახალწლო... ..	228

ურდოსა შიგან შიძეება იყო თაჟისუბდი
და
თაჟისუბდი სამყაროში ჰაჭიძარი...

17.12.176.

ნერე

ISBN 978-9941-9946-1-6



9 789941 994616